

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ვარდო ჩოხარაძე

თურქიზმები ქართული ენის სამხრულ დიალექტებში

დისერტაცია

„ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი მამია ფაღავა

ბათუმი 2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
თავი I. ფონეტიკური ცვლილებანი თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში.....	16
§ 1. გ : ღ თანხმოვანთმონაცვლეობა ნასესხებ ლექსიკაში.....	16
§ 2. ქ : კ თანხმოვანთმონაცვლეობა ასიმილაციის საფუძველზე.....	24
§ 3. ყ : კ თანხმოვანთმონაცვლეობა.....	29
§ 4. ქ : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა.....	30
§ 5. ქ : ყ თანხმოვანთმონაცვლეობა	32
§ 6. ჩ (ჭ) : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა.....	34
§ 7. ღ : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა.....	49
§ 8. ბ : ფ თანხმოვანთმონაცვლეობა.....	50
§ 9. პ : ფ თანხმოვანთმონაცვლეობა.....	51
§ 10. ა : ე ხმოვანთმონაცვლეობა.....	51
§ 11. უ : ი ხმოვანთმონაცვლეობა.....	57
§ 12. ე : ი ხმოვანთმონაცვლეობა.....	62
თავი II. ბგერის გამჟღერება სამხრულ კილოებში.....	63
§ 1. ფ : ბ ბგერის გამჟღერება ნასესხებ სიტყვებში.....	63
§ 2. კ : გ, ღ = ბგერის გამჟღერების შემთხვევა.....	66
§ 3. თ : დ = ბგერის გამჟღერების შემთხვევა.....	68
§ 4. ჩ : ჯ = ბგერის გამჟღერების შემთხვევა.....	71
თავი III. თურქული ლექსიკა ქართული მაწარმოებლით.....	72
§ 1. უქონლობის აფიქსით ნაწარმოები სახელები.....	72
§ 2. -მე (<მო) ზმნისწინიანი ფორმები.....	74
§ 3. ში//ზე თანდებულთ ნაწარმოები სახელები.....	74
§ 4. -კენ თანდებულთ ნაწარმოები სახელები.....	76
§ 5. -თან თანდებულიანი ნასესხები სიტყვები.....	77
§ 6. -დან//დამ თანდებულიანი თურქულიდან ნასესხები სიტყვები.....	76
§ 7. თურქულიდან ნასესხები სიტყვები –ებ თემის ნიშნით	78
§ 8. -ავ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნური ფუძეები.....	80
§ 9. -ებ მრავლობითი ნიშნით ნაწარმოები სახელები.....	80

§ 10. თურქულიდან ნასესხები –ობ სუფიქსით ნაწარმოები ფუძეები.....	83
§ 11. თურქული ფუძეებისგან -იან სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელები.....	85
§ 12. li სუფიქსით ნაწარმოები სახელები სამხრულ კილოებში.....	85
§ 13. ურ : ულ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.....	88
§ 14. თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლით.....	90
თავი IV. თურქული ლექსიკა სამხრულ კილოებში.....	95
დასკვნა.....	124
გამოყენებული ლიტერატურა.....	132
შემოკლებანი.....	138

შესავალი

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიული სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ჭკობის აუზის ქართული ქვეყნები (გარდა აჭარისა) მდებარეობს; ე.წ. „თურქეთის საქართველო“ დღეს მთლიანად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ჩვენს დროში საქართველოსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, სახელმწიფო საზღვრების გახსნა იქ მცხოვრებთა ქართულ მეტყველებაზე დადებითად აისახა. შავშელები, კლარჯები, ტაოელები, მუჰაჯირთა შთამომავლები უმეტეს შემთხვევაში ორი ენის – ქართულისა (მშობლიური) და თურქულის (სახელმწიფო) მატარებლები არიან. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მათ მეტყველებაში შევიდა თურქული ენის ელემენტები, - როგორც ლექსიკური (უფრო მეტად), ისე გრამატიკული (ნაკლებად). ამიტომაც, თურქული ელემენტის შესწავლა სამხრულ კილოებში ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვან პრობლემად გვესახება.

ქართული ენის სამხრული დიალექტები – შავშური, კლარჯული, ტაოური აჭარულთან ერთად ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაა. აღნიშნული დიალექტების შესწავლას საფუძველი ჩაუყარა აკად. ნ. მარმა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო თურქეთის საქართველოს შესწავლის საქმეს. 1904 წელს მან იმოგზაურა გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე შავშეთსა და კლარჯეთში, ჩაიწერა იმერხეველთა მეტყველების ნიმუშები და გამოაქვეყნა „დღიურები“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“ ერთად (იხ. მარი 1911).

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებას მკვლევარმა იმერხეული კილო უწოდა. ტერმინი დღემდე ხმარებაშია ქართულ ენათმეცნიერებაში. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, იმერხეული მეტყველება არის, ერთ დროს ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი ისტორიული შავშური კილოს ნაწილი (შეიძლება შავშურის კილოკავი) (იხ. ფაღავა 2004). დღეს ძველი შავშეთი ორ ნაწილად არის გაყოფილი: მეთურქულე შავშეთი (საკუთრივ შავშეთი) და მექართულე შავშეთი (იმერხევის ხეობის ქართულად მოლაპარაკე სოფლები და უსტამისი და ჩიხისხევი). ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ XX საუკუნის 80-იან

წლებამდე თურქეთის ქართველთა მეტყველების შესასწავლად ნ. მარის „ჩანაწერები“ ერთადერთი წყარო იყო.

საბჭოთა პერიოდში თურქეთის საქართველოში ქართველ მკვლევრებს მუშაობის საშუალება არ ჰქონიათ.

XX საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილმა რამდენიმეჯერ იმოგზაურა ტაოში (1902, 1907, 1917 წ.წ.) არქეოლოგიური მიზნით, მატერიალური კულტურის ძეგლების შესასწავლად. XX ს-ის 80-90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ისტორიულ ქართულ პროვინციებში ექსპედიციების მოწყობა და იქაურთა მეტყველების მეცნიერული შესწავლის ხელახალი დაწყება (პროფ. შ. ფუტყარაძე, პროფ. მ. ფაღავა, პროფ. მ. ცინცაძე, მ/კ ნუგზარ ცეცხლაძე, ასოც. პროფ. მ. ბარამიძე, ასოც. პროფ. მ. კიკვაძე, ასისტ. პროფ. ნ. ფარტენაძე, ასოც. პროფ. ნანა ცეცხლაძე, ასოც. პროფ. ლ. თანდილავა, ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კომპლექსური ექსპედიციები...), დაიწერა არა ერთი სამეცნიერო ნარკვევი (იხ. ფუტყარაძე 1993; 1995; ფაღავა 2003, 2004, 2011...).

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ თურქულის გავლენა სამხრულ კილოებზე განსაკუთრებით ხელშესახებია ლექსიკურ დონეზე. რაც შეეხება სამხრული მეტყველების ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურას, იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

მთელი ჭოროხის აუზი და მტკვრის ზედა ნაწილი საქართველოს ისტორიაში ცნობილია ტაო-კლარჯეთად (იხ. თაყაიშვილი 1991: 197). სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა: სპერი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა. შევნიშნავთ, რომ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი შავშეთს კლარჯეთის ნაწილად მიიჩნევს, რაც არაა სწორი. შავშეთი და კლარჯეთი ორი სხვადასხვა „ქვეყანა“ თავისი დიალექტით, ფოლკლორით, ეთნოგრაფიით... თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ სამხრული კილოები ახლოს მდგომი ქვესისტემები არიან, გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს და ქმნიან ერთმანეთთან ახლოს მდგომ ქართული ენის დიალექტთა სამხრულ ჯგუფს (ფაღავა 2002), ისტორიულ სამხრულ მეტყველებას (მიძიგური 1975. იხ. ნიჟარაძე 1975, რედაქტორის წინასიტყვაობა).

XVI საუკუნიდან სამხრეთი საქართველო ოსმალეთმა მიიტაცა (აქარა უფრო მოგვიანებით, XVII საუკუნიდან), რასაც მოჰყვა ამ კუთხის მცხოვრებთა იძულებითი გამაჰმადიანება. XIX-XX საუკუნეებში მუჰაჯირობის დიდმა ტალღამ გადაუარა სამხრეთ საქართველოს (იხ. ფაღვა 2003:4). თურქებმა საქართველოს წართვეს მთელი ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელი, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ოსმალეთის შიგა პროვინციებში იძულებით გადაასახლეს. სიტყვა „მუჰაჯირი“ არაბულიდან არის შემოსული და მომთაბარეს, ემიგრანტს, გადასახლებულს ნიშნავს. მუჰაჯირთა შთამომავლებს, რომლებიც თურქეთის რამდენიმე პროვინციაში კომპაქტურად ცხოვრობენ, დღემდე შენარჩუნებული აქვთ ქართული ენა, ფოლკლორი, ყოფა..., თავიანთი მეობის უპირველესი ნიშნები.

თურქეთის საქართველოში კი (ტაო, შავშეთი (იმერხევში და მაჭახელში) კლარჯეთში) განსაკუთრებით უფროს თაობაში, მშობლიური ენა და ადათ-წესები ასე თუ ისე შემონახულია. იმერხეული კილოკავი ისტორიული შავშური დიალექტის გადარჩენილი მოწმეა მაჭახლურთან ერთად. იგი ძირითადად გავრცელებულია მდ. იმერხევის ხეობაში; ძირითადად იმიტომ ვამბობთ, რომ იმერხევის ხეობასთან ერთად ქართული ისმის უსტამისსა და ჩიხისკევშიც.

ჭოროხის ქვეყნები კარგა ხანია თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და, ბუნებრივია, აქაურთა მეტყველება განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას. საერთოდ, ისტორიული სამხრეთ საქართველო ქცეულია „კულტურათა მძაფრი დიალოგის“ ასპარეზად. თუ არაფერი შეიცვალა, ამ დიალოგის შედეგი წინასწარაა ნათელი. თურქული ლექსიკა საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრდა თურქულენოვან გარემოში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში. ბევრი სიტყვა იმდენად მყარად ჩაჯდა ჩვენებურთა ლექსიკურ ფონდში, რომ ქართული წარმომავლობისა უფრო ჰგონიათ, ვიდრე თურქული. მშობლიური ენის დავიწყების პროცესს ისიც აჩქარებს, რომ სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობს და მხოლოდ ზაფხულობით ბრუნდება მამაპაპისეულ კერაზე; ასე, რომ (შავშს, კლარჯსა და ტაოელს) ძირითადად არაქართულენოვან გარემოში უხდება ცხოვრება, შვილების აღზრდა და შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ აქაური კაცი ქართულ ენაზე

საუბრისას ხარვეზის შესავსებად მივიწყებული ქართული სიტყვის ნაცვლად თურქულს იყენებს.

ზოგჯერ პირიქითაც ხდება. მ. ფაღავას ჩაწერილი აქვს: **მიმნამორის** მონასტრის დათვალიერების შემდეგ ექსპედიციის წევრები იქვე მცხოვრებ მოხუც ქალბატონს, რომელმაც მისივე განცხადებით, ქართული არ იცოდა, ესაუბრებოდნენ. ქალბატონი თურქულად ყვებოდა აქაური ქილისას, გეოგრაფიული სახელების... შესახებ. მოულოდნელად მთხრობელმა ქართულად დაიწყო საუბარი. გაკვირვებული ვუსმენდით მის „თურქულს“. ჩვენი გაკვირვება შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენს გამეშეთელ მხლებელს, მუსტაფა გამეშიძეს, რომელმაც გადმომილაპარაკა: „ახლა ამას ჰგონია თურქულად ლაპარაკობს...“ (ფაღავა 2011. დღიურები).

პრობლემა საყურადღებოა, როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. კერძოდ, საინტერესოა, ორენოვნების პირობებში ქართულის, როგორც საოჯახო ენის, ფუნქციონირების საკითხი.

თემის აქტუალობა უპირველესად განისაზღვრება იმით, რომ ჩვენს სინამდვილეში მონოგრაფიულად პირველად იქნება შესწავლილი უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულ ქართული ენის დიალექტებში თურქულის კვალი.

ბუნებრივია, რომ თურქეთის საქართველოში ქართულ მეტყველებას ავიწროვებს თურქული – სახელმწიფო ენა. ამ კუთხეში რაც დრო გადის მცირდება ქართული ენის მცოდნეთა რიცხვი. ქართული მეცნიერების ვალია, შეისწავლოს ჯერ კიდევ გადარჩენილი სამხრული კილოები.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის ახალი ეტაპი. 1995 წლიდან სამხრეთ საქართველოს გეგმაზომიერი კომპლექსური კვლევა დაიწყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საამისოდ, 1995 წელს ჩამოყალიბდა ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია, რომლის მემკვიდრეა მ. აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (2000 წ. შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (2004 წ.), 2008 წლიდან

ქართველოლოგიის ინსტიტუტი). მოეწყო არაერთი კომპლექსური ექსპედიცია (ხელ. პროფ. მ. ფალავა) ტაოში, კლარჯეთში, შავშეთში, აჭარაში. პარალელურად მიმდინარეობს მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფის შესწავლაც. სხვადასხვა დროს ჩაწერილი იქნა საყურადღებო, მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური მასალები, რომლის შესწავლის შედეგია ჩვენი საკვალიფიკაციო შრომაც.

შევნიშნავთ, რომ საზღვრების გახსნის შემდეგ ენის დავიწყების პროცესი ერთგვარად შენელდა, „დიდ მემლექეთთან“ ურთიერთობამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ჩვენებურთა ქართულზე.

თურქეთში მცხოვრები ქართველების თურქულ მეტყველებაშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ქართული ენის გავლენის კვალი. ანუ თუ თურქული ენა გავლენას ახდენს ქართველთა მეტყველებაზე, ქართული ენაც, მართალია გაცილებით უფრო ნაკლებად და უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გარკვეულ გავლენას ახდენს აქაურთა თურქულ მეტყველებაზე. ჩვენი აზრით, ეს მეტად საინტერესო საკითხია და ღირს კვლევად (იხ. კიკვაძე 2012, 2012(1)).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, პრობლემა აქტუალურია და სათანადოდ შესწავლის შემდეგ ქართველური ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს მოჰყენს ნათელს.

* * *

ზოგი რამ სამხრეთ საქართველოს კვლევის ისტორიიდან:

1874 წ. გ. ყაზბეგმა იმოგზაურა ოსმალთა საქართველოში. იმ დროს აჭარა და მთლიანად სამხრეთ საქართველო თურქეთს ჰქონდა მიტაცებული. კუთხის შესახებ თითქმის ინფორმაციაც არ ჰქონდათ სამშობლოში. ღორჯომში ჩასული გ. ყაზბეგი იხსენებს: „უკანასკნელი ტერასიდან სოფელ ღორჯომში ჩასვლისას მსხვილი რქოსანი საქონლის დიდი ჯოგი დავინახეთ. მწყემსად პატარა ბიჭები ედგათ. ჩვენამდე ამოდიოდა მათი ყივილ-ხივილი. პირველად ვხდები აჭარლებს და ნუთუ თურქულად ელაპარაკებიან ერმანეთს - მეთქი? ნუთუ აჭარაში საქართველო გაქრა? ბოლოს ახლოს მივედი და... აღტაცებული დავრჩი, ბიჭები ქართულად ილანძლებოდნენ“ (ყაზბეგი 1995: 59).

გ. ყაზბეგი აღნიშნავს, რომ, შავშეთში გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა მათი მამები გურჯები იყვნენ. მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფელს ხალხი გურჯისტანს უწოდებს. „შავშეთში ყველამ იცის, ძალით მოწყვეტილია საქართველოზე და მათი წინაპრების რელიგია ქრისტიანობა იყო“. გ. ყაზბეგის ცნობით, შავშეთში 1874 წელს კომლთა რიცხვი 2000 იყო, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 12-14 ათასს აღწევდა (იხ. ყაზბეგი 1995: 90, 94).

გ. ყაზბეგის აზრით, აჭარაში თურქული ენის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი თურქული ენის სიადვილე და თურქული მმართველობის გავლენა იყო (იხ. ყაზბეგი 1960: 32-33).

გ. ყაზბეგი აჭარისწყალს მდ. აჭარას უწოდებს. „სხალთის ხეობა, რომელიც ხირხათის მთასთან იწყება... მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და აღწევს მდინარეების სხალთის წყლისა და დიდაჭარისწყლის შეერთების ადგილამდე (სოფ. ფურტიოს მახლობლად), აქედან გაერთიანებული წყალი, ვიდრე ჭოროხს შეერთვოდეს მდ. აჭარად იწოდება“ (ყაზბეგი 1995: 41).

აჭარა სემანტიკურად წყალთან უნდა იყოს კავშირში. თავდაპირველად იგი მდინარის სახელწოდება იყო, შემდგომ - კუთხის. გვიან მოხდა აჭარის გადააზრება და მდინარეს აჭარისწყალი ეწოდა, კუთხეს - აჭარა (იხ. ფალავა, მგელაძე 2006).

გ. ყაზბეგის ცნობით, აჭარა იყოფა ზემო და ქვემო აჭარად. „ზემო აჭარა ხუთი ხეობისგან შედგება - ხულოს, ღორჯომის, ბელღეთის, სხალთის და ჭვანის ხეობებისგან (ყაზბეგი 1995: 54).

სამხრეთ საქართველოში ენობრივი სიტუაციის შესახებ ცნობებს ვხვდებით ზ. ჭიჭინაძის შრომებშიც (იხ. ჭიჭინაძე 1913). პირველი, რაც მოგზაურისთვის თვალში მოსახვედრი გახდა, ის სახეცვლილებაა, რაც თურქთა ბატონობას მოჰყვა. მოგზაური აღნიშნავს, რომ „...აქ ყველაფერი დაქვეითებულია და ჩვენი ძველი ქართველები, ჩვენი გამოჩენილი მესხნი იმ დროისანი აღარ არიან, რაც ყოფილან. აქ მხოლოდ ერთადერთი ქართული ენა არსებობს, იგიც ზოგიერთ ალაგას, ყველგან არა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასის წვითა და დაგვით შემოუნახავთ მაჰმადიანთ ქართველთა“ (ჭიჭინაძე 1913⁽¹⁾:5). მკვლევარი

განმარტავს, რომ „აქარა ზეგნამდის იმერეთსა ჰგავს ყველაფრით. ზეგნის მკვიდრნი კი ჯავახელებსა და ქართველებსა ჰგვანან. ლაპარაკის კილოც სხვანაირი აქვთ ზეგნელებს, ვიდრე აქარლებს“ (გულისხმობს აწინდელ ქვემო აქარლებს, დღევანდელი ქედის რაიონისა და ხელვაჩაურის რაიონის მცხოვრებთ ერგემდე - ავტ.) (ჭიჭინაძე 1913: 81).

XIX საუკუნის 90-იან წლებში შეკრებილი მასალების მიხედვით, ზ. ჭიჭინაძე განმარტავს, რომ შავშეთიდან გადასახლებულია დაახლოებით 15000 სული. მათ შორის 5000 იმერხევიდან. მუჰაჯირობის დროს გლეხები აღნიშნავდნენ, რომ იმერხევი კლდედრიანი ადგილი იყო, თუმცა სოფლებში მაინც ცხოვრობდა ხალხი, ეხლა ისინი თითქმის დაცარიელებულია (ჭიჭინაძე 1912: 141).

მოყვანილი ამონარიდიდან საინტერესოა ერთი გარემოებაც: ჩანს, ზ. ჭიჭინაძისათვის იმერხევი შავშეთის ნაწილია.

ზ. ჭიჭინაძე განმარტავდა, რომ ამ კუთხეში ნელ-ნელა ოსმალური ენა შედის და მაჰმადიანი ბავშვები ოსმალურად ლაპარაკობენ. ქართული იციან, მე ქართულად მელაპარაკებოდნენ, მაგრამ ოსმალურად გაცილებით უკეთესად საუბრობდნენ (ჭიჭინაძე 1913: 294).

ლივანის ხეობაში ხალხი ჯავახურის კილოთი ლაპარაკობს და უფრო მეტად ურევს თათრულ სიტყვებს. ქალებმა ოსმალური ლაპარაკი არ იციან. ისინი ლოცვის დროს მხოლოდ „ალას“ ამბობენ - „ღმერთო გვიშველეო“ (ჭიჭინაძე 1913⁽¹⁾: 142).

მაჭახელში ზ. ჭიჭინაძეს ასეთი სურათი დახვდა: აქ „ყველამ იცის კარგად, რომ ისინი წინად ქრისტიანები ყოფილან, რომ ისინი ენითა და შთამომავლობით ქართველები არიან, მაგრამ დღეს თათრები. ქართულად ლაპარაკობენ, ქართულად მღერიან, სტირიან და ხმაურობენ...“ (ჭიჭინაძე 1913⁽¹⁾: 198). მურღულის ხეობის რამდენიმე სოფელში იციან ქართული: პოტოჭური, ორჯი, სადირეთი, დილარგეთი. რაც შეეხება არტაანს, კოლას, კარს... ქართული დავიწყებას მიეცა (იქვე: 222-242).

შევნიშნავთ, რომ აქ თათრობა მუსულმანობის სინონიმია. გათათრდა ნიშნავს გამაჰმადიანდა.

XVIII საუკუნეში ყველა ოჯახში ცოდნით თურქული ენა. XIX საუკუნის ბოლოსათვის შავშეთში ქართული აქა იქა შემორჩენილი: სათლელი, საბუდარა, მამა-ნელისი ქართულად მხოლოდ ახალდაბაში ლაპარაკობენო (ჭიჭინაძე 1913⁽¹⁾ 284-286).

ქართული ენა განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი იმერხევში. ქართული აქ იმიტომ შემორჩა, რომ იმერხევში ცუდი ადგილებია და ოსმალები არც კი ეტანებოდნენ ამ კუთხეს. შავშეთი კი ადრე გაივსო თურქებითო (ჭიჭინაძე 1913: 293).

ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკე შავშელთა შორის ითვლებოდნენ აქაური სომხები – გრიგორიანელებიც და კათოლიკეებიც. სომეხთა რიცხვი ბევრი არ იყო (145 კომლი – 900-მდე სული). ისინი შავშეთის ოთხ სოფელში ცხოვრობდნენ (სათლე, ოქრობაგეთი, ფხიკიური, მამანელისი), ჰქონდათ სამი კათოლიკური და ერთი გრიგორიანული ეკლესია (ჭიჭინაძე 1913: 276).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სამხრეთ საქართველოში იმოგზაურა არა ერთმა ქართველმა მოღვაწემ, მათ შორის იყო ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. იგი წერს, რომ „აჭარაში ქართული ენა... ისლამის გავლენით საგრძნობლად უნდა შესუსტებულიყო. თუმცა აჭარაში, მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო. ქართული ენა დღემდე შემორჩა ალბათ იმიტომ, რომ აჭარლებს არასოდეს შეუწყვეტიათ ურთიერთობა გურულებთან, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობლად სუსტდებაო“ (ბაქრაძე 1987: 40).

დ. ბაქრაძის ყურადღება მიიქცია ხულოს მეტყველებამ: „ხულას ორივე ენას გაიგონებ - ქართულსა და თურქულს, მაგრამ ახალი თაობის ქართული აქცენტი, ყველგან აჭარაში, თურქული ენის გავლენით უკვე დალატობს წმინდა გურულ წარმოთქმას“ (ბაქრაძე 1987: 62).

დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ აჭარაში დღემდე ხმარობენო ქართულ დამწერლობას, მაგრამ, თუ არ შეეჩვიე, ძნელად გასარჩევიაო. განმარტავდა, რომ „ქობულეთურ - აჭარული წერილები, რომელიც გურიაში მაჩვენეს, ძნელად იკითხება, ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად შეცვლილი ან დამახინჯებულია, სიტყვებში თანხმოვნის წინ ჩართულია ხმოვანი „ი“ (ბაქრაძე 1987: 72-73).

შენიშნავთ: დ. ბაქრაძეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ე. წ. დედაბრული ხელით შესრულებული წერილები. დედაბრული „დამწერლობა“, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ასომეტობა, გავრცელებული იყო ქობულეთში, შეიძლება იგი ჩაითვალოს ქართული საიდუმლო დამწერლობის ერთ-ერთ სახედ. შდრ. მზ. ხახუტაიშვილი.

დ. ბაქრაძე აკვირდება აჭარელთა მეტყველებას და გულმოკლული წერს: „აქ მოსახლეობისთვის ქართული ენა ან უკვე გამქრალია, ან ძალზე დაბეჩავებული“ (ბაქრაძე 1987: 72).

შავშეთსა და კლარჯეთში ნ. მარმა იმოგზაურა 1904 წელს. მასალები დაიბეჭდა 1911 წელს. ნიკო მარის განმარტებით, თურქული ენის ზეგავლენა განიცადეს იმერხეულმა, მესხურმა, ჯავახურმა, ინგილოურმა დიალექტებმა. იმერხევეში ქართული ყველგან როდი იციან, მაგ: დიობანში, შოლტისხევეში, აგარაში და ა.შ. მცხოვრებ ქართველებში დავიწყებას ეძლევა ქართული ტრადიციები, ქართული ყოფა. თანდათან შევიწროვდა ქართული ენა. სახელმწიფო ენა, თურქული, ჩვენებურთა მეტყველებაზე დიდ ზეწოლას ახდენს, შედეგად, ქართული ენა თანდათან დავიწყებას ეძლევა (იხ. მარი 1911: 76).

- ჭედილში ახალგაზრდებმა და ბავშვებმა ქართული თითქმის არ იციან. მხოლოდ მოხუცი ქალები ლაპარაკობენ. შეგვხვდა კარგი ქართულის მცოდნე ერთი მოხუცი, მაგრამ საუბრის დროს მაინც ურევდა თურქულ სიტყვებს (მარი 1911: 114).

- ვესაუბრე ერთ მოხუცს პორტადან, რომელსაც ძალიან ცოტა ესმოდა ქართული, მაგრამ თურქულის გარეშე ფრაზას ვერ დაამთავრებდა (მარი 1911: 130).

ბარემ აღვნიშნავთ, რომ ნ. მარის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული „დღიურები“ ითარგმნა და გამოიცა ქართულად: მთარგმნელი რ. დიასამიძე, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, შენიშვნები და რედაქცია პროფ. მ. ფალავასი (იხ. ნ. მარი 2013).

მოგზაურობის დროს თედო სახოკია აკვირდებოდა აჭარის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციებს, ენას... მკვლევარი მრავალ საინტერესო ამბავს იხსენებს.

„...ერთმა მოხუცმა, რომელმაც მასპინძლის როლი იკისრა, მითხრა: „ბრძანე, ბატონო!“ პირველად ვერ გავიგე იმისი ქართული და ჩემს თავს ვკითხე, რის თქმა უნდა – მეთქი! მაგრამ საჭმლისაკენ გამოშვებულმა ხელმა მიმახვედრა, რომ საჭმლის ჭამასა მთხოვდა და „საჭმელი მიირთვიტ“–ის ნაცვლად „საჭმელი ბრძანე“, ან მარტო „ბრძანე“ სცოდნიათ–მეთქი; ძნელი „საბრძანებელი“ გამოდგა აქაური საჭმელი... (სახოკია 1985: 62).

ასეთია ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. 1878 წლიდან აჭარა დაუბრუნდა საქართველოს და მისი „გათათრების“ პროცესსაც წერტილი დაესვა. თურქეთის შემადგენლობაში დარჩა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი - შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი, ოლთისი, კოლა, არტანო... ამათგან ქართული ჯერ კიდევ ისმის შავშეთში (იმერხევი, უსტამისი...), კლარჯეთში (მურღული, ლივანა, დევესქელის ხეობა), ტაოში (ელიასხევის ხეობის რამდენიმე სოფელი). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ნ. მარის მოგზაურობისას რამდენიმე ქართულად მოლაპარაკე სოფელმა სადღეისოდ დაივიწყა ქართული... თურქული ელემენტის გაძლიერება შეუქცევადი პროცესია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. ამიტომაც „ჭოროხის ქვეყნების“ კვლევა საშური საქმეა თანამედროვე ქართველოლოგიისათვის. მნიშვნელოვანია დაფიქსირდეს ის, რაც გადაურჩა ასიმილაციის პროცესს. გადაურჩა კი საკმაოდ ბევრი, იმდენი მაინც, რომ დაიხატოს ისტორიული სამხრეთ საქართველოს სურათი...

„ჭოროხის ქვეყნებში“ გადარჩენილი ქართული მნიშვნელოვანია ქართული დიალექტოლოგიისათვის და ლინგვისტური ქართველოლოგიისათვის ზოგადად. თურქეთის საქართველოს მკვიდრთა მეტყველებას დაუცავს მნიშვნელოვანი მოვლენები (განსაკუთრებით ლექსიკურ დონეზე), რომელიც პარალელს პოულობს ქართულ სამწერლობო ენაში (ცინცაძე, ფაღავა 1998:11) და ქართველურ ენებში (ფაღავა 2003).

ყველა მონაცემის გათვალისწინებით ისტორიულ სამხრეთ საქართველოში პროფ. მ. ფაღავა გამოყოფს შემდეგ დიალექტურ ერთეულებს: აჭარულს

(მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებითურთ), შავშეთურს, კლარჯულსა და ტაოურს (იხ. ფალავა 2003; 2004...). არსებობს სხვა მოსაზრებაც (ფუტკარაძე 1995).

კვლევის შედეგად გამოვლინდა: თურქული ენის გავლენა ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, - როგორც ლექსიკურ (უფრო მეტად), ისე ფონეტიკურ და გრამატიკულ დონეზე.

დაგროვდა მნიშვნელოვანი დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც ფასეულია ქართული ენათმეცნიერებისათვის. პრობლემა „თურქიზმები სამხრულ კილოებში“ ნაწილია დიდი პრობლემისა - ისტორიული სამხრეთ საქართველოს ყოფა, ფოლკლორი, მეტყველება, მატერიალური კულტურის ძეგლები, ისტორია, რომლის კვლევაც უმთავრესი პრიორიტეტია რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კვლევითი ცენტრისა.

რაც შეეხება საკუთრივ თურქიზმებს, თურქული ლექსიკის ქართულ მეტყველებაში გამოყენების შემთხვევებს, შევეცდებით რამდენიმე დამახასიათებელ მოვლენას მივაპყროთ ყურადღება და ვცადოთ ზოგადი სურათის წარმოჩენა.

თურქული ლექსიკის პრაქტიკული გამოყენების შემთხვევები რამდენიმე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ, უპირველესად, ყურადღებას გავამახვილებთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოვლენაზე – როცა კონტექსტში სიტყვის ძირი თურქულია, ხოლო მაწარმოებელი – ქართული, მაგალითად – ინსნები, არაბაში, დულუნში, მექთეფში, დოხტურები და ა.შ.

საუბრისას სიტყვების ასეთი გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. აქაურები, შეიძლება ითქვას, თურქულ სიტყვას, ქართულ სამოსელს აცვამენ. ცხადია, ეს მოვლენა მხოლოდ თურქიზმებთან მიმართებაში არ დასტურდება, ასეა „გაქართულებული“ ჩვენშიც ბარბარიზმების უმრავლესობა (სპიჩკები, შკაფზე და ა.შ.), მაგრამ თურქეთის ქართველთა მეტყველებაში მოჭარბებული თურქიზმების გამო ეს მოვლენა მეტისმეტად თვალშისაცემია.

განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა:

ინსანი - (არაბ. **İnsan** - ინსან) – 1. „ადამიანი“, „კაცი“. 2. „ადამიანური“: „იქავრ ინსნებს ვებუცე“. „ესა არ წყენს ინსნებს“.

თურქულ ენაში მრავლობითის მაწარმოებელია „lar“, ანუ თურქი „ინსანს“ მრავლობით რიცხვში გამოთქვამს როგორც **ინსანლარ – İnsanlar**, ხოლო ქართულ წინადადებაში უკვე ისმის ინსნები.

არაბა – (Araba - არაბა) – 1. „მანქანა“, „ურემი“, „საზიდარი“, „ეტლი“: „არაბაში ვიჯექ, გამუელი, ვუთხარ გეჩმიმ ოლსუნ-მეთქი“; ჩვენ სამი თანე ვართ, ადგილი არ გექნებათ არაბაში“; „შაჟდა არაბაზე და სოფელში წევდა“;

გურჯულაჲ – (Gürcüce - გურჯულჯე) – „ქართული ენა“, „ქართულად“: **Gürcü –** „ქართველი“ და **ca, ce –** არის მაწარმოებელი, რომელიც „ენას“ აწარმოებს: „ოქულეფში გურჯიჯა დერსი იყოს, კაი იქნება“; „გურჯიჯაზე სიმღერები თუ იცით ერთი დაამღერეთ“; „გურჯიჯა არ იჯებნებაო“; ცოტა პატინაი არიან და გეიგნებენ გურჯულჯაი“.

ამდენად, ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება ჩვენებურთა მეტყველებაშიც იძლევა თურქიზმების ერთგვარი გაქართულების საშუალებას. დასტურდება საპირისპირო მოვლენაც. კერძოდ, გვაქვს შემთხვევები, როცა თურქული ლექსიკა მოცემულია თურქული ძირითა და მაწარმოებლებით. აქ შეიძლება განვიხილოთ ორი კონკრეტული სიტუაცია. პირველი, როცა ქართული ლექსიკის უკმარობის გამო მოსაუბრე ავტომატურად გადადის თურქულზე და ამით ერთგვარად ავსებს ხარვეზებს. მაგალითად: **აქედან ზამთარში აქევრი სოფლის ვინცა არი, ისტანბულ, ანკარას, დიდ შეჰირებში საქმობენ, იქ წავლენ, ჰამა იქიდან, ზაფხული რო მოვა, მექთეფებში თათილი რო გახდება...**

ლექსიკური თვალსაზრისით სამხრული მეტყველება მეტად საინტერესო მასალას იძლევა. ტექსტებში გვხვდება დარგობრივი ტერმინები, როგორიცაა:

1. სასოფლო-სამეურნეო, საოჯახო ნივთების აღმნიშვნელი ტერმინები. მაგ: **ოდა, ბარდადი, ბორეგი;**
2. ტანსაცმლის აღმნიშვნელი სიტყვები: **ფანთოლონ;**
3. ტოპონიმები, რომლებიც თურქული აფიქსებით არის გაფორმებული. მაგ: **გორა-ლარ, მინდორ-ლარ** და ა.შ;
4. მუსლიმანურ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ტერმინები: **ბაჰრამი, მედრესე, რამაზანი;**

5. სამშენებლო ტერმინები: დირელი, არაბა და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ნ. მარის, მ. ხუბუას, შ. ნიჟარაძის, ჯ. ნოლაიდელის, შ. ფუტკარაძის, მ. ფალავას, მ. ცინცაძის, ნ. ცეცხლაძის და სხვა მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი მასალები, ასევე საველე ექსპედიციების დროს ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები. შესადარებლად გამოვიყენეთ სხვადასხვა დიალექტებისა და ქართული სამწერლობო ენის მონაცემები. დაგვიგროვდა მრავალფეროვანი მასალა, რომლის ლინგვისტური ანალიზის პირველი ცდაა ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი.

თავი 1. ფონეტიკური ცვლილებანი თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლის ერთ-ერთი გზა თურქიზმებზე დაკვირვებაა. კერძოდ, საინტერესოა, რა ცვლილებებს განიცდის თურქული ენის ლექსიკა, რამდენად ინარჩუნებს საკუთრივ ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს ჩვენებურთა ქართულ მეტყველებაში.

მიუხედავად თურქული ენის გავლენისა, თურქეთის ქართველთა მეტყველებამ შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკა. ბევრი ნასესხები სიტყვა იმდენად მყარად ჩაჯდა ჩვენებურთა ლექსიკურ ფონდში, რომ ქართული უფრო ჰგონიათ, ვიდრე თურქული.

ქართველთა მეტყველებაში თურქული და ქართული ენების ურთიერთგავლენაზე ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე მოვლენას: ზოგჯერ ქართულის გავლენით თურქული სიტყვის ბგერწერა შეცვლილია. შეიმჩნევა ბგერათა მონაცვლეობის, ბგერის დასუსტებისა და ბგერათა დაკარგვის შემთხვევები.

საბოლოოდ ბგერათცვლილებებით თურქული ენიდან ნასესხები სიტყვა ექვემდებარება ქართული წარმოთქმის კანონზომიერებებს.

§1. გ : ღ თანხმოვანთმონაცვლეობა ნასესხებ ლექსიკაში

ჩვენებურთა მეტყველებაში ყურადღებას იპყრობს „გ-ღ“-ს ბგერათმენაცვლება. მონაცვლეობა ხდება როგორც ანლაუტში, ისე აუსლაუტში. მაგ:

ღირეგი : ღირელი – (<direk - ღირექ - „ბოძი“, „ხე“):

„ის ღარჭი ღირელზე იყო მიკრული“ (შავშ.); „ჩვენი ძაილის იქედამ ბევრი ღირელგია“ (იმ.); „სახურავის ქვეშ ღირელგია დაგებული“ (იმ.); „ბოსელში ღირელგები დუუგიან“ (ხობ.); „იქავენ ორი ღირელი ასვია“ (მაჭ.); „ღირელი ექანება“ (ბ.); „ქმარსაც დეიჭერენ, მიაკრენ ღირეგზე“ (ბაზგ.); „სელჩუკ თურქებს ღირეგზე მიუკრიან“ (შავშ.)...

შდრ. აჭარულ დიალექტში გვხვდება ღირელი - (direk - ღირექ) - „ღირე“, „ბოძი“:

„მაგ საბძელს თუ დირელები არ დუუბჯგინეთ, ქარი წააქცევს“; „ბოლოს, აჰა გამოჩნდა მთელი ტყე ნავთსადგურში მდგარ დირეგებისა“ (ნიჟარაძე 1971: 181).

„ღალიბა“ - (<არ. Galiba - გალიბა - „როგორც ჩანს“, „როგორც ეტყობა“, „ალბათ“. თურქულად წარმოითქმის „გალიბა“, ქართულად - „ღალიბა“):

„ბუხური აუგუსტოს თხუთმეტზეა ღალიბა“ (იმ.); „ისინი ღალიბა ქალაქში წევდენ“ (იმ.); „ღალიბა შემეშალა ეს ჭრელია“ (იმ.); „ღალიბა ბიძიაშვილი ყოფილა მათი“ (ბაზგ.); „ღალიბა იმასა სამი-ოთხი შვილი ყავს“ (ბაზგ.); „ისე მოკდა ღალიბა მშობლები არ უნახია“ (ბ.); „ღალიბა ის ხასანაი იყო, იმისი ძმა“ (შავშ.); „მემლექეთო, მემლექეთო, შენ უნახველაი ვკვდები ღალიბა“ (შავშ.); „სახლში არ იყვნენ ღალიბა“ (იმ.); „ღალიბა ის იყო“; „ღალიბა ძინავს“ (შავშ.)...

„ღეფლეთი“ (<არ. geflet - გეფლეთ - „ძილ-ღვიძილი“, „უყურადღებობა“, „უცოდინარობა“, „რული“ შდრ. „არც ძილი, არც ღვიძილი“ (ნიჟარაძე 1971: 362). იწერება „Geflet“, თურქულად წარმოითქმის „გეფლეთ“, ქართულად - „ღეფლეთ-ი“):

„მე მგონი ღეფლეთი მაქ“ (შავშ.); „გუშინ ანკარას ვიყავ და ძალიან ღეფლეთი ჩამაწვა“ (იმ.); „შენ თავი გტკივა, ღეფლეთი ხომ არ გჭირს“ (ხობ.); „ღეფლეთი დამაწვა თვალეზე, მივწვენა პაწაი“; „საზღვარზე ვიყავ და ღეფლეთი მომივდა“ (ხობ.); „ღეფლეთ რა სოი ეტყვიტ გურჯულადა“ (უსტ.)...

„ყაბურღა“ (<kaburga - ქაბურღა - „ნეკნი“, „გვერდი“ – იწერება „Kaburga“, თურქულად წარმოითქმის „ქაბურღა“, ქართულად - „ყაბურღა“):

„ავარიაში მოვყევ და ყაბურღა გიმიტყდა“ (იმ.); „ყაბურღა ძალიან წარეა“ (ხობ.); „ის ექიმთან იყო, მე მგონი წეღეცა და ყაბურღა გუუტყდა“ (უსტ.) „ექიმმა უთხრა, ყაბურღა გაქ გატეხილიო“ (უსტ.); „არაბა დეეჯახა და ყაბურღა ეტკინა“ (უსტ.); „შოლტიც ევლებსა ერთი ყაბურღა მეტი აქუნანო“ (იმ.); „ყაბურღაზე მწვებოდა“ (იმ.); „წეიქცა და ყაბურღა მეიტეხა“ (იმ.)...

„ყავღაჯი“ (<kavgacı - ქავღაჯი - „მოჩუბარი“, „ჩუბისთავი“ – იწერება „Kavgacı“, ქართულად წარმოითქმის „ყავღაჯი“):

„ის ღარჭი ცოტა ყავღაჯია“ (ჩაქ.); „ფაშას ქალი კაი ყავღაჯია“ (იმ.); „შერიგ ბეგის ბაღვებზე გიმიგია, ყავღაჯები არიანო“ (უსტ.); „ჩემი დედეი ძალიან ყავღაჯი

ყოფილა“ (მეზ.); „იმათი ბაღვები ყავლაჯი არიან“; „ორი ზამანი აქ არიან ყავლაჯობენ“ (შავშ.); „ის ჰუსეინაჲ პაწიობაში ბევრ ყავლაჯს აკეთებდა“ (ხოხ.)...

დულუნ//დუგუნ - (<„düğün“ - დულუნ) - 1. „ქორწილი“, „ლხინი“, „საქორწილო ზეიმი“. 2. წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ლხინი. იწერება როგორც „düğün“, მაგრამ იკითხება როგორც „დუფუნ“ (ლექსიკონი 2001:391).

განმარტებით ლექსიკონში „düğün“-ი ძირითადი მნიშვნელობით ნიშნავს „ქორწილს“, „ლხინს“, ხოლო გადატანით - ბავშვის დაბადებასთან და წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებულ ლხინს (ლექსიკონი 2005: 1828).

„düğün“-ი აჭარულ დიალექტშიც „sünnet düğün“-ის მნიშვნელობითაა დამკვიდრებული („წვეულება“, „ლხინი“), იმავე ფორმით არის დადასტურებული თურქულ ენაში.

düğün - ქვემო აჭარულში ისმის **დუგუნი**, ხოლო ზემო აჭარულში უფრო გვაქვს **დულუნ** ფორმა.

სიტყვა დუგუნი გაქართულებული ფორმაა დულუნი'სა.

შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ **დუგუნ**-ი აჭარულ დიალექტში თურქული გზით დამკვიდრდა. აჭარულ ლექსიკონში სუნნეთ-დუგუნის მნიშვნელობით არის განმარტებული. მაგ:

„სად მღერიან, სად უკრავენ?

ჩემს მეზობელს, გენაცვალე,

დიდი სუნნეთ-დუგუნი აქვს“ (მ. ვარშ; ნ. მარი იმერხ.; შდრ.

საბა თ. წინადაცვეთა სუნათ).

შავშელები მეტყველებაში ამ სიტყვას წარმოთქვამენ ორი ფორმით. 1. „დულუნი“:

„დულუნ დუუცადევთ, დულუნ და ემესა წეიღებ სუ ყველა ფერსა“ (შავშ.); „კაზინოში დულუნი იქნება“ (იფხ.); „ორ დღე დულუნი იქნება იქნა წევდოთ“ (თხილ.); „ჩვენ ერთმანეთი დულუნზე დევნახეთ“ (ერ.); „გოგონა ხვალ რომნა წევდეს, ამელამ დულუნი იქნება“ (ზ.); „წყალსიმერიდან რძალი გვყავს, ღარჭმა

მედნდომა, **დულუნი** ვქენით” (იფხ.); „**დულუნამდე** ხუთი ექვსი თვე გევიდა, ჰიჩ არ დიმინახავს” (შავშ.)...

2. **დუგუნი**. მაგ: „**დუგუნი** ვიცით ძუელებურა” (მაჭ.); „დეგენახეს ჩვენი **დუგუნი**” (მაჭ.); „**დუგუნობა** გუაქვა ამ ჰაფთას და გაწვევთ” (შავშ.); „**დუგუნია** იქ იყავ და უდინგლე” (ბაზგ.); „ოთხი დღე არი **დუგუნი**”; „**დუგუნში** შენ მისვლა გინდა, მიხვალ, ისეირებ რამე არ უნდა” (ბაზგ.); „**დუგუნ** რას ეტყვით თქვენ?” (დ.); „ბამგირეთ **დუგუნია** გედხვიდეთნა? ჩვენ თუ დეგვიძახებს წავალთ” (დ.). „**დუგუნამდე** ხუთი ექვსი თვე გევიდა, ჰიჩ არ დიმინახავს” (შავშ.). „**დუგუნი** იქნა. ადეთი არი. **დუგუნამდე** მისი მშობლები მოდიოდნენ” (შავშ.)...

ასევე ტაოურში, მაგრამ ძირითადად მაინც „**დუგუნ**“ ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ:

„აქვერი **დუგუნები** ზორ ლამაზია” (ქობ.); „ხუთ დღეში აქ **დუგუნი** იქნება, მაშინნა დუუდინგლო” (ქობ.); „**დუგუნი** გათავდება ხოჯას მუუსლეელი არ დააწვენენ” (ჩევრ.); „**დუგუნი** რომ იქნება ისინი ჩამოვლენ ისტამბულიდან” (ჩევრ.); „**დუგუნზე** ბევრ ისამებენ” (ჩევრ.)...

ნ. მარის აზრით, სიტყვა თურქული წარმოშობისაა.

ლაზურში **დულუნ//დუგუნ** ყირიმულიდან არის დამკვიდრებული და ერთმანეთის პარალელური ფორმით იხმარება.

1. „წუტა **დულუნის** ჟურენეჩ, ეჩ დივენ, ჰაი ბელი ვა რენ” (ვიწ. არქ.) „პატარა ქორწილში ოცი, ორმოცი კაცი იქნება” (ჩიქობავა 1936:312);

2. „აია ოხოს **დუგუნი** ეენ (ხოფ.) „ამ სახლში ქორწილია” (ლ. თანდილავა 2003: 37-38);

ბეგი//ბელი - „ბატონი“:

„მემლექეთში **ბეგობა** ყოფილა” (შავშ.); „მემლექეთში **ბეგებმა** ჩამოკიდება იცოდენ თავაწევლ, იგით კაცებზე” (შავშ.); „ამფერი კაცები არ ებლაყვებოდენ **ბეგებსა** და იმითვინ” (შავშ.); „შერიფ **ბეგის** ხასი ხალაი იყო ჩემი ანასი ანაი” (იმ.); „შერიფ **ბეგის** ძმები იყვნენ თემურ **ბეგი** და ბექირ **ბეგი**” (მეზ.); „ასლანის ბარტყი დუუკავია, ჩუუყუანია ბათუმ შერიფ **ბეგთან**. რომ მუუყუანია **ბეგთან**, ქობული ხარ, ბიჭოლ უთქუამს შერიფ **ბეგსა**” (იმ.); „ასლან **ბეგის** ბადვი ოღრეთმენია” (იმ.)...

შდრ. აჭარულში ბეგი - თავადის მნიშვნელობით გვხვდება: „იმ ბეგს უნდოდა აი ქალი ცოლათ შიერთო, მარა არ დანებდა ქალმა“ (ნოლაიდელი 1936: 43).

ლაზურში ბეგი // ბელი (არქ.) „ბატონი“:

1. „ბერე მუმის არ ბელიში ბოზო ქომეჩუ“ (არქ.) - „თავის შვილს ერთი ბეგის ქალიშვილი მიათხოვა“ (ჟღენტი 1938:19);

2. „აქონი ბეგი ექ ხეტენ“ (ათინ) - „აქაური ბეგი იქ მჯდარა“ (ჩიქობავა 1936:15,19);

სევორტიანის განმარტებით, ეს სიტყვა თურქულ ენაშია დადასტურებული და წყაროები დიდ სხვაობას არ იძლევა (Севортян 1978:97).

ლაზურში ყირიმულ-ყომანური ფორმითაა დამკვიდრებული (თანდილავა 2003:19).

თურქულში გვაქვს „ჭ“ ბგერა, იგი აღნიშნავს ისტორიულად არსებულ ფონემას, რომელიც არაბულ ალფავიტში „ღაინ“-ით აღინიშნება და წარმოთქმით ახლოს დგას ქართულ „ღ“-სთან.

ბგერა („ღაინ“) წერილობით ძეგლებში დასტურდება, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო თურქულში აღარ გამოიყენება, სამაგიეროდ შენარჩუნებულია დიალექტებში (Севортян 1955:27). მამასადამე, ძველი არაბულიდან მომდინარე „ჭ“ ბგერამ ადგილი შეინარჩუნა ორთოგრაფიაში, პრაქტიკულად იგი ავსებს თანხმოვნის ამოვარდნით გაჩენილ სიცარიელეს და ჟღერს დაახლოებით ისე, როგორც ქართული „ფ“. ამასთან, ისტორიულად არაერთ თურქულ დიალექტში შენარჩუნდა „ჭ“-ს რბილი ვარიანტი (Севортян 1955:28).

რაც შეეხება „ჭ“-ს, როგორც ვთქვით, იკარგება, ოღონდ არა უკვალოდ. კერძოდ: თანამედროვე თურქულში რბილ ხმოვნებთან მიმართებაში იწერება „ჭ“ და გამოითქმის როგორც ნახევარხმოვანი „ფ“-ტა. მაგ: იწერება „öğretmen“ (ოღრეთმენ) და იკითხება „ოყრეთმენ“ – მასწავლებელი; იწერება „öğrenci“ (ოღრენჯი) და იკითხება – „ოფრენჯი“ – „მოსწავლე“; იწერება „değil“ – (დედილ), იკითხება „დედილ“ – არა; იწერება „Değirmen“ (დეღირმენ) და იკითხება „დეფრმენ“ – წისქვილი; იწერება „Eğitim“ (ელითიმ) და იკითხება – „ედითიმ“ – „აღზრდა“, „განათლება“ და ა.შ.

მაგარ ხმოვნებთან **ჭ** წარმოითქმის, ოღონდ სუსტად. მაგ: „**kurbağa**” – „**ბაყაყი**”.
ცხადია, ეს საკუთრივ თურქული ენობრივი მოვლენაა, თურქულის დიალექტებისთვის დამახასიათებელი.

„**დეღილ**” – (უარყოფა), არა – იწერება „**Değil**” და იკითხება „**დეიღილ**”
ქართულად გამოითქმის „**დეგილ**” (იშვიათია „**დეღილ**“):

„ის ღარჭი მაჭახლელი **დეგილია**“ (შავშ.); „მამამთილი გურჯი **დეგილია**“ (იმ.);
„ისტანბოლშიც მაქ სახლი, ქირაზე **დეღილია**“ (შავშ.); „ისა მერჯიმეგ ჩორბა
დეღილია“ (იმ.); „ეს ბაღვი ინსან **დეგილია**“ (იმ.); „ის ჩემი ღარჭი **დეგილია**,
ხასანაის ღარჭია“ (იმ.)...

გ : ღ მონაცვლეობის შემთხვევა დასტურდება ძველ ქართულშიც:

მ. ძიძიშვილის დაკვირვებით, ძველ ქართულში ბგერათმონაცვლეობა შეინიშნება არა მარტო ქართულ, არამედ უცხოური წარმოშობის სიტყვებშიც, ავტორი აღნიშნავს, რომ **გ/ღ** ბგერათმონაცვლეობა **აგაბოს//აღაბოს** (საქმ. მოციქ. თ. 11,28) ბერძნულიდან მომდინარე ფორმებია (ძიძიშვილი 1960:84).

„**სალოდებელი**”, შდრ „**საგოდებელი**”: „ადგილსა რომელსა „**სალოდებელი**”
ეწოდების” A 1109 10 v,8.

მ. ძიძიშვილის დაკვირვებით, ამ წინადადებაში ნახმარ სიტყვას „**სალოდებელი**” თუ კავშირი აქვს „**საგოდებელთან**”, მაშინ „**სალოდებელში**” „**ღ**”
ბგერა „**გ**” ბგერის მონაცვლედ მიიჩნევა [ძიძიშვილი 1960:88].

ბ. ჯორბენაძის განმარტებით, **გ/ღ** და **ღ/გ** ბგერათმონაცვლეობა იმერულ და ქართლურ დიალექტებში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი ფორმების გვერდით, როგორიცაა: **ყველგან – ყოლღან**, **გააგზავნა – გააღზანა** (იმერული) ასევე: **ღორ-ხბო – გორ-ხბო** (ქართლური) (ფაღავა 2003: 340)...

„**დულმე**” – ღილი, იწერება „**Düğme**” და იკითხება „**დუმე**”, ქართულად გამოითქმის „**დუგმა**”:

„ის **დუგმეები** მომიტანე დავაზანა“ (იმ.); „აქიღამ **დულმე** ვინ აიღო?“ (ხობ.);
„ერთი **დუგმა** დაკარქულა“ (ინ.); „ხაჯერამ **დულმეები** დააკერა“ (უსტ.); „მაღაზიაში
წეი და **დულმე** იყიდე“ (შავშ.); „**დულმეები** ბევრი იყო ჰამა საცხა გეიბნა და ვერ

ვნახე, ეს დააკერე“ (უსტ.); „**დულმე** დავაკერე ჰამა თექრარ დეიკარქა“ (უსტ.); „მაღაზადან **დულმე** მეიტან“ (უსტ.)...

გოჭი > ლოჭი:

„გემრიელი ყოფილა სომხებისა **ლოჭები**... **ლოჭებ** ეტყვიან მას“ (ფალავა 2003.:181)

კატორღა > კატორგა:

„მემრე **კატორგაში** რუმ წამიყვანონ, წარბს არ შევიხრი“ (ფალავა 2003.:181)

საინტერესოა ასეთი დაკვირვება: თურქეთის საქართველოს მკვიდრნი თურქულად როცა საუბრობენ, წარმოთქვამენ „**დუღუნ**“. ქართულად მეტყველებაში კი აუცილებლად ისმის „**გ**“ ან „**ღ**“ (დუღუნ//დულუნ).

უკანა რიგის ხმოვნების შემდეგ „**ჭ**“ ბგერა ფაქტობრივად მიანიშნებს მანამდე არსებული ხმოვნის ხანგრძლივობაზე, რომელიც წარმოიშვა „**y**“ თანხმოვნის ამოვარდნის შემდეგ.

მაგ: („**siğmak**“ - „სიღმაქ“) – წარმოითქმება როგორც „**сыма́к**“ - „დატევა“, „ჩასვლა“, „**yağ**“ – წარმოითქმება „**йа**“ „ცხიმი“ (ლექსიკონი 2001:1244,1436)

თურქულში თანხმოვანი „**ჭ**“ სიტყვის დასაწყისში არ გამოიყენება, რადგან მოცემულ მდგომარეობაში ზემოთ ჩამოთვლილი ფონემები - „**გ**“ და „**y**“ არ შეინიშნება. ფონემა „**y**“ სიტყვის დასაწყისში თანხმოვნების შემდეგ ვერ შენარჩუნდა და ის შეცვალა „**გ**“-მ. თავის მყარ ვარიანტში, კერძოდ, არაბულსა და სპარსულში აღნიშნული თანხმოვანი „**y**“ V-V პოზიციაში ჩანაცვლებული იქნა მყარი „**გ**“-თი. მაგ: „**Galebe**“ – წარმოითქმის (**галэбэ**) - „გამარჯვება“, „ტრიუმფი“; „**gayret**“ – (**гайрэт**) - „გულმოდგინება“, „ძალისხმევა“ (Севортян 1955.:28; ლექსიკონი 2001:503).

„**გ**“ თანხმოვანი თურქულ ენაში მოცემულია ორ პოზიციაში. პირველში „**გ**“ უკანა სასისმიერია და წარმოითქმის თითქმის ქართული „**გ**“-ს მსგავსად. მეორე შემთხვევაში გაცილებით რბილია და წარმოითქმის რბილი „**გ**“-თი. მაგ: „**gonce**“ (გონჯე) – (**гонджэ**) (Севортян 1955: 27).

თანამედროვე თურქულში „**გ**“ ბგერა ჩვეულებრივ ისმის:

Gıybet – (გიებეთ) - „ზურგს უკან გაკიცხვა“, „გალანძლვა“, „ჭორობა“:

„გიიბეთი ინსანი მძულს“ (ქლას.); „გიიბეთლობა კაი არ არი“ (ტრაპ.); „გიიბეთლი ინსანი არ მეიწონება“ (უსტ.); „გიიბეთლობა ძალიან ცოდვაა და ნუ იტყვი“ (უსტ.)...

Karçı - (ქარჩიგი) – „შვავი“, „ზვავი (თოვლისა) თოვლის დნობის დროს“:

„ქარჩიგის თვეა მარტი-აპრილი“ (იმ.); „ქარჩიგის დროს ძლივს გადარჩა“ (შავშ.); „ისინი ქარჩიგში მოყვენ და გადარჩენ“ (უსტ.); „ქარჩიგის დროს სიარული საშიშია“ (უსტ.)...

Gaddar – (გადდარ) - „მკაცრი“, „სასტიკი“, „ულმობელი“:

„ის გადდარი კაცია“ (ხობ.); „ხასანაჲ ძალიან გადდარია“ (იმ.); „ხუსეინაი ძალიან გადდარი გახდა“ (შავშ.); „გადდარი კაცი იყო, წეიყვანეს და ჩამოახჩეს კალეში“ (ტრაპ.); „ჩემი ქმარი გადდარია“ (ტრაპ.)...

Gaip – (გაიფ) - „ფარული“, „უხილავი“:

„ის საქმე გაიფად გააკეთა“ (ტრაპ.); „გაიფი ინსანი წინ წავა“ (ქლას.);

Peygamber – (ფეიგამბერ) - „წინასწარმეტყველი“:

„ესა ჩვენ ფეიღამბერს უკან იყო“ (ინ.); „ფეიღამბერის დაბადების დღეზე ბადრამობას ვიჯებით“ (ქლას.);

„ეგლანჯა“ - „გართობა“, „წვეულება“, „დროის მხიარულად გატარება“ – იწერება „Eğlence“, თურქულად წარმოითქმის „ედილენჯე“, ქართულად ითქმება „ეგლანჯა“:

„სახლში არიან ბაღვები ელენჯობენ“ (იმ.); „მეიდანზე ღარჭი ელენჯობას იჯება“ (შავშ.); „ბაღვებით ეგლენჯა გუაქ“ (იმ.); „ეგლანჯა ვქენით და ბევრი ვისამეთ“ (იმ.) „უწინ ეგლანჯაზე ბევრს ვისამებდით“ (უსტ.); „ეგლანჯაზე იყო და ეხლა მოიდა“ (უსტ.)...

„აჰჩიეგი“ - „მზესუმზირა“, იწერება „Aycıgeği“ და იკითხება „აჰჩიეგი“ ქართულად ითქმის „აჰჩიეგი“:

„აჰჩიეგის მინდვრებო ზორ ლამაზია“ (იმ.); „აჰჩიეგი ხელიდადებაზე გაზდილა“ (იმ.); „აჰჩიეგის ძალი გერმიელია“ (იმ.); „მაღაზაში წაჲ და აჰჩიეგის ზეთი იყიდე“ (შავშ.); „აჰჩიეგი ეზოში დავგი“ (შავშ.); „აჰჩიეგი ბევრი ვთესე ჰამა არ მევიდა“ (შავშ.)...

მაზღალა - (mazgal - მაზგალ) - თურქულად იკითხება „მაზგალ“, „სათოფური“, „ხვრელი“:

„იაილას მაზღალები ქონდა, ქარი ფშიკინებდა“ (ქართ.); „იმის სახლს ბევრი მაზღალა ქონდა და იქ იმალებოდა“ (ქართ.); „მაზგალაში შეძვრა და დეიმალა“ (ქართ.); „მაზგალა გააკეთა და გაძვრა“ (ტრაპ.); „უწინდელი ბავშვები მაზგალებში ძვრებოდნენ“ (ტრაპ.)...

ლამაზი - (არ. gamaz - გამაზ) - „შურიანი“, „დამსმენი“, „მაბეზღარი“:

„ის კაცი ლამაზია“ (იმ.); „ლამაზი ინსანი წინ ვერ წავა“ (იმ.) „ლამაზი ინსანიდან გეშინოდეს უნდა“ (ად.); „ლამაზი ინსანი არ მიყვარს“ (უსტ.); „ლამაზი ინსანია და არ მივდივართ“ (ქართ.); „ლამაზობა სირცხვილი იყო“ (ქართ.); „ლამაზი ინსანი ძალიან ცუდია“ (ქართ.); „ი კაცი დადიოდა და ლამაზობას იჯებოდა“ (ქართ.); „ლამაზი ინსანი მალე უნდა მოკდეს“ (ქართ.)...

შდრ. ლამაზი - „ლამაზი კაცი ხარბი, შურიანი, მოშურნე, მოჯიბრე (შდრ. ღაზვი - ღაზვიანი - შურიანი, მოშურნე, ხარბი, ღვარძლიანი) (ნიჟარაძე 1971: 361).

სამხრულ მეტყველებაში ლ//გ („გ“-„ღ“) მონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში (შავშური, ტაოური), ისე საკუთრივ ქართულში (მაჭახლური). აღნიშნული ბგერათცვლილება გვხვდება ქართული ენის სხვა კილოებშიც (იმერული, ქართლური) და ძველ ქართულ სამწერლობო ენაშიც, რაც საყურადღებო ფაქტია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრულ მეტყველებაში დადასტურებულ ლ//გ (გ//ღ) თანხმომგანთმონაცვლეობას საფუძველი ქართულ საარტიკულაციო ბაზისშიც აქვს.

§ 2. კ : კ თანხმომგანთმონაცვლეობა ასიმილაციის საფუძველზე

სამხრულ მეტყველებაში ზოგჯერ (k) ქ (q) თანხმომგანი „ყ“-ს, ზოგჯერ კი „კ“-ს გვამლევს (გურგენიძე 1973:137).

ლესკი//ლექსი:

„ლესკები არ ვიცი“ (ბაზგ.); „ჩემ ანას ბაბომ, დედემ გამუთუქვა ლესკი (შავშ.); „ერთი ლესკი ამოვწეროთ მაღალ ხალღი ზეგნიდამა“; ლესკეფში დარჩება ჩემი სახელი“; „ზოგი ლესკი (ლექსი) მომგონდა, ზოგიც დამვიწყდა“ (იმ.); „ერთსა გოგო

ჰყუარებია, არ მუუცემიან და მერაყისკან **ლესკი** გამუუთქვამს” (იმ.); „ერთი გოგო გაქცევლა, ჩემ ანას ბაბომ, დედემ გამუუთქვა **ლესკი**” (შავშ.)...

ქლიავი//კლიავი:

„აქ **კლიავი**, თხილი იცის” (ნიოლ). შდრ. **ქლიავებიც** არის (ბაზგ.); „**კლიავები** ბევრი არი ბახჩაში“ (ხოხ.); „**კლიავი** ეხლა მოიდა“ (ტრაპ.); „ბევრი **კლიავი** არი და ჩამოკრიფეთ“ (ტრაპ.); „თარლას ბოლოს ბევრი **ქლიავის** ხეებია და მოკრიფეთ“ (ტრაპ.)...

შქერი//შკერი:

„წაბლისა არი, **შკერისა** (შქერისა) არი, ისენი ცოტა ჯიასალია და ჩვენი, აქევრი უფრო თეთრი არიან” (მერჯ.); „წამლათ ისე იტყვიან ქი, **შკერისა** (შქერისა) და ემეა უმფო კაა არიო” (მერჯ.); „ჩვენთან **შქერის** ფოთლებს საქონელს ვაძლევთ“ (მერჯ.); „**შქერის** ფოთლები სამკურნალოდ კარგია“ (მერჯ.)...

ქილომეტრი/კილომეტრი - „მანძილი“:

„ხოფიდან ყაჩ **ქილომეტრია** (კილომეტრია) ბათუმი?” (მერჯ.); „თერთმეტი **ქილომეტრია** ცენტრი გზიდან თამდე“; „ოთხი **ქილომეტრი** აქიდამ სოფლამდე“; „რამდენი **ქილომეტრი** გამეიარეთ აქამდე“ (ხოხ.); „ყაჩ **ქილომეტრია** ბათუმამდე“ (უსტ.); „ჩვენი სოფელი შეჰირიდან 6 **ქილომეტრია**“ (ქართ.); „დარჰს ვკითხე ჰამა არ იცის, რამდენი **ქილომეტრი** იქნება აჯაბა“ (ხეფ.); „ბორჩხიდან ბათუმამდე ყაჩ **ქილომეტრი** იქნება“ (თხილ.)...

ქართულ თუ ქართულის გზით შესულ სიტყვებში ქ : კ მონაცვლეობა თურქული წარმოთქმის გავლენით უნდა აიხსნას.

თათიქი//თათიკი - (telik - თელიქ) - სასროლი იარაღის ფეხი:

„გამოსწია **თათიკი** და ბრაგდა მიცა კაცსა შუბლში“ (თ.ქ.); „**თათიკი** მოწია და ესროლა“ (ტრაპ.); „**თათიკი** გამოსწია და გავარდა“ (ხოხ.); „**თივთიქი** წაიღო და ორმანში წავიდა“ (ხოხ.)..

კრავათი - (kravat - ქრავათ) - „ჰალსტუხი“, „ყელსახვევი“:

„**კრავათი** მუუბამს და მისი თავი კაცი გონია” (ინ.); „**კრავათი** დაბმით კაცი ხომ არ გახდები?!” (სტ.); „**კრავათი** ვუყიდე, არ მეიწონა“ (ტრაპ.); „**კრავათი** წითელი იყო და არ მეიწონა“ (იმ.)...

თივთიკი (tivtik - თივთიქ) - „ანგორის თხის მატყლის ძაფი“:

„თივთიკი თუ იქნება, ეილე, სხუა ძაფი არ მეიტანო“ (ინ); „დავრთე თივთიკი და ბაჭალას ვუქსოვ“ (ტრაპ.); „თივთიკით მეიქსოვა და არ მოეწონა“ (უსტ.); „მაღაზაში თივთიკის ძაფი არ იყო“ (უსტ.); „ნენემ თივთიკის ძაფი იყიდა და მეიტანა“ (უსტ.); „ამ მატყლისგან თივთიკს ვართავთ“ (უსტ.)...

ისკემლე (iskemle - ისქემლე) - „სკამი“, „მერხი“:

„ეზოში შემსიე დუუდგამს და ქუეშაც ისკემლე შეუდგამს“ (ინ); „ისკემლეს ქვეშ დეიმალა“ (უსტ.); „ოღრეთმენი რო შემოვდა ისკემლეს ქვეშოთ დეიმალა“ (ქლას.); „ისკემლეზე ქითაბები დააწყო“ (ქარ.)...

იშკილი – (işkil - იშქილ) - „ეჭვი“, „გუმანი“, „ვარაუდი“:

„იშკილი ეილო მეგემ“ (ედ.); „ჩემმა ქმარმა იშკილი ეილო და წევდა“ (უსტ.); „იშკილით გუუკეთებია“ (უსტ.); „იშკილი გუუჩდა და რა უნდა არ თქვა“ (ქართ.); „იშკილი ეილო და წევდა“ (ქლას.); „იშკილი გუუჩდა და ჰუქუმეთში წევდა, ჯერ არ მოსულა“ (ხოხ.);

კანჯა – (kanca - ქანჯა) - „კავი“, „ფოცხი“, „ბრჭყალები“ გადატ. მნიშვ. „კანჯა ვიციოთ“:

„კანჯას აქ ათი თორმეტი თანე თითიები“ (იმ.), „ბევრი კანჯები აქ ამ ჭრელსა“ (იმ.); „კანჯას შეგასობს და გეტკინება“ (ქართ.); „კანჯები შეასო და დობტურთან წევდა“ (ხოხ.); „კანჯა ქონდა შესობილი“ (ჩაქ.)...

კამპური – (kambur - ქამბურ) - „კუზი“:

„ხედავ კამპურიც აღარ გაქვალ“ (ტ.); „კამპური, კეხი აფნია“ (ინ.); „კამპური ამუუვდა და დეისხრიკა“ (ქართ.); „კამპური რო ამუუვდა დეილუპა საცოდავი“ (ქლას.); „ექიმთან არი კამპური ტკივა“ (ქარ.); „ზურგზე კამპური ამუუვდა და ექიმთან დადის“ (იმ.)...

კალორიფერი – (kalorifer - ქალორიფერ) - „ცენტრალური გათბობა“:

„ენ შიან ისტანბულშია კალორიფერები სახლებში“ (ტ.); „ოთახში კალორიფერი მაქ“ (უსტ.); „კალორიფერი რომ არ იყოს, გეიყინები“ (ხოხ.); „ოთახში კალორიფერია ჩართული და სიცხეა“ (ქართ.); „კალორიფერი მეიტანა და არ

გუუკეთებია“ (ხევწ.); „ეხლა კალორიფერი ჩართო და არ შეგცივდებათ“ (უსტ.); „კალორიფერი ჩართულია და ზორ ცხელა“ (უსტ.)...

თურქული გზით შემოსულ სიტყვებში ც-ით აღნიშნულ „k“ თანხმოვანი გვამლევს კ, ყ, ხ, ღ თანხმოვნებს.

ვ. პისაროვის განმარტებით, „k“ (კ) თანხმოვნის ნაცვლად სიტყვაში გვხვდება „კ“ თანხმოვანი. კ ტრაპიზონის მეტყველებაში წარმოითქმის ხშულად ისევე, როგორც სალიტერატურო თურქულში (Писаров 1901:175; შდრ: გურგენიძე 1973:138).

ს. ჯიქიას განმარტებით, ც-ის შესატყვისად „ყ“ და „კ“ თანხმოვნებით დაწყებული სიტყვები სხვადასხვა გზითაა შემოსული. მაგ: „ღარიბი“ - „ყარიბი“ (ჯიქია 1958:203, შდრ: გურგენიძე 1973:139).

გელინჯიკი – (gelincik - „გელინჯიქი“) - „ყაყაჩო“:

„გელინჯიკი ბალახი ბოსტანშია“ (იმ.); „გელინჯიკი დათესა და დეიჭირეს“ (იმ.); „გელინჯიკი საშიშია სახში, დიგიჭერენ“ (იმ.); „გელინჯიქი მეიტანა ღარჭმა“ (ქარ.); „გელინჯიქის გამო კალეში ზის“ (უსტ.);

დედიკოდი – (dedikodu - „დედიქოდუ“) - „ჭორი“, „მითქმა-მოთქმა“:

„დედიკოდუ გააკეთა მეზობელმა და დეიშალა“ (ქლას.); „დედიკოდი შევა, ბევრხან იქნება დანიშნული, ქორწილი მალე ვქნათ“ (უსტ.); „მისი ქალი დედიკოდუს იჯებოდა და დატია“ (იმ.)...

ესკერი/ასკერი – (არ. asker - „ასქერი“) - „მეომარი“, „ჯარისკაცი“, „არმია“:

„ჩუენი ვაროლაი ჰალა ესკერია. არ მუუთავებია ესკრობა“, „ყანისკენ წაველ, გადავხედე, ასკერები იყვნენ, ჩაველ, ყერიბი მეზრებია, ამოყარეს“; „აქიდან ჩვენი „ესკერი“ წევიდა“ (ივ.). „წევდა ჩემი კაცი ესკერში“ (უსტ.); „ჩვენმა ასკერებმა დამიჭირეს“ (დავ.). „ამ ასკერს ერთი თანე გურჯი ახლავს“ (ჩაქ.); „ასკერობა აქ ორი წელია“ (ჩაქ.)...

დუდუკი – (düdük - დუდუქ) - „სასტგენი“, „სალამური“:

„დუურტყი დუდუკი!“ (იმ.); „ჩუუსტვინა დუდუკით“ (უსტ.); „დუდუკით დადიოდა სოფელში“ (ხევწ.); „დუდუნებში წინ-წინ დუდუკებს უკრავდენ“ (ხევწ.);

„ქუჩებში დუღუკებით დადიან“ (ხევწ.); „უწინ დუღუკებზე ისამებდენ, ეხლა გარმონს დუღუკრავენ“ (ხევწ.)...

კუსკუსი – (kuskus - ქუსქუს) : „ვერმიშელი“, „ატრია“:

„კუსკუსი მიყუარს“ (იმ.); „კუსკუსი, შეჰერიე, ჰურიდან კეთდება“; „კუსკუსი იხარშება დეიცადე“ (უსტ.); „კუსკუსი ბევრი იყიდა და მოხარშა“ (იმ.); „კურნუზი მოიტანა ბევრი“ (იმ.)...

კურნაზი – (თ. kurnaz - ქურნაზ) - „ბოროტი“, „ჯადოქარი“, „ემმაკი“:

„კურნაზი ისა! რას არ მეიტყვიეფს ნეტაი?!“ (ჩაქ.); „კურნაზი ინსანი იტყუება“ (უსტ.); „კურნაზობას აკეთებდა და გააგდო“ (იმ.); „კურნაზობას ჩადის და ცოდვებს აკეთებს“ (იმ.); „ბევრი იყო სოფელში კურნაზი ჰამა ეხლა აღარ არიან“ (იმ.); „კურნაზი ინსანი არ ვარგა“ (იმ.)...

ლასტიკი – (lastik - ლასტიქ) - „რეზინა“:

„ლასტიკები მეიტანა ბევრი“ (იმ.); „ლასტიკი'ნა გუყუარო ამამი“; „ლასტიკი'ნა გუყუარო ჰამა მალე გაფუჭდა“ (იმ.); „ლასტიკი იყიდა, ჰამა ეხლანდელი არ ვარგა“ (უსტ.); „ლასტიკები გუყუარა, ჰამა მალე გამოძვრა“ (უსტ.); „ნენემ ისტანბულიდან მეიტანა ლასტიკები“ (ხევწ.)...

თესკერე – (teskere - თესქერე) - „საკაცე“, „საზიდარი“:

„ბაღვი მოიდა შუქრისანი, თესკერე მინდაო“; „თესკერეზე დადო და ისე წაილო“ (იმ.); „თესკერეზე ბევრი დააწყო და მეიტანა“ (იმ.); „თესკერეს თქვენ რას ეტყვიო“ (ხევწ.); „დიდი თესკერე მეიტანე და წეილე უფრო ბევრი დეეტევა“ (ხევწ.); „ჩემმა ბაღვმა თესკერე გააკეთა“ (ხევწ.)...

ლაზურშიც აღინიშნება ქ/კ ბგერათმონაცვლეობა. მთქმელი სიტყვას წარმოთქვამს როგორც „კალე“, ხოლო თურქულში გვაქვს „kale“ – (ქალე), რომელიც არაბულიდან არის შემოსული. მაგ:

კალე - (kale - ქალე) - „ციხე“:

„თამარა დოდოფალს გუუკეთებია კალე, ესკი კალე“ (იმ.)...

შდრ. „გონიას კალეს მოლიბდეს“ (ხოფ.) - „გონიოს ციხეში შეყარეს“ (ყიფშიძე 1939:3).

kale თურქულში არაბულიდან არის მიღებული; ხოლო ლაზურში „კალე“ უკავშირდება ყირიმულსა და გვიანდელ ოსმალურ ფორმას **kalä** (Радлов 1893:235; თანდილავა 2003:68-69).

„არ დიდი კალე ქოძირუ-დორენ (ვიწ.) - „ერთი დიდი ციხე ნახა“ (ყიფშიძე 1939, 57);

კაფლანი – kaplan – (ქაფლან) – ვეფხვი:

„კაფლანი შემოხვდა გზასა“ (იმ.); „აქა კაფლანები არ არიან“ (იმ.);

„გზას კაფლანი ქონაგუ (არქ.) - „გზად ვეფხვი შემოხვდა“; „სი გინონ კაფლანიში მჟა“ (არქ.) - „შენ გინდა ვეფხვის რძე“ (ჟღენტი 1938:40). ამ სიტყვაშიც თურქული თავკიდური ასპირირებული ხშული **k** თანხმოვანი მკვეთრდება და გვამღვეს **კ** თანხმოვანს (ლ. თანდილავა 2003:74).

ანლაუტში თურქული ასპირირებული **k** (ქ) ლაზურში გადმოიცემა **კ** აბრუპტივით. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სამხრულ კილოებშიც.

§ 3. ყ : კ თანხმოვანთმონაცვლეობა

აჭარულ დიალექტში გვხვდება ისეთი მაგალითი, რომელშიც უკანაენისმიერ მკვეთრ **კ**-ს ენაცვლება **ყ**: **ყართოფაა//ყართოფილაა - კარტოფილი:**

„ბათუმში ჩამოვბლაცუნდი, **ყართოფილას** ვყიდდი **განა**“ (ნიჭარაძე 1975:100).

„ესაც **ყართოფის** ყუა“ (იმ.); „**ყართოფილაი** მეგონებოდა“ (სტ.); „ჩვენთან მოდის ლახანა, ლობიო, კიტრი, **ყართოფი** (კარტოფილი)“ (ზ.); „აქ კარგად მოდის **ყართოფი**“ (ზ.)...

ყ : კ მონაცვლეობა თურქული წარმოშობის სიტყვებში:

აჭ. „საყიზ“-ი (ცხმორისი), თურქულში „sakız“ - „კევი“.

აჭ. „ჩიფლაყ“-ი - სამხრულ მეტყველებაში „ჩიფლაკი“: „ჩიფლაკი ნუ ეჭენები, ჭო!“ (თ.ქ.) თ. ლიტ. „çiplak“ - „შიშველი“ (ნოლაიდელი 1936,II:54; აბულაძე 1963:54; ფუტკარაძე 1993:643)...

არაბული წარმოშობის სიტყვებში: აჭ. „დეყეყე“, თ. „dakika“ - „წუთი“ (აბულაძე 1963:165).

ყამდალი//კამდალი – „ნაღები“ – „ნაწველის თავი არი ყამდალი, ყამდალის ძირაჲ ყველი, ყველის ძირაჲ საჭმელი“.

სალიტერატურო თურქულში გვაქვს „k” (**kaymak** - ქაიმაქ) – (ქ), ხოლო შავშურ მეტყველებაში „კ” „კაიმალი” – (kaymak - ქაიმაქ) - „ნაღები”.

კაიმალი – გვხვდება ლაზურშიც: „ნანაქ კაიმალი კაი იქიფტუ” (ხოფ.) „დედა კარგ არაჟანს ამზადებდა” (ა. თანდილავა);

ვ. რადლოვის განმარტებით, სიტყვა **kaimak** - „ნაღები”, „ნახარში”, „ბულიონი” დადასტურებულია ბარაბანულში, ყარა-ყირგიზულში, აზერბაიჯანულსა და ყირიმულში. ლაზურ დიალექტში **ნაღების** მნიშვნელობით არის შესული (ვიმოწმებთ: თანდილავა 2003:70);

ყაშული//კაშული - (kaşık - ქაშიქ) - „კოვზი“:

„ყაშულით შჭამდა შორვას“; „კაშულითა წყალს მარებენ, კაშულით წყალი რას მყოფნის“.

აჭარულში აღნიშნული სიტყვა თურქულიდან არის შემოსული (გურგენიძე 1973:19).

§ 4. ქ : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა

ბაშხა - (başka - ბაშქა) - სხვა:

„ახლა ბაშხა, ბაშხა საჭმელები გამოვდა“ (ქლას.); „წინწინ ბაშხა რაღაცეებს აკეთებდენ“ (იმ.)...

ქრისტიანები//ხრისტიანები:

„ისა მუსლიმანები არ ყოფილან, ხრისტიანები ყოფილან“ (ხევწ.); „ჭამელსა უთხრომია ქი, მე მუსლიმანი არ ვარ, ხრისტიანი ვარო, იმიტომ ვჭამო“ (იმ.); „ხრისტიანი დინი ქქონია, ხრისტიანობის ყიმეთი იცოდეო, ზოვლია ხრისტიანობა“ (იმ.)...

ოხლაგო//ოქლაგო:

„ოხლაგო გავათლევეი ბერსა გუშინ“ (ბაზგ.); „ოხლაგო მქონდა და ვათხუე“ (უსტ.); „ოხლაგო მეიტანა მაღაზადან“ (იმ.); „ოქლაგას ყიდის მაღაზაში და იყიდა“ (იმ.)...

ახრაბა – (თ. Akraba - აქრაბა) - „ნათესავი“:

„ჩხუტუნეთ ქყუავს ახრაბები – ჯაფერ, მენსხურ დელიასანოღლები“ (ბაზგ.); „მოკდენიხან უთქუამს ქი ნენესა, გეიხსნება კარები, ჩემი ახრაბა არ დაკარქოთო“

(ბაზგ.); „ჩემი ახრაბა არი ისა, იმისა ანაჲ და მე ახრაბა ვართ“ (ზაქ.); „ბალკონზე ჩემი ახრაბა იყო“ (შავშ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით, „ახრაბა“ - „Akraba“ - اكرابا ძველ თურქულში იკითხება „აყრაბა“, ხოლო თანამედროვეში გადმოსულია როგორც „აქრაბა“ და ნიშნავს „ნათესავს“ (ლექსიკონი 2001:42; ფუტკარაძე 1993:389; Kâmüsi 1989:23).

ჩვენებურთა მეტყველებაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც, იმის შესაბამისად ქართულად საუბრობს თუ თურქულად, სხვადასხვანაირად გამოთქვამენ ერთსა და იმავე სიტყვას. მაგ: თურქულად იტყვის „arkadaşımlar uğradı ve köye gittik. ქართულად კი იგივე წინადადებას შემდეგნაირად გამოთქვამს: „არხატაშებმა გამომიარა და სოფელში წავედით“. თუ შევადარებთ ფორმებს „არქადაშ“ და „არხატაშ“ ვნახავთ, რომ „დ“-ს „ტ“ ჩაენაცვლა, „ქ“-ს „ხ“, მაშინ როდესაც „ხანი“ თურქულში საერთოდ არ არის. ერთი სიტყვით, ნასესხებმა სიტყვამ ქართული შეფერილობა მიიღო.

არხათაში – (თ. Arkadaş - არქადაშ) - „მეგობარი“, „ახლობელი“, „ამხანაგი“:

„არხატაშებმა ისე რაცხა უთხრეს, მე რა ვიცი“ (ბუჯ.)...

სიტყვა „Arkadaş“ ორი ნაწილისაგან შედგება: „Arka“ - ზურგი და „Taş“ - იგივეა რაც „Daş“ داش და ნიშნავს თანამონაწილეს. სიტყვა-სიტყვით თანამეზურგეს (ლექსიკონი 2001:69-70; Sözlük 2005:384);

დობტორი – (Doktor - დოქტორ) - „ექიმი“, „მკურნალი“, „დოქტორი“ (აკად. ხარისხი):

„აჰმედ ხოჯა ჩუენსა იყო, ბერიძე, დობტურობაც ქონდა ხელში“ (მეზ.); „აქ დობტორი იყო და ბირ ჰაფთაში ერთხელ მივა“ (ისქ.); „დობტორთან მიიყვანა და გაასინჯა“ (ისქ.)...

დობტორი - دكتور ოსმალურში იხმარებოდა „დოქტორი“, ხოლო თანამედროვე თურქულში გადმოსულია „Doktor“ - „დოქტორ“ - (ექიმი) (ლექსიკონი 2001:363; Sözlük 2005:439; Kâmüsi 1989:629). სამხრულ მეტყველებაში გვხვდება „დობტორი“.

დობსა - (yoksa - იოქსა) - თურმე:

„ჩემ ცოლს გუუკითხეს, ქი: - შენ ზორით მი წეგიყვანეს, დობსა შენ მი წახველ?“ (ქართ.); „ე ქორწილი ბადრამოღლისთვინ გააკეთეთ, დობსა ჩვენთვინ მიო?“ (ქართ.);

„ჰუდუდმა გაგვარიგა, **ოხსა** ერთი ქოქი, ერთი სისხლი ვართ“ (ქართ.);
„გურჯისტანში ჩხუბინა ასწიოთ, **ოხსა** გაწყდება მილეთი“ (ტრაპ.)...

შახა – (şaka - შაქა) - „ხუმრობა“, „ცელქობა“:

„ასე მითხრა ჰემ **შახა**, ჰემ გერჩეე“ (ინ.); „აქა **შახა** მეჰელე გუაქ ძალიან“ (ინ.);
„ის ბევრ **შახაჯობს**“ (იმ.)...

შახაჯი – (şakacı - შაქაჯი) - „ხუმარა“, „ცელქი“:

„**შახაჯი** იყო ძალიან, დაგრებილი, სწორეს არ გეტყოდა“ (ინ.); „ერთი **შახაჯი** ნენეი იყო“ (ინ.)...

შაფხა – (şapka - შაფქა) - „ქუდი“:

„წყალში ჩაცვნილი ძუნანების **შაფხები** მეიცუა დენიზმა“ (თ.ქ.). „**შაფხას** აბურავს კაცსა“ (იმ.); „ის **შაფხიანი** კაცი ვინ იყო“ (იმ.)...

ილხი – (yilkı - ილქი) – „ცხენის რემა“, 2. „ჯგუფი“, „გროვა“, „ხროვა“:

„ბაღვების **ილხი** ადგებოდა სოფელში სასიარულოთ ლაზარიაზე“ (ინ);
„ამდენი **ილხი** რაფერ მეიყარეთ?“ (ინ.)...

თახუმი – (სპ. takım - თაქიმ) – 1. „ჯგუფი“, „გვარი“, „კოლექტივი“, „ჯიში“, „ნაკრები“:

„ჩაი **თახუმის** ჰევესი მაქ“ (ინ.); „ჰაფიზ ნური იყო ჰაჯი **თახუმიდან**“ (თ.ქ.) (ფუტკარაძე 1993:465).

§ 5. ქ : ყ თანხმოვანთმონაცვლეობა:

სალიტერატურო თურქულის „**k**“ თანხმოვანი ქართულში გვამლევს „ყ“-ს ძირითადად სპარსულიდან და არაბულიდან შემოსულ სიტყვებში:

„ყალემი“ – (არ. kalem - ქალემ) - „კალამი“:

„**ყალემი** მომე დავწერონა“ (იმ.); „**ქურშუნყალემი** გაქუან?“ (უსტ.); „**ყალემი** არ გაქ კაი, აურუფალი **ყალემი** კაია“ (ინ); (კალამი ნ. მარს მიაჩნდა რომ ქართულია).

„ყადი“ – (არ. kadı - ქადი) - „მოსამართლე“:

„ჟდას მეგემ **ყადი** იქა და უდინგლევს“ (იმ); „ავუქათში **ყადი** ზის და უსმენს“ (იმ.); „ჩემი ქმარი **ყადია**“ (იმ.)...

„ყაირათი“ – (არ. kayrat - ქაირათ) - „მოთმენა“, „გამძლე“:

„ჩუენი ძალი ყადრათლია, ყადრათით საქმობს“ (თ.ქ.); „ყაირათლი გააკეთე მეიგებ“ (უსტ.); „ისინი ყაირათლობენ“ (უსტ.); „ყადრათი ჰიჩ არ იცის იმ ქალმა“ (იმ.); „ყადრათით მოიგებ“ (იმ.)...

„ყაჰვე“ – (არ. kahve - ქაჰვე) - „ყავა“:

„ყაჰვეს დალევ თუ ჩაის?“ (უსტ.); „თქვენ ყაჰვე გიყვარან გურჯებს“ (უსტ.); „წრეველ გურჯი იყო, სულ ყაჰვეს სმევდა“ (იმ.); „ბავული იყიდა ყაჰვეერენგი“ (იმ.); „ჩემ ღარჰს ყაჰვეერენგი თვალეზი აქ“ (იმ.); „ესა ყაჰვეს დემლიგია“ (იმ.); „მოსულეზმა ყაჰვეც სუეს“ (იმ.); „ყაჰვეერენგი კასტუმი ვუყიდე“ (ორთ.)...

შარყი – (şarkı - შარქი) – „სიმღერა“:

„ფენა ლამაზი შარყეზი იცის და ღმერის“ (ინ); „გურჯი შარყი თუ იცი იმღერე“ (იმ.); „შარყი გურჯულაი არ ვიცი, თურქცა ვიცი“ (უსტ.)...

შარყიჯი – (şarkıcı - შარქიჯი) - „მომღერალი“:

„თურქიეში გურჯი შარყიჯეზიც არიან – ნეჯო, ილჰან ირემი, ზულფი ლივანელი“ (სტ); „დულუნში შარყიჯეზი მოყავენ და სამობენ“ (იმ.); „შარყიჯეზი ეზლა შეჰირში არიან და მოვლენ“ (იმ.)...

დელიყანლი - (delikanlı - დელიქანლი) - „ახალგაზრდა“, „ვაჟკაცი“:

„დელიყანლი იყო ევეიჯა ახალი“ (იმ.); „მაღალი ლამაზი დელიყანლი იყო“ (იმ.); „ბაზომ მიცა ლამაზი დელიყანლიაო“ (იმ.); „დელი ალა კაი შეხედული დელიყანლი ყოფილა“ (შავშ.); „ეს კაცი გამხდარა, ლამაზი დელიყანლი“ (იმ.); „ამუელ ჩევცვი, დევზურე, გავხედე ძუელი დელიყანლიო“ (იმ.); „დელიყანლები, იარეზიან აქეთ-იქით“; „კაი სიძე ვიყავ, მაღალი, ლამაზი, კაი დელიყანლი“ (ქართ.)...

ყაჩ – (kaç - ქაჩ) - „რამდენი“:

„ხოფადან ყაჩ კილომეტრია ბათუმი?“ (ბაზგ.); „უსტამისამდე ყაჩ კილომეტრში ჩახვალ?“ (იმ.); „ყაჩ კილომეტრი გამეიარეთ“ (უსტ.); „აქედან ისტამბულამდე ყაჩ კილომეტრია არ ვიცი“ (უსტ.)...

ყაჩ - چاق (ლექსიკონი 2001:757; Kâmüsi 1989:1017);

ყალე – (Kale - ქალე) - „ციხე“:

„თურქი კაც კლავს და ყალეს არ დაანგრევს?“ (ჩაქ.); „უსტამისის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა“ (უსტ.); „ქილისე არ არი, ყალე არი“ (უსტ.); „ყალეს გადმოღმიდან თერეფში დერგები იყო, იმდენი, შარაფხანე იყო თელი, ღვინო უკეთებიან“; „გალმა ყალე ჩანს, ართვინის ციხე, დვანა ყალე“; „გალმა ყალე ჩანს, ართვინის ციხე, დვანა ყალე“ (შავშ.); „თურქი კაც კლავს და ყალეს არ დაანგრევს?“ (ჩაქ.). „უსტამისის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა“ (უსტ.). „ქილისე არ არი, ყალე არი“ (უსტ.)...

ყოლაჲ - (Kolay - ქოლაი) - „ადვილი“, „ადვილად“, „უშრომლად“:

„ზემოდან ჩამოხვალთ ნეჯათთან, იქიდან ყოლაჲ“ (ბაზგ.); „თქვენი წერვა ჩეთინია, ჩვენი ყოლაჲ“ (დ.); „შიგან დავჟდეთ ყოლაჲ დაწერავ“ (დ.); „ახლა ისე ყოლაჲ“ (შავშ.). „ეხლანდელ საქმეს რა უნდა ყოლაჲ აკეთებ“ (შავშ.); „ჩემი ნენეი სხვას უნდოდა. ჩვენში მოკლა ზორ ყოლაჲ, გადააბრუნა და მოკლა“ (თხილ.); „თქვენ რაცხა ყოლაჲ დადიხართ“ (თხილ.)...

ყილიჯიც - (kılıç - ქილიჩ) - „ხანჯალი“:

„ყილიჯიც დააშპუნა მეგემ“ (იმ.); „ერთი გუმიშიც ყილიჯიც უჩუქებია“ (იმ.); „გუმუმის ყილიჯები ისტანბულ იყიდა“ (უსტ.); „ყვადაჯი ქნა და ყილიჯი დაარტყა ბახალას“ (უსტ.); „ბაბოი გაგულიანებულა ქი რატო არ ჭრის ყილიჯიო, ქვაზე დუურტყმია ყილიჯი და ქვა გაპობილა“ (თხილ.)...

ყირხი - (kırk - ქირქ) - 1. „ორმოცი“, 2. ყურანის მეორმოცე თავის ლოცვა, საკითხავი, რომელსაც უკითხავენ მძიმე ავადმყოფს შვების მიცემის მიზნით:

„ყირხ ვუკითხავ და მადლ მევეგე“ (თ.ქ.); „ესა ყირხ-ასინია“ (თ.ქ.); „ყირხ-ასინი არ იციან ეხლანდელმა გენჯებმა“ (თ.ქ.)...

თეყაუთი - (არ. tekaüt - თეჟაუთ) - „პენსიაზე გასვლა“, „პენსიონერი“, „მოხუცებული“:

„მაქვერი თეყაუთი გზაში რაფერ გუუძლევს“ (ინ.); „მე თეყაითი ვარ, არ ვმუშაობ“ (უსტ.)...

თელყინი - (არ. telkin - თელქინ) - „დარიგება“, „მითითება“, სულის მოსახსენებელი ლოცვა დასაფლავების შემდეგ სასაფლაოზე:

„ხანდახან ჩემ თავ თელყინ დუუძახეფ, გავაფრთხილებ, მოვკითხავ ჯულაბსა, რაფერ ეჰაზირება სიკვდილისთვის” (ინ.); „კდარსა რომე თელყინ დუუძახებენ, კდარი ერთ შეექანება, ჰკუაზე მუა მეგემ” (თ.ქ.)...

„მახლუყი” – (არ. **mahluk** - მაჰლუქ) - „ცოცხალი სამყარო”, „შექმნილი სამყარო”: „ევეთ, ბითუნ მახლუყები, კაია, უყუარს” (ინ.) (ფუტკარაძე 1993:500);

საბას ლექსიკონში გვხვდება სიტყვები **ტყბილი** და **ტკბილი**, და განმარტავს რომ თუ **ტყბილი** იგივეა, რაც **ტკბილი**, მაშინ ამ სიტყვებში **კ** და **ყ** ბგერათმონაცვლეობა აშკარაა. **კ/ყ** ბგერათმონაცვლეობა სხვა სიტყვებშიც შეინიშნება. მაგ: ყურდღელი (ლევიტ. 11,5) და კურდღელი (საბა) (ძიძიშვილი 1960: 89).

§ 6. ჩ (ჰ) : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა

სამხრულ მეტყველებაში, როგორც უცხოური წარმოშობის სიტყვებში, ისე ქართულში, ხშირად გვხვდება **ჰ/ხ, ხ/ჰ** მონაცვლეობის შემთხვევები:

h თანხმოვანი ქართულში გადმოდის ან **ხ**'თი (უფრო ხშირად), ან იხმარება **ჰ** და **ხ**'ანიანი ფორმები პარალელურად. უპირატესობა ხ'ანიან ფორმებს აქვთ.

ასეთი **ჰ/ხ** ბგერათმონაცვლეობის შემთხვევები ხშირია ქალისა და მამაკაცის საკუთარ სახელებში. მაგ:

ჰასანი/ხასანი – „ჰასანად (ხასანი) ვარ ბაირახტარი, აქდემირი” (ხევეწ.); „ჰასან (ხასან) ფაშამა ქალის წაყვანა შედტყვა” (იფხ.); „ჩვენ ჰასან ფაშამა ზორით აართვა ცხენი ქოროღლის” (იმ.)

ჰუსეინი/ხუსეინი - „ჰუსეინ (ხუსეინ) ხოჯა მუფთი გამხდარა” (ინ.); „ჰუსეინ (ხუსეინ) ეფენდი ბათუმს იყო“ (ინ.)...

ჰუსნა/ხუსნა – „ჰუსნა (ხუსნა) ეფენდი ჩამოსულა ბურსას” (ინ.)...

ჰურიეთ/ხურიეთ - „ჰურიეთ (ხურიეთ) ხანუმს, ასე მუუწადინებია” (იფხ.)...

„ჰურიეთ (ხურიეთ) ხანუმმა ბევრი ლოცვები იცის“ (იფხ.)...

აჰმედი/ახმედი - „სულთან აჰმედი (ახმედი) ჩვენზე მობმულია” (შავშ.)...

ჰაჯერი/ხაჯერი - „მე ჰაჯერად (ხაჯერად) მქვია” (ზაჰ.)...

თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ანბანის შექმნის ეპოქაში ჰ [h] ბგერა არ წარმოადგენდა ქართულისათვის დამახასიათებელ ფონემას. იგი VI-VII ს-ში ჩნდება ქართულში ხ [x] ფონეტიკური გარდაქმნით (გამყრელიძე 1989:152).

ხყოლია//ჰყოლია:

„კურდღელსა შვილები ხყოლია“ (მან.); „ჩემ დედეს ბათუმს ბევრი ახრებები ხყოლია“ (ჩაქ.); „იმა ორი თანე შვილი აქ ყავს ოთხი თანე ისტანბულს ჰყოლია“ (უსტ.); „ჩემ ბაბოს ოთხი ცოლი ჰყოლია“ (იმ.)...

ხრისტიანი//ჰრისტიანი:

„ესა ხრისტიანების ქილისეა“ (იმ.); „აქ ბევრი ხრისტიანების ქილისეები არის“ (იმ.); „ჰრისტიანებს უწინ დევნიდენ“ (უსტ.); „ქილისეებში ბევრი ხრისტიანების ჰაჩები იყო“ (ხევწ.); „აქ ბევრი ჰრისტიანების ქილისეები იყო და დაანგრის“ (ქართ.); „ჰრისტიანები ხართ თქვენ“ (ქართ.)...

ხევისი//ჰევისი:

„აენგემ ხევისი დადგა“ (იმ.); „მოდი ჩემმა ცოლმა ხევისი მეიტანა და ვჰამოთ“ (იმ.); „ჰევისი გააკეთეთ და ისე წეით“ (ჩაქ.); „ჰევისის გუუკეთებელი არ წეხვიდეთ“ (უსტ.)...

მიხქონდა//მიჰქონდა: „მიორე ბაღანაჲ მგელს რუმ მიხქონდა (მიჰქონდა), დედნახა ერთმა მონადირემ“.

ახორი – (ahir - აჰირ) - „ბოსელი“:

„ახალ წელიწადზე დედეი ახორიდან ამეიყუანდა პაწა კაკუნას და მთარუნიებდა სახლსა“.

სამხრულ დიალექტებში „ახორი“ გვხვდება როგორც კომპოზიტი. ახორიკარი (ბოსლის წინა მხარე, წინკარი, რომელიც დახურულია), ახორიჰავლი (ახორის დერეფანი) (ფუტკარაძე 1993:389).

„ახორი“ – (ახორია) ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია როგორც 1. ცხენის ბაგა (საბა) 2. სახლის მოშენებული (ან მოღობილი) სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ, - „ბოსელი“:

„სახლის უკან ახორში ჩალას ახმაურებენ (დ. შენგ.); წყლის პირას ნაუცბათევად გამართულ ახორში ცხენები დააბინავეს (ო. დგებ.). (ქეგლ 2008:922);

„ახორი“ ძველ ქართულშიც არის დადასტურებული და „ზოსელს“ ნიშნავს. „შევაღს ახორსა მათსა და აღჰქსნის კარაულსა მათსა“ (აბულაძე 1973:27);

ანახთარი – (anahtar - ანაჰთარ) - „გასაღები“:

„ანახთარი კარზე იყო დაკიდული“ (უსტ.); „ანახთარი არ დაქრეს ჰადმე“ (იმ.); „ის ანახთარი არაბასია“ (იმ.); „არაბის ანახთარი დუუკარქავს ჰაცხა“ (ინ.); „მანქანის ანახთარი დეიკარგა“ (უსტ.)...

ხებერი – (არ. haber - ჰაბერ) - „ამბავი“, „ცნობა“, „შეტყობინება“:

„თვით რომ ზეგანშია, ბარის ხებერი აღარ იცის“ (იმ.); „ბევრი ხებერი იცის იმ კაცმა“ (იმ.); „ხებერი მუუტანეს და ისტანბულს წევდა“ (იმ.); „ჩემმა ნენემ ბევრი ხებერი იცოდა“ (ჩაქ.)...

ბუხური – (არ. buhur - ბუჰურ) – იკითხება (ბუჰურ) - „საკმეველი“, რელიგიური რიტუალი, სულის მოსახსენებელი დღე:

„ბუხური კალვობაზე იციან, მარიობაში, აუგუსტოს თხუთმეტზეა ღალიბა“ (ინ); (ფუტკარაძე 1993:405);

თახთა – (tahta - თაჰთა) – (თაჰთა) - „ფიცარი“, „ძელი“, „ხე“:

„გაბანვენ თახთაზე“ (იმ.); „თახთა მოვაწყობთ“ (იმ.); „თახთით არი ეს სახლი გაკეთებული“ (იმ.); „ჩვენებურაში გაკეთებულია თახთა, იმაზე გაბანებენ“ (უსტ.)...

ახთაფოთი – (ahtapat) - „რვაფეხა“, „ურჩხული“:

„იქიდან რუსი ახთაფოთივით იყურება, ესნა დეინახოთ და ერთმანებ ფხარი'ნა მიცეთ“ (ფუტკარაძე 1993:388);

შეხი – (არ. şeyh - შეიჰ) – 1. მოხუცი მუსლიმანი მამაკაცი, 2. არაბეთის ერთ-ერთი ტომის ბელადი:

„მაქფრობით შეხი, ევლა ვერ გახდები“ (იმ.); „ისტანბულ შეხი იყო და მოკტა“ (იმ.)...

იხლამური – (ihlamur – იჰლამურ) - „ცაცხვი“:

„იხლამურის ჩაის ვსვამთ“ (უსტ.); „ამასა იხლამურსა ვებნევით“ (ბ.); „იხლამურის ჩაი გაცივებულზე კაი წამალია“ (იმ.); „იხლამურის ხე არი ისა“ (იმ.)...

ხავლი - (havlu - ჰავლუ) - „პირსახოცი“:

„ი თეთრი ხავლი გარეცხე?“ (უსტ.); „აქ ხავლები გავკიდე და აღარ არი“ (იმ.); „ხავლები ოთახშია“ (იმ.); „ხავლები გადმუყურია ქარსა“ (ჰ.); „ხავლები ვიყიდე და მეიტანე“ (იმ.)...

ხანუმი – (hanım - ჰანიმ) - „ქალბატონი“, „მეუღლე“:

„ხანუმსა ხათრინა უუშენო!“ (ინ.); „ესა ჩემი ხანუმია, დუნდაგუზელი“ (ინ.); „ჩემი ხანუმი იქითა მაჰალედანაა“ (ჩაქვ.); „ჩემი ხანუმი ანკარას წავიდა ბახალასთან“ (ჩაქვ.); „ჩემ ხანუმს ჰურიე ქვია“ (ჩაქვ.)...

ხაჩი – (haç - ჰაჩ) - „ჯვარი“:

„იმ წინდაზე დაჭრელებული აქ ხაჩები“ (იმ.); „კეცსა ჩუნში ხაჩით დააჭრელებენ ზირში“ (იმ.); „ხაჩი გულზე უკიდია“ (უსტ.); „თქვენთან ხაჩს ატარებენ, აქ იასაკი“ (თხილ.)...

ხოროზი – (სპ. Horoz - ჰოროზ) - „მამალი“. გადატ. „გამბედავი“, „ვაჟკაცი“:

„ეფეიჯა ხოროზი ქალი დარჩა“ (ინ.); „ბევრი ხოროზი იყო და დავკალი“ (უსტ.); „ხოროზმა დაკბინა“ (უსტ.)...

ხალა – (თ. Hâla - ჰალა) – „დედის და“ (დეიდა):

„ჩემი დიდი ნენეი შერიფ ბეგის ხალაი იყო“ (ბაზგ.); „ისა უნუთას ხალაა, აქ მევდა და ზამთარში წადის“ (ბაზგ.); „სიმღერა? – მე არ ვიცი. ჩემი ხალაი იმღერებდა“ (ბაზგ.); „ხალაა ანადს დაა“ (ხევწ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით Hâla – ხალა – **حالا** მამიდას ნიშნავს, ხოლო სალიტერატურო თურქულის ლექსიკონში „Hâla“ ზოგან „დეიდას“ ნიშნავს, ზოგან „მამიდას“. აღმოსავლეთ თურქეთში სიტყვა „ხალა“ დღესაც გამოიყენება და ნიშნავს „მამიდას“. შავშურში ხალა დეიდას აღნიშნავს (ზოგჯერ მამიდასაც ეძახიან - მ. ფაღავა).

ხისიმი – (Hisım - ჰისიმ) – „ნათესავი“, „ნათესაობა“:

„გამოგწიოს, წედლოსნა გურჯისტანში, ბათუმში, გამოგწიოს, კადა, შენი ხისიმი დიგინახავს“ (ბაზგ.); „გურჯისტანში არიან ჩვენი ხისიმები“ (იფხ.). „ბათუმს ბევრი ხისიმები გვყოლია“ (იფხ.); „ჩვენი დედი ბათუმს დადიოდა, იქ ბევრი ხისიმები იყვნენ“ (იფხ.)...

ხისიმი – Hisım - **حسım** – „ნათესავი“ (ლექსიკონი 2001:613; Kâmüsi 1989:582).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ფარინგალური ყრუ „h“ სპირანტი დიალექტებში გვადლევს უკანაენისმიერ, ნაპრალოვან, ყრუ ფშვინვიერ „h“ (ხ) თანხმოვანს.

აჭარულ დიალექტშიც განსაკუთრებით ქობულეთურში, შეინიშნება ჰ//ხ-ს მონაცვლეობა:

ქობულეთურში, რომლისთვისაც საერთოდ დამახასიათებელია „ხანმეტობა“, ხ ყველა პოზიციაში ცვლის ჰაეს:

ჰაზირი//ხაზირი (ქობ.) - მზა, მზა მდგომარეობაში, - გამზადებული:

„რაც გულში გაგიარს საჭმელები, ხაზირი იქნებაო“ (ა. ზეპ.); „ცოტა კიდო მადრუე, ჯერ არ ვარ ჰაზირათ“ (ნიჟარაძე 1971 :447);

ჰალვა//ხალვა - (ქობ.) (არაბ. حلوى) - ერთგვარი ტკბილეული: მოწვავენ კარაქს, პურის ფქვილს მოუკიდებენ და მოხრაკავენ (წამოწითლებამდე), შემდეგ შაქრის ან თაფლის შარბათში შეხევენ და ცომითვი სქელ მასას რომ მიიღებენ, ბურთივით დააგორგალებენ.

„ხალვა-შექრით შეკაზმულო,

ყაიმაღზე უფრო ტკბილო“ (დ. კობ.) (ნიჟარაძე 1971: 448).

ჰავანი//ხავანი - „თამბაქოს საჭრელი მოწყობილობა, „დანა-დაზგა“:

„მარჯვენა სექვზე თუთუნის საჭრელი ჰავანი იდგა“ (ფ.ხალ.). შდრ. საბა თ. ტრედფილი აჰვანგ, ჰავანგ, აბულ, ავანი, შარაშ. ხავანი) (ნიჟარაძე 1971: 447).

ჰაფსი//ხაფსი (ქობ.) - „პატიმარი“, „ტუსალი“:

„ხაფსებს გზაში შეიყარა,

ხელი სტაცა ხელ-აფშაში“ (ა. ზეპ.); (ნიჟარაძე 1971: 449);

მუჰაჯირი//მუხაჯირი - ჩვეულებრივ, აჭარიდან ოსმალეთში გახიზნული, ემიგრირებული:

„ჰაჲდე, წევდეთ მუჰაჯირათ,

რა ლამაზი დარიაო;

ჩვენ რომ გემში ჩავჟდებოდით,

ჩვენი გული მკვდარიაო“;

„ხინო მუხაჯირათ მია,

ჭახათლებს სტკივა მუცელი“

(ა. ზეპ.) (ნ. სახ., ჟღ. ჭან. ტექსტ.) (ნიჟარაძე 1971: 278).

ჰამამი//ხამამი - (ქობ.) - „აბანო“:

„სინამდი ჰამამში არ გამოვშუშდი, ნამსხმანი მეჭდებოდა“ (ნიჟარაძე 1971: 448);

ჰაჯი//ხაჯი (ქობ.) 1. მუსლიმური სამყაროს „წმინდა“ ადგილებში მიმავალი მორწმუნე, პილიგრიმი წმინდათა ადგილთა თაყუანის მცემელი მაჰმადიანი“ (დ. ჩუბ.), მუსლიმანი, ვინც მექაში მოილოცავს, - მომლოცავი; **2.** მამაკაცის სახელი (ნიჟარაძე 1971: 449).

ჰასუთა//ხასუთა - „პურის ფქვილის ფაფა (დამტკბარი)“:

ტაფაში მოწვავენ კარაქს და მასში მოხრაკავენ პურის ფქვილს ოდნავ შეწითლებამდე, შემდეგ დაასხამენ ადუღებულ წყალს და წამოადუღებენ (ნიჟარაძე 1971: 449).

ჰერამი//ხერამი - (ქობ.) რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეერგება, - არამი, აკრძალული:

„ჰერამი იყოს! არმად, შხამად შეერგოს!“; „თუ სახლში არ გყოფნის, ჯამისთვინ ჰერამიო“ (ნიჟარაძე 1971: 450).

ცნობილია, რომ ყრუ ფარინგალური „ჰ“ ბგერა თურქულ ენაში ძირეულ სიტყვებში თითქმის არ არსებობს, რომ მან გააერთიანა არაბული და სპარსული ენების სამი თანხმოვანი („ჰ“, „ჯ“, „ჯ“), რომელთა ვარიანტები ნაწილობრივ შესაძლებელია შეგვხვდეს ცოცხალ მეტყველებაში (Севортян 1955:28; ლექსიკონი1998:699).

გაცილებით სუსტია „ჰ“-ს წარმოთქმა „ჰ“ თანხმოვანთან. სიტყვის დასაწყისში „ჰ“ ბგერა საკმაოდ მყარად წარმოითქმის. მაგ: hani – „სად?“, „hediye“ - „საჩუქარი“, „her“ – „ყოველი“, „ყველა“; „hemen“ – „ამაშინვე“, „დაუყოვნებლივ“ და ა.შ.

სამხრულ მეტყველებაში გვხვდება შემთხვევები, როცა სიტყვა ამოსავალი ფორმით იხმარება / შენარჩუნებულია ჰ:

„ჰედიე“ – (არ. hediye - ჰედიე) - „საჩუქარი“, „ძღვენი“:

„ბახალა დულუნზე ახრაბებმა ბათუმიდან ჰედიეები გამუგზავნეს“ (იმ.); „ოქროს ჰედიე დუუტოვა ნენემ საჩუქრად“ (იმ.); „ბაკალასაც ჰედიე ექნება“ (იმ.); „ფადიშაჰმა ჰედიე მიცა დედასა, გუმიშის ყილიჯი“ (სტ.); „ბევრი ჰედიეები იყიდა და მეიტანა“ (ჩაქ.)...

„ჰემენ“ – (სპ. hemen - ჰემენ) - „ამ წუთას“, „ახლავე“, „დაუყონებლივ“:

„იმ დედეს ლათინჯა ცოდნია, ჰემენ სკოლა გუუხსნია სოფელში“ (მაჭ.); „ჰემენ მიცეს“ (იმ.) (ფუტკარაძე 1993:692).

სიტყვაში თანხმოვნის წინ, ან თანხმოვნის შემდეგ ბგერა „ჰ“ სუსტდება, მაგრამ წარმოთქმის დროს მაინც რჩება. მაგ: „tehlike“ – წარმოთქმის („тэ́лике“) - „საშიშროება“, „რისკი“; „tehdit“ – (წარმოთქმის „тэ́дит“) - „მუქარა“, „დამუქრება“; „bühtan“ – (წარმოთქმის „бу́тан“) – „ცილი“, „ცილისწამება“ და ა.შ.

„ჰ“ ბგერა სუსტად ისმის სიტყვის ბოლოშიც:

„tezgâh“ – წარმოთქმის („тэ́згя“) – „დაზგა“, „allah“ – წარმოთქმის – („алла“) - „ღმერთი“ (Севортян 1955:90).

„ჰ“ ბგერა ფუძის ბოლოს ძირითადად გვხვდება არაბულიდან შემოსულ სიტყვებში, მაგ:

„სელგაჰი“ – (არ. selgah - სელგაჰ) - „წყალდიდობა“, „ნიაღვარი“:

„სელგაჰი იყო და წეილო ყველაფერი“ (შავშ.); „გასულ წელს ბევრი სელგაჰი იყო“ (შავშ.); „თქვენ სელგაჰ რას ეტყვიო“ (იმ.); „ხანდებან სელგაჰი იცის“ (მან.); „სელგაჰი იცის ამ მეჰელეში წვიმოზაზე“ (იმ.)...

„ჯერაჰი“ – (არ. Cerrah - ჯერაჰ) - „ქირურგი, „მკურნალი“:

„მეიყუანეს ჯერაჰი დობტური და აქ ცხოვრობდა“ (იმ.); „აქ ჯერაჰი იყო და ეხლა ისტანბულაა“ (იმ.)...

„ვალაჰი“ – (არ. vallah! - ვალლაჰ) - „ვფიცავარ ღმერთს“:

„ვალაჰი, ეს ვერ გადაგვარჩენს“ (ინ); „ვალაჰი მე არ ჩამიდენია“ (იმ.)...

„მაშალაჰი“ – (არ. maşallah! - მაშალლაჰ) - „აი ასე!“, „მშვენიერია!“:

„თუალი არ ეცეს, რა ლამაზი ბაღვი ქყოლია მაშალაჰი?“ (თ.ქ.); „მაშალა! მაშალაჰი! რა ლამაზია“ (იმ.)...

ე. სევორტიანის განმარტებით, „ჰ“ თანხმოვანი შესაძლებელია სიტყვიდან ამოვარდეს. მაგ: „çehre” - წარმოითქმის „ჩაჲჲ” - „ფიზიონომია” „სახე”, „გარეგნობა; „şehvet” – წარმოითქმის „შევეტ” - „გულისთქმა”, „ჟინი”; „müphem” – „მუ'ჲემ - „გაურკვეველი”, „განუსაზღვრელი”; „şüphe” – წარმოითქმის „შუჲჲ” - „ექვი”, „ვარაუდი” და ა.შ (Севортян 1955:90; ლექსიკონი 2001:251,1254).

სამხრულ მეტყველებაში არაბულიდან და სპარსულიდან შემოსულ სიტყვებში „ჰ” ბგერა იკარგება, როგორც V-V ჰოზიციაში, ისე სიტყვის ბოლოს. მაგ:

საიბი – (არ. sahip - საჰიფ) - „პატრონი”, „მფლობელი”:

„რათ უნდა საიბობა?” (ბ.); „გოგოს საიბი მოქთხოვს რიშვეთსა” (მაჰ.); „ის საიბი ჩვენი ახრახაა” (იმ.); „იმ ოტელის საიბი ჩემი დიშვილია” (იმ.); „დუღუნზე გოგოს საიბი არ ისამებს” (იმ.)...

„საილი” – (არ. sahil - საჰილ) - „ნაპირი”, „სანაპირო”, „დაბლობი”:

„ტრაპიზონში საილზე ზიდავს მეგემ” (შავშ.) „დენიზის პირი საილია” (იმ.); „საილზე დიდი სახლი აქ” (იმ.); „მთელი დღე საილზე ვისეირნეთ” (იმ.); „კაზინოდან საილზე წავიდნენ” (იმ.)...

„ფაალი” – (სპ. pahali - ფაჰალი) - „ძვირფასი”, „ძვირად ღირებული”:

„მაღაზაში ყუულაფერი ფაალი იყო” (იმ.); „ფაალი იყო და არ მეიტანა” (იმ.); „თურქიებში ფარჩა ფაალია, ალთუნ-უჯუზი” (იმ.); „ვერ წევლენ, გზა ოღლჩობა ფაალია” (ინ.); „ის ალთუნი ფაალი იყო ჰამა მაინც იყიდა” (უსტ.)...

„სიფთა” – (არ. siftah - სიფთაჰ) - „თავდაპირველად”, დასაწყისში”:

„სიფთა ხელზე იეფათ მომცა” (სტ.); „სიფთა მუშტრები ჩვენ ვიყავით” (ფათ.); „სიფთა ეილო ადრე” (ჩაჲ.);

„შეფხი” – (არ. şeyh - შეიჰ) - „მოხუცი მუსლიმანი მამაკაცი”, „არაბეთის ერთ-ერთი ტომის ბელადი”:

„მაქფრობით შეფხი, ევლად ვერ გახდები” (სტ.); „შეფხი არი ის კაცი” (იმ.)...

გვაქვს შემთხვევები, როცა ჰ ბგერა როგორც ხმოვნებს შორის, ასევე თანხმოვნების წინ მკვეთრად წარმოითქმის. მაგ:

„სიჰრიბაზი” – (არ. სპ. sihirbaz - სიჰირბაზ) - „ჯადოქარი”, „მატყუარა”:

„ჩემი ტადაი ძალიან სიჰრიბაზი იყო“ (შავშ.); „ის ქალი ძალიან სიჰრიბაზია“ (იმ.); „იმფერი სიჰრიბაზი თვალეზი აქ, ვერაფერს მოატყუეფ“ (იმ.); „იმფერი სიჰრიბაზია, რომე მე რანა მუატყვილო?!“ (ინ.)...

„სიჰინთი“ – (sihinti - სიჰინთი) - „მოწყენილობა“, „ნაღველი“, „სევდა“:

„ღარჭი მოუკდა და ძალიან სიჰინთი აქ“ (უსტ.); „ვაიმე, რაფერ სიხინთი მომიარა!“ (ინ.); „სიხინთი არ მოგაწევს, სული არ შიგიწუხდეს? (ინ.); „სიხინთი რა მაქ იცი?!“ (ხევწ.)...

„მაჰალე“ – (არ. mahalle - მაჰალლე) - „უბანი“, „რაიონი“:

„ბახალა იქითა მაჰალეში გავათხუე“ (ზ.); „ის იქით მაჰალეში წევდა“ (იმ.); „ეუბი ჩუენ მაჰალეში ზის“ (ინ.); „ჩუენ სოფელს ბევრი მაჰალეეზი აქ“ (იმ.); „იმ მაჰალეში ცხოვრობს ჩემი ღარჭი“ (იმ.)...

„მაჰლუყი“ – (არ. mahluk - მაჰლუქ) - „ცოცხალი სამყარო“, შექმნილი სამყარო“, „ცოცხალი არსება“:

„უკეთ ბითუნ მახლუყეზი, კაია, უყუარს“ (ინ.) (ფუტკარაძე 1993:500-501);

„მაჰრამა“ – (არ. mahrama - მაჰრამა) - „ცხვისრახოცი“:

„იმდენი იტირა მაჰრამა დაასველა“ (იმ.); „ჰურიეს მაჰრამა დარჩა“ (იმ.); „ამეილო მაჰრამა მენდილი, ჯეფმენდილი და ქალეზ უთხრა, გომირეცხეთო“ (იმ.); „გეიქეცი მაჰრამა მომიტანე“ (ზ.)...

„მაჰქემე“ – (არ. mahkeme - მაჰქემე) - „სასამართლო“:

„ჩემი ღარჭი მაჰქემეში მუშაობს“ (იმ.); „იმისი ღარჭი ხუსეინაი მაჰქემეზე მოკდა“ (იმ.); „მაჰქემეში შასულან, ავუქათი დუუკავიან“ (იმ.); „ამ არლის საქმემ შევდა მაჰქემეში“ (იმ.); „დეიჭირეს და მემრე მაჰქემეში უჩივლა“ (უსტ.); „მაჰქემეში მუშაობდა და ეხლა სახშია“ (უსტ.)...

„მაჰსუზ“ – (არ. mahsuz - მაჰსუზ) - „სპეციალურად“, განზრახ“:

„ამ საქმეს მაჰსუზ აკეთებს“ (იმ.); „ყასაბიდამ მუუტანია მაჰსუზ“ (იმ.); „ესა მაჰსუზ შორვებისთვის გაკეთებული ქერის საფანელია“ (იმ.); შდრ. მეხსუზ მალაპარიკეფს, ჩეფწეროს'და (ახალშ.); შდრ. მეხსუზ მალაპარიკეფს, ჩეფწეროს'და (ახალშ.)...

თანხმოვნის შემდეგ როგორც „ჰ“-ს (ჰ), ასევე „ჰ“ (ჰ) ბგერას სუსტი პოზიცია აქვს. მაგ: „*inhisar*” – წარმოითქმის „*ин^hисар*”, „*инисар*” – „შეზღუდვა”, „შემოსაზღვრა”; „*tashih*” – წარმოითქმება „*тас^hиh*”, „*тасиh*” – „გასწორება”, „გამოსწორება”.

„მერხემეთი” – (*merhemet* – მერჰემეთ) – „სიკეთე”, „სიმართლე”, „პატივისცემა”:

„შენ მერხემეთი იცი და ჰუქუმათსაც მაგიტო უყვარხარ” (ინ.); „შენ ბევრი მერხემეთი აკეთე და მაღლი გექნება” (ინ.)...

„მელჰემი” – (*melhem* – მელჰემ) – „მალამო”:

„მაგის მელჰემმა მომირჩინა იარა” (ინ.); „ჩემი ნენეი მელჰემს აკეთებდა და მკურნალობდა” (ინ.)...

როგორც ავლნიშნეთ, თანხმოვნის შემდეგ „ჰ“ (ჰ) გაცილებით სუსტ პოზიციაშია და შესაძლებელია მისი რედუცირება. მაგ: „*aşhane*” – წარმოითქმის როგორც რბილი „ჰ“ „*аш^hанэ*” – „სასადილო ოთახი”, „სასადილო”, „*rasathane*” – წარმოითქმის „*расат^hанэ*” – „ობსერვატორია”; „*dersane*” – „*dershane*” – „აუდიტორია”(Севортян 1955:91).

„ბუზხანა” – (*buzhane* – ბუზჰანე) – „საყინულე”:

„ქუეშაი სახლი ბუზხანა არი არ დეიწოლება” (იმ.); „ქუეშაი სახლი ბუზხანა არი” (ი.); „იმფერ ბუზხანაში რაფერ წვებიან, არ ვიცი” (თ.ქ); „ბუზხანა დიდია და იქ დააწყვე” (თ.ქ.)...

„ხათალი” – (*hatalı* – ჰათალი) – „არასწორი”, „შემცდარი”, „მოტყუებული”:

„იმ კაციდან ხათალია” (იმ.); „ხათალია ზავალი და ვერ მიმხდარა” (ინ.); „ხათალი ადამიანი ცოდვაა” (ინ.)...

„ხარაბა” – (არ. *harap* – ჰარაფ) – „ნანგრევი”, „დანგრეული”:

„ეს ქილისე ხარაბა, დანგრეულა” (იმ.); „ეს ქილისას ხარაბებია” (იმ.); „წამო ხარაბა გაჩვენო, გული გეტკინება” (ხობ.)...

„ხესისი” – (*hasis* – ჰასის) – „ძუნწი”, „ხელმომჭირნე”:

„ძალიან ხესისია, დამწუარია, ვერ გუუცოხნია, არ მემემშიოსო” (სტ.); „ხესისი კაცი ზენგინი იქნება” (იმ.)...

ხმოვნებს შორის „ჰ“ (ح) ბგერა არასაკმარისად მყარია. მაგ: „muhalif“ – წარმოითქმის „мухалиф“ – „მოწინააღმდეგე“, „დამაბრკოლებელი“; „muhabir“ – „мухабир“ – „კორესპოდენტი“, „რეპორტიორი“ (Севортян 1955:91).

აღსანიშნავია, რომ სიტყვის ბოლოში რბილი „ი“-ს შემდეგ „ჰ“ სუსტდება. მაგ: „fatih“ – წარმოითქმის „фати^h“ – „დამპყრობელი“, „დამპყრობი“ (Севортян, 1955:91).

„სემიჰა“ – (არ. semih - სემიჰ) - „კეთილშობილი“, „ხელგაშლილი“, (ქალის სახელი):

„ეიგერ მირზის ტინტილაი, სემიჰაია ტირტილაი“ (გულ.); „სემიჰაი ვიყავ, ჰამა არვინ არ ხედავს“ (ქლას.)...

„თარიჰი“ – (არ. tarih - თარიჰ) - „ისტორია“, „თარიღი“, „რიცხვი“:

„ის აბდულაი თურქ თარიჰის ოღრეთმენი არი“ (იმ.); „ამადა ამ თარიღში მოკდა“ (იმ.); „თურქ თარიჰ პროფესორი იყო“ (სტ.); „გურჯის თარიჰი მინდა“ (ბ.) (ფუტკარაძე 1993:464).

აღვნიშნავთ, რომ სამხრულ მეტყველებებში „თარიჰის“ პარალელურად იხმარება „თარიღი“. „თარიღში წერია“ (დავლ.); „თარიღში 'ნა ნახო და დეისწავლი“ (უსტ.)...

„თალეჰი“ – (არ. talih) - „ბედისწერა“, „იღბალი“:

„ეს ჩემი შავი თალეჰი, საცხან წაველ, თან წამყუა“ (იმ.); „კაცი რომ დეიბადება თალეჰი შუბლზე დეწერება“ (ხოხ.)...

ყველაზე მყარი პოზიცია აქვს იმ „ჰ“ ბგერას, რომელიც წარმოქმნილია „ح“ < „خ“ ბგერისგან. სასაუბრო ენაში ის ხშირად წარმოითქმება როგორც „ხ“, რაც დასტურდება თითქმის ყველა კვლევაში. ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით, „ჰ“ ბგერა თითქმის ყველა პოზიციაში და განსაკუთრებით სიტყვის დასაწყისში მკაფიოდ წარმოითქმის. მაგ: „hain“ – წარმოითქმის „haин“ – „მოლაღატე“, „გამცემი“; „halı“ – წარმოითქმება „halы“ – „ხალიჩა“; „haber“ – წარმოითქმის „habер“ – „ამბავი“ (Севортян 1955:91).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიტყვაში „ჰ“ თანხმოვანი ამოვარდნილია, მაგრამ წარმოთქმის დროს მაინც ისმის. მაგ: „eczane” – „eczahane” – „აფთიაქი”; „postane” – „postahane” – „ფოსტა”.

„სიფთა” – (siftah -სიფთაჰ) – „დასაწყისში”, „პირველად”:

„სიფთა ძალიან გვეშინოდა” (სტ.); „სივთე იზმირში მქონდა სასტუმრო” (სტ.)...

„აოთ – (yahut – აჰუთ) – კავშ. ან, თუ:

„აოთ აქამდე გაზომე“ (ინ.); „ექვს ტკაველზე გამოვხევე, აოთ მეტზე” (ინ.); „აოთ ყავს და პურ ეძეფს” (ინ.); „აოთ კატა ყავს და აჭუმევს“ (უსტ.)...

„სია” – (siyah - სიაჰ) – „შავი”:

„სიაჰ ჩანთა მინდა ზალიან“ (უსტ.); „გვაცვია სიაჰ საია, ამაზე ვართ მიჩვეული” (ინ.); „სია ზალიან უყვარან გენჯებს“ (იმ.)...

„ჰარეჟეთ” – (არ. hareket - ჰარეკეთ) – „მოძრაობა”, „მოქმედება”:

„ამდონ ჰარეჟეთ რაფერ უთევს?” (ად.); „იმდენი ჰერეჟეთი გააკეთა“ (უსტ.)...

„ჰიქმეთი” – (არ. hikmet - ჰიქმეთ) – „ბრძენი”, „ფილოსოფოსი”:

„რაფერ ყველა თერეფიდან ხებერი გაქ, ჰიქმეთი ხარ, ჯანუმი!” (ად.); „ჩემი დედეი ჰიქმეთი კაცი იყო“ (ად.)...

„ჰემშირე” – (სპ. hemşire - ჰემშირე) – „ექთანი”, „ექიმის თანამემწე”:

„ჰემშირე კარქა ემსახურებოდა” (ინ.); „ჩემი ბახალა ჰემშირე არი მერქეზში“ (იმ.); „ჰემშირედ მუშაობდა ათი წელი“ (იმ.)...

„ჰათა” – (არ. hata - ჰათა) – „შეცდომა”, „უზუსტობა”:

„ამჯელაი ჰათა იქნა” (ინ.); „იმდენი ჰათა გააკეთა, რომ დეიჭირეს“ (უსტ.)...

„ჰაზირი” – (არ. hazir - ჰაზირ) – „მზა”, „მომზადებული”:

„ახლა ვიღეფთ ჰაზირ ფქვილ, ჰაზირ ფქვილ ევღეფთ, იმა აღარც ვფქვავთ, აღარც ვთესავთ” (ჩაქ.); „ლახანას აღარ ვთესავთ, ჰაზირ ვიღეფთ ჩვენც” (ჩაქ.); „ანჯახ ჰირიან ჰაზირსა”; „ყველაი აქ ჰაზირ ვჭამთ” (დ.); ზარმელი ჰაზირია, ჭამეთ” (დ.); „აქედან ჰაზირი მიაქვან ჩემ ემეებსა“ (იმ.); „ჰაზირი ზორ კაია“ (იმ.); „ანჯახ ჰირიან ჰაზირსა” (იმ.); „ყველაი აქ ჰაზირ ვჭამთ” (ინ.); „ღარჭი ჰაზირ არი მუა ახლა“ (შავშ.); შდრ. ხაზირი ლობიას ჭამაა ადვილი (ქობ.)...

ქართული ენის დიალექტებში (ინგილოურში) „ყ“ ან „ხ“ ბგერის წინ გვხვდება რბილი „ხ“, რომელიც გარდამავალი ბგერაა „ხ“-სა და „ჰ“-ს შუა; არის ისეთი შემთხვევები, სადაც „ჰ“ ან „ქ“ თანხმოვანთა ნაცვლად ივარაუდება რბილი „ხ“ (ჰყ-ხყ, ქყ-ხყ ორივე შემთხვევაში ივარაუდება რბილი „ხ“). მაგ: „გაჰყიდე“ – „გახყიდე“. ზოგჯერ გვხვდება „დაჰხურა“ – „დახხურა“ ფორმებიც (აქაც რბილი „ხ“ ივარაუდება) (ჯორბენაძე 1998: 69-70).

შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ ზემო აჭარულ კილოვაში განსაკუთრებით უცხოური წარმოშობის სიტყვებში, „ჰ“ ბგერა ინარჩუნებს თავის ადგილს, როგორც დასაწყისში, ისე სიტყვის შუაში. მაგ:

„ჰელალი – (ალალი), ჰერამი – (არამი), ჰექიაფ – (ზღაპარი), „ჰაზირი“, „გაჰაზირება“, „მოჰაზირება“: ამ სიტყვებში ქობულეთურში „ჰ“-ს ენაცვლება „ხ“ და გვაქვს: „ხაზირი“, „გახაზირება“, „ხავა“ (ჰავა), „ხაერი“ (ჰაერი) (ნიჟარაძე 1961: 24-25).

თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ ქვემოაჭარულში ჰაე იკარგება: ექიაფ აერი...

გ. ახვლედიანის განმარტებით, „ჰ“ ბგერა არაა სრულღირებული ფონემა სალიტერატურო ქართულში: ხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში „ჰ“ ბგერა იხმარება მხოლოდ ორ სიტყვაში (ჰაერი და ჰავა) და ზოგიერთ ძახილში, მაგ: ჰა, ჰე, ეჰე, აჰა (ახვლედიანი 1995:286).

„ჰ“ ბგერა მეორე სუბიექტური პირის ნიშანია. ის სუსტი ბგერაა და მომდევნო ბგერის გავლენით ადვილად შეიძლება მოხდეს მისი შეცვლა. შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ „ჰ“ მთლიანად დაიკარგოს: ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ, კომპლექსებიდან მხოლოდ ხმოვნები გვრჩება: ა, ე, ი, ო, უ. „ჰ“ შეიძლება დაიკარგოს ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ თანხმოვნების წინაც. ჰ, ს ბგერის დაკარგვა ასეთ ბგერებთან ხშირია, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, სადაც მისი დაკარგვა არ ხდება, ამ ბგერების წინ „ჰ“ ბგერის წარმოთქმა ძნელია (შანიძე 1973: 175).

სამხრულ მეტყველებაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოუბარი წინადადებაში ერთიდაიგივე სიტყვის წარმოთქმისას იყენებს როგორც „ჰ“, ისე „ხ“ ბგერას. მაგ:

ხიზმეთი//ჰიზმეთი – (არ. hizmet) - „მომსახურება”, „სამსახური”:

„მე შენ ხიზმეთათ სიყუარულით წამუელი მარა, აჯელობით გამომგზავნეს ბეგებმაო“ (იმ.); „მიყუარან სკაზე ხიზმეთი” (ბ.); „თივაჰაც ბარსამი ხიზმეთი უნდა” (ინ.); „მე ბევრი ხიზმეთები გევიარე” (ინ.); „მეტი კაია მოსაფირზე ხიზმეთი – მომსახურება” (ჰ.); „ბევრი ჰიზმეთი უნდა ძლის მოყვანასა” (ინ.); „ზორ ხიზმეთი მიყვესო გურჯისტანშიო, - ჩემ ემიაშვილმა“ (ქლას.); „ფუტკარსა ძალიან მეეხიზმეთებით ჩუნა“ (ქლას.)...

ხარითა//ჰარითა – (harita) - „რუკა”:

„მემლექეთიდან მეიტანა ჰარითა“ (იმ.); „ესა არი ართვინის ვილაეთის ხარითა” (იმ.); „გულზე ვიკრი გურჯისტანის ჰარითას” (ფათ.); „კედელზე ბევრი ჰარითებია“ (უსტ.); „მემლექეთიდან მეიტანა დედემ ჰარითა“ (იმ.)...

ხოშ გელდინიზ//ჰოშ გელდინიზ! – (hoş geldiniz) - „მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ასე მიმართავენ სტუმარს, მოსულს: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მიხარია თქვენი ნახვა! „ჰოშ გელდინიზ! ჯემალ ძიავ, რა კაი ქენ, ჩამოხუელ, გვენატრებოდი (ფუტკარაძე 1993:676;694);

შდრ. ხოშ გელდი, ძმაო, მე ვარ მდიდარი... (ილია).

ჩვენებურთა მეტყველებაში, სიტყვის დასაწყისში სალიტერატურო თურქულის სწორი ფორმა (არ. **Amma** - ამმა) – ს ნაცვლად გვხვდება „ჰამა”. „ჰამა” და კიდევ რამდენიმე სიტყვა არაბულიდან არის შემოსული. მაგ: „ჰამა” - (არ. **Amma** - ამმა) - კავშ. „მაგრამ”: „ჰამა ტბა კიდენ ჩანსა” (მ.); „გეიგონა ჩემი ხმა, ჰამა უკან აღარ მუუხედი” (ინ.); „ყველაფერი გეიგო ჰამა მაინც არ ესმის“ (მ.); „შავი კაია ჰამა არ მეიტანა“ (ჩაქ.)...

ჰელბეთ – (არ. ელბეთეთე) - „რასაკვირველია”, „ცხადია”, „რა თქმა უნდა”:

„ბევრი ისაქმა და დეიღალა ჰელბეთ“ (იმ.); „ცოდვა ისაქმეთ ჰელბეთ” (ჰ.); „ძველი ჰექიები ჰელბეთ მოყვა” (ინ.); „ბევრი ცოდვები გააკეთა ჰელბეთ“ (ზ.); „ჰელბეთ რაცხა გააკეთა“ (ზ.)...

ჰელეზი – (არ. ალაზი) – ადლი (ზომის ერთეული):

„მაშინ ენა გიგიხდება სამოზდაათი ჰელეზი!” (ჰ.); „მოქსოვდენ ოზდაათი ჰელეზისა” (იმ.); „ათი ჰელეზი იყიდა და მეიქსოვა“ (იმ.)...

ჰარლი – (ark - არქ) // ხარლი: - „სარწყავი არხი“, „არხი“:

„წყალ ჰარლიდამ გამეიყვან“ (იმ.); „იქ გამეიარდა ჰარლი“ (იმ.); „იმ ჰარლიდან კაი წყალი მოდის“ (ზ.); „სარწყავი ჰარლები გეიყვანეს“ (ჩაქ.); „ეხლა კაი ჰარლები გააკეთეს“ (ჩაქ.); შდრ. „ხარლი ავსილა, წყალი გადმოდის, წისქვილი არ ბრუნავს“ (ორთ.)...

ჰ/ხ-ს ბგერათმონაცვლეობის ფორმები დასტურდება ლაზურშიც. თურქული (h) ჰ ლაზურში გვამლევს ხ ბგერას. მაგ:

რახმეტლი//რაჰმეთლი – „rahmetli“ - (ხოფ. არქ. ვიწ.) „ცხონებული“:

რახმეტლი ჰამ ბერეში ბაბა... (ათინ.) „ცხონებული ამ ბავშვის მამა“ (ყიფშიძე 1939:72).

რახმეტლი პაპულის დიდო მასალი უჩქიტუ (ხოფ.) „ცხონებულმა ბაბუაჩემმა ბევრი ზღაპარი იცოდა“ (ა. თანდილავა).

ლაზურ მეტყველებაში პარალელურად „რაჰმეთლი“ ფორმაც იხმარება. თურქულ ენაში გვაქვს **h** (ჰ), ლაზურში **ხ**; თურქ. **t** (თ), ლაზურში **ტ** (თანდილავა 2003:91).

როგორც ვხედავთ, **ჰ:ხ** თანხმოვანთმონაცვლეობა საინტერესო და მრავალფეროვან სურათს იძლევა ნასესხებ ლექსიკაში. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც ენა ცდილობს საკუთარ ფონეტიკურ კანონებს დაუქვემდებაროს ნასესხები სიტყვები და უმეტეს შემთხვევაში ახერხებს კიდევ.

§ 7. დ : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა.

დ/ხ-ს ბგერათმონაცვლეობა ძირითადად გვხდება თურქულიდან შემოსულ სიტყვებში. მაგ:

ბარდალი//ზარდახი - (bardak-ბარდაქ) - „ჭიქა“, „დოქი“:

„კაჲ ბარდახი იყო მაღაზაში, არ ეილე ცავ?“; „ბარდალები ევლე ართვინ“; „ჩუენ შუშეს ვეტყვით ბარდალსა“ (იმ.); „ი ბარდალები დოლაბშია“ (იმ.); „იმ ბარდალში ჩაასხი ჩაი და დალიე“ (იმ.)...

სიტყვა **ბარდალი//ზარდახი** ექვივალენტურია სალიტერატურო თურქული „bardak“ სიტყვისა.

კონახი//ყონალი - (თ. konak -ქონაქ) - „სახლი“, „სასახლე“:

„იმისთანაჲ ყონალი დავახვედრე ჩემს გენილს, მეტი რაჲ უნდა ბაჯო?“, „ყველამ მუუტანეს და აივსო ერთი ყონალი“.

აჭარულ და გურულ დიალექტებში სიტყვა გვხვდება ზემოაღნიშნული მნიშვნელობით. შდრ. ყონალი: „თვითონ ადგა და წევდა... დევის ყონალზე“ (ა. ზეპ.); „მერე მე თვითონ შემეყვანა თავის ყონალში“ (თ. სახ.) (ნიჟარაძე 1971: 375).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია სიტყვა „ყონალი“, რაც სტუმრობით დამეგობრებულ პირს აღნიშნავს (ქეგლ., 2008: 567).

ნ. გურგენიძის განმარტებით, აჭარულ, გურულ, იმერხელ (შავშურ - ვ. ჩ.) დიალექტებში, აგრეთვე ლაზურში სიტყვას ყონალი//კონახი აქვს იგივე მნიშვნელობები, რაც სალიტერატურო თურქულში (გურგენიძე 1973: 13-14).

ბუჯალი//ბუჯახი - (bucak - ბუჯაქ) - „კუთხე“:

„იქინე ერ ბუჯალში ცხოვრობდნენ თურმე“; „რამე უფარეთ და ერთ ბუჯახში დამაყენეთო“...

შ. ნიჟარაძის განმარტებით ბუჯალი აჭარულ დიალექტში ნიშნავს „ხის ნაწილს, საიდანაც იწყება ტოტების განშტოება“:

„ბუჯახში გუუკეთების ჩიტს ბუდე“ (ნიჟარაძე 1971:115).

ნ. გურგენიძე ამ სიტყვის ანალიზის დროს იმოწმებს ს. ჟღენტისა და შ. ნიჟარაძის მიერ მითითებულ მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია კუთხის გაგებასთან (=ტოტების განშტოების კუთხისებური ადგილი). ლაზურში გვაქვს „ბუჯალი“ = კუთხე (მარი, გრამ., 133) (გურგენიძე 1973: 10);

სარაბალი//სარაბახი - (saray bağı) - „კარნიზი“:

„აჲ სარაბალი ქი გუულამაზია“; „ამოილო ძაფი, მისცა ბიჭს და უთხრა, შვიდი ყათი შემოიარე სამირკველზე და შვიდი წვერი დააბი სარაბახზეო“...

სარაბალი ნასესხები სიტყვაა და ორი ნაწილისაგან შედგება: Saray – „სასახლე“, Bağ - „კავშირი“, „დაკავშირება“. ზ. თანდილავას განმარტებით, სიტყვის ეს მნიშვნელობა არ დასტურდება. ეს სიტყვა გვხვდება ლაზურის ხოფურ კილოკავში. მაგ: „სარაჲ ბალი“ და არა „სარაბალი//სარაბახი“, როგორც დიალექტებშია და ნიშნავს სახლის იმავე ნაწილს, „კარნიზს“ (იხ. გურგენიძე 1973:32-33).

ჯ. ნოლაიდელის განმარტებით, „სარაბალი“ ნიშნავს „სახლის ნაწილს“, მაგრამ არ არის ნაჩვენები, თუ რომელი ნაწილი იგულისხმება. სიტყვა თურქულიდან არის შემოსული (ნოლაიდელი 1936:50).

სამხრულ კილოებში დან’იანთან შედარებით უპირატესობა ენიჭება ხან’იან ფორმებს (უფრო გაქართულებულს).

§ 8. ბ : ფ თანხმოვანთმონაცვლეობა.

ბ : ფ მონაცვლეობა თურქული ენიდან შემოსულ სიტყვებში.

დოლაბი - (dolap - დოლაფ) - „კარადა“:

„ტელევიზიონსა მე ბლაცვი დოლაბი დავარქვი, რას ებლაცუნება ნეტა“ (იმ.); „ჩემი ქმარი დოლაბებს აკეთებს“ (ჩაქ.)...

ფისქუთი - (bisküvi - ბისქუვი) - „ბისკვიტი“, „ორცხოზილა“:

„დუგუნზე ფისქუთთ გააკეთებენ“ (იმ.); „ბისქუთები გამუაცხეთ დულუნისთვინ“ (იმ.); „ბევრი ბისქუთი მეიტანა ნენემ“ (უსტ.)...

ფახირჯი - (bakırcı - ბაქირჯი) - „სპილენძის ოსტატი“:

„ფახირჯი იმ მაჰალეში ცხოვრობს“ (იმ.); „ფახირჯების დუქანი ბურსაშია“ (იმ.); „აგზე ფახირჯის თუქანია“ (ინ.)“ „ხუსეინაი ფახირჯია“ (შავშ.); „ბაბაი ფახირჯი იყო და მოკტა“ (ზ.)...

ფახირი - (bakır - ბაქირ) - „სპილენძი“:

„იმ თუნელებიდან ფახირი ამუაქვან“ (იმ.); „წინწინ ფახირის ყაბები ქვექონდა“ (ინ.); „ეს ფახირის გუგუმი მემლექეთიდან გადმოტანილია“ (თ.ქ.); „ფახირები მემლექეთიდან მეიტანა ნენემ“ (ზ.)...

„ერმენი ვარო, ბერძენი ვარო, ვერ ამზოფს. ლაზი ვარო, ამზოფს“ (ზ.)...

„მე მინას ვაკეთებ ქარხანაში, ასე იმღერეფს (იმღერებს) აზა“ (უ.); „რას იქს, ყოველთვინ მღეროფს და“ (უ.)...

„ზოგი ვერ გიგვიგნია, ცქვიტათ ლაპარიკოფს“ (უ.); „ტელევიზიონში ისე ლაპარიკოფს რო ვერ ვიგნებთ“ (იმ.)...

§ 9. პ : ფ თანხმოვანთმონაცვლეობა.

ჩარჩაპი//ჩერჩეფი - (çarşaf - ჩარშაფ) - „ჩადრი“:

„უწინ ჩარჩაპი იყო ეხლა ახლები აღარ იბურვენ“ (უსტ.); „ჩერჩეფი რომ არ დეგებურა ცოდვა იყო“ (იმ.); „გარედან ჩერჩეფი დევიხურეველით“...

„დედე ყველას ფატრონობდა“ (იმ.); „ესენიც გახდენ ფატრონი (ნ.); „აქ ბევრი ფატრონები ქვეყნას“ (უსტ.)...

აჭარულში გვხვდება შებრუნებული პროცესიც, - ფ>პ: ზემოაჭარულში ფშვინვიერი ფ ბგერა ტ-სთან მკვეთრდება და გვადლევს პ-ს. მაგ:

„დაბნელდა უჟე, არ დევპანტნოთ?.. აქამდი ჰა დეფპანტენით, ბიჭებო?“ (ნიჟარამე 1961:34);

ამრიგად, სამხრულ კილოებში ნასესხებ სიტყვებში თანხმოვანთმონაცვლეობა იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, რაც ქართული ენისათვის ისტორიულადაა დამახასიათებელი. ბგერათცვლილების საფუძველზე თურქული სიტყვა „ეხვევა ქართულ ფონეტიკურ სამოსელში“, სხვაგვარად, ემორჩილება ქართულ ფონეტიკურ კანონზომიერებებს. თუმცა ყოველთვის ეს ვერ ხერხდება, - ზოგჯერ სიტყვის „თურქული შეფერილობა“ შენარჩუნებულია. ეს უკვე თურქულის ზეწოლის შედეგია, რაც სამხრული კილოების დღევანდელი მდგომარეობის ასახვაა.

§ 10. ა : ე ხმოვანთმონაცვლეობა

ხშირია ხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევებიც (თურქული ენიდან შემოსულ სიტყვებში), მოვლენას საფუძვლად უდევს ქართული ენის ბგერითი სისტემის ცვლილების კანონზომიერებები. მაგ:

მეჰელე – (არ. Mahalle -მაჰალლე) – უბანი (ქალაქის, სოფლის) რაიონი:

„უჩამფას ერთი პაწაჲ მეჰელე ყოფილა“ (იმ.); „ისინი იმ მეჰელეში ცხოვრობენ“ (იმ.); „ძროხებსა იმ მეჰელეში მიაძებსა“ (შავშ.); „იქითა მეჰელეში ბევრი გურჯები ცხოვრობენ“ (უსტ.)...

შდრ. მეჰელა - სოფლის ქალაქის ერთ-ერთი კუთხე, უბანი, კვარტალი: შუამეჰელა შუაუბანი; ზედამეჰელა ზედა უბანი. „ამხელა სელგაჰი (ნ.) მე არ მომსტრია, ჩვენი მეჰელა თლათ მოსპოლოტა და გააგდო“ (ნიჟარამე 1971: 254).

სამხრულ კილოებში გვხვდება **მაჰალეც**, უმეტესად ქართულის ნაკლებად მცოდნე ქართველის მეტყველებაში.

თარჯუმანი - (tercüman - თერჯუმან) - თარჯიმანი:

„გურჯიჯა არ ვიცი, თარჯუმანი არ გყავენ?“ (იმ.); „თარჯუმანი მოვდა, დეილაპარაკეთ“ (უსტ.); „ის თარჯუმანი შეჰირშია“ (უ.); „ისტამბულ ამთავრებს ეხლა თარჯუმანი უნდა იყოს“ (უ.)...

ქენერი//ქენარი (kenar - ქენარ)- „კიდე“, „ნაპირი“:

„მიერე ქენერი ჩანს“ (ბაზგ.); „დენიზის ქენერები ეშვილლულია“ (ხევწ.); „ქენარზე გამოსულა აქეთა თერეფზე“ (ხევწ.)...

შდრ. ქენერი - კიდე, ნაპირი, კუთხე: „კუ სირთზე რომ ასულა, უთქვამს: დუნის ქენერს ვხედავო“; „რომელ დუნი[ს] ქენერში გადამჩქამდა აქამდინ ნეტაჲ!“ (ნიჟარამე 1971: 354).

თერეფი – (არ. taraf - თარაფ) – „მხარე“, „რაიონი“:

„ჩუნა ბოლშევიკის თერეფი არ ვიყავითო იტყოდა“ (იმ.); „ჩუნა მემედ ბეგის თერეფი ვიყავით“ (იმ.); „შენ ამ თერეფ დეეკიდე“ (ინ.); „მის თერეფმა აღარ ქნეს“ (თ.ქ.); „წასული არიან ამ თერეფიდან ბევრი ინეგოლ, ისტამბულ, იზმით“ (ბაზგ.); „მაჭიხელის თერაფიდან ბევრი არიან გადმოსახლებული შიგან თურქიეში“ (ბაზგ.); „ამ თერეფიდან მოვიყვანე გელინი“ (ბაზგ.)...

მეზერი – (არ. mezar - მეზარ) – „საფლავი“:

„მეზერი გასულ წელს გააკეთენ“ (იმ.); „იქითა მეზერსა დეეკითხეო“ (იმ.); „საჯენნეთო ინსნებსა მეზერი გაუნათლდება“ (ჰ.); „აქეთა მეჰელეში მეზრების ადგილია“ (იმ.)...

მესელე - (mesela - მესელა) - „მაგალითად“:

„ახლა ერთი მესელე: ყოფილა ბეგი, თქუამს: ეს ქალები ძალიან ბევრ ლაპარიკობენო“ (იმ.)...

ხებერი – (არ. haber - ჰაბერ) – „ამბავი“, „ცნობა“, „შეტყობინება“:

„დელიადას ხებრები ზეჟერია ახისხალოლიდან, ჩემი ბაბოდან, მაქ გაგონილი“ (იმ.); „თვით რო ზეგანშია, ბარის ხებერი აღარ იცის“; „ხებერი მიცეს ახრაბებსა“ (იმ.); „ბარესამი ხებერი გითხარ“ (ე.); „გურჯულაი ხებერი ჩემმა ბაბომა იცოდა და ეხლა ისტანბულ წევდა“ (ე.)...

შდრ. „მუტანეს აი ხებერი ყერიბ“ (ზეპ.); „დავჟდე-და წიგნი დავწერო, ჩიტ გავატანო ხებრათა“

ვესიეთი – (არ. Vasiyet - ვასიეთ) - „ანდერძი“, „დარიგების მიცემა“:

„ყური მიე ვესიეთის სიტყუებსა“ (ჰ.); „ბაღვებს ვესიეთს ვუჯები“ (ინ.); „ამ სახლს ვესიეთად ვუტოვებ“ (უსტ.); „ჩემმა ბაბომ ვესიეთად დიმიტია“ (უ.); „ვესიეთი მისცა და დაიტოვა“ (იმ.); „დედემ ვესიეთად დატია სახლს კარგად შეხედეთ და არ დატოვოთო“ (იმ.)...

შდრ. „ვესიეთი დუუტოვებია, რომ ჩემი გოგო უსტავლ კაც არ მისცეთო“ (ნიჟარამე 1971: 196).

ესკერი - (asker - ასქერ) - „ჯარისკაცი“:

„იმისი კაცი ესკერში წასულა დაკარქულა“ (უსტ.); „ესკერში წევდა და მსახურობს“ (უსტ.); „ესკერებში ზოგი ყოფილან აბაზები“ (იმ.); „ესკერები მისი დაამწყრია“ (იმ.); „ღარჭი ეხლა მოვდა ესკერებოდან“ (იმ.); „ჩემი ქმარი ესკერშია“ (ხობ.)...

ხეირი - (არ. hayir - ჰაიჲრ) - „სიკეთე, „კეთილდღეობა“, „ბედნიერება“:

„ხეირი სიკეთე არ დიგიშალოს“ (უსტ.); „ღმერთმა ხეირი მოქცოს“ (იმ.); „ხეირით იარე“ (უსტ.)...

ალავი - (alev - ალევ) - „ალი“, „სიცხე“, „ალმური“:

„მთელი სახლი ალავში იყო“ (უსტ.); „ალავში გეეხვია იქვერობა“ (იმ.); „ალავი, ლავი, ქათამი შავი, ავწყვიტე ფხარი, შევქამე თუალი“ (გამოცანა - „ყურძენი“); „ხაჯერაი ფურუნის ალავზე დეიწვა“ (უ.)...

შდრ. „სიმწართა მოსდიოდა, მწვანე ალავი პირშიო“ (აჭ. ხ. პოეზ.);

„ახო ყანა გავაღვი,

შან დავთესე ანარიო;

ვინცხაი ჩვენ დაგვაშორებს,

-იმას დაწვავს ალავიო“

(ნ. წვანე ალავი) (ნიჟარამე 1971: 82);

ნ. გურგენიძის დაკვირვებით, „ა“ და „ე“ აჭარულ დიალექტში, თურქულიდან შემოსულ არაბულ სიტყვებში მოკლე „a“ (□), „a“ ხმოვნითაა გადმოცემული, ხოლო

იგივე სიტყვები თურქულსა და თურქულ დიალექტებში „ე“ ხოვანს გვადლევს (გურგენიძე 1973: 106-107).

ასევე გვხვდება სამხრულ მეტყველებაში. საუბარში მთქმელი წარმოთქვამს „სალამეთი“, ხოლო სალიტერატურო თურქულში არის (არ. **selamet** - სელამეთ) - „სიკეთე“, „კეთილდღეობა“:

„ღმერთმა სალამეთობა მოგცენ“. ქობულეთურში გვხვდება სელამეთი (ფუტკარაძე 1993:555): „მშვიდობით, სელამეთობით, მე ფატასთან მივალ, ყორონისთავში“ (ქობ. კვირ.).

იეგანი – (Yeğen - იეგენ) – „ძმისწული“, „დისწული“:

„ჩვენი იეგანია, გედევდა იქა, თავის დედამ არ მედწონა“ (იფხ.); „მემედად ჩვენი იეგანი ყოფილა“ (ივ.). „ეს ჩემი იეგანია“ (ივ.); „ესა ციხისური იეგანია“ (უსტ.); „ჩემ იეგანმა'ნა წიგიყვანონ არაბით'ნა“ (უ.); „ეს ამის იეგანი არი“ (შავშ.)...

გვხვდება იეგენიც: „მაგი ცენტერაძნების იეგენია, მიერიდე“ (ორთაბ.);

ქილისა – (Kilise - ქილისე - Kilise - Kilise – كليس) - „ეკლესია“, „ტაძარი“:

„თხარეს, ძველად ყოფილა ქილისა“ (საზ.). „ნუ გეშინია, აქვერი გზა კადარი, არ შეგეშინდეს, ბიჭო ქომო არი ქილისე, იმ სერის ძირში'ნა გეარო“ (დ.). „ეს ალაგი ქილისე ყოფილა, დანგრეულა იშტა, ხასაბა არი“ (იფხ.)...

შდრ. „ქრისტიანობის ნაშთი... მაჩვენეს... სოფ. აგარას ზემოთ, მთაზე ძველი ქილისა“ (ნიჭარაძე 1971: 357).

ფენჯერა > ფანჯარა:

„ათოლიე გვაქ, კარ ვაკეთებთ, ფენჯერას (ფანჯარას), ჩემი კაცი აკეთებს“ (ბაზგ.); „სახლის ფენჯერები დიდუანია“ (იმ.); „ფენჯერები დახურე სიცივეა“ (უსტ.); „სახლის ფენჯერები დაბურულია“ (ხობ.); „ფენჯერე ღიაა და დახურე“ (იმ.)...

ხმოვანი „ა“ სიტყვის ბოლოში, მახვილის ქვეშ რთულ სიტყვებში, თანხმოვნის წინ ან შემდეგ ახლოს დგას რუსულ „ა“-სთან, მაგ: სიტყვაში „лак“. მაგ: „**kokmak**” – წარმოითქმის - „какмак ” – ნიშნავს „стучать“, „бить“. „**Otlak**” – წარმოითქმის - „отлак“- „пастбище” - „საძოვარი” და ა. შ. (Севортян 1955:23).

მახვილიანი ხმოვანი „e“ ახლოს დგას რუსულ „ე“-სთან. მაგ: „era“, „eko“, ან კიდევ ანალოგიურად წაიკითხება „ი“-ს შემდეგ.

მაგ: თურქული „ense“ წარმოითქმის - „энсэ“ - ნიშნავს - „затылок“ - „კეფა“, „keke“ - წარმოითქმის როგორც „кэкэ“, ნიშნავს - „заика“, „ენაბლუ“, „ქექეჯი“, „seçme“ წარმოითქმის როგორც „эчмэ“ და ნიშნავს „отборный“, „რჩეული“, „გადარჩეული“, „ნარჩევი“ (რუსულ-ქართული ლექსიკონი 1993:434).

თურქული ენისათვის არ არის დამახასიათებელი დიფთონგის მსგავსი წარმოთქმები, როგორც ეს სხვა ბევრ ენაში შეინიშნება.

თურქული ფონეტიკის თითქმის ყველა მკლევარი გამოყოფს „e“-ს ორ ვარიანტს:

ა. პირველი უფრო ჩაკეტილი, როგორც მაგალითად სიტყვაში „kireç“ - წარმოითქმის როგორც „кирэч“ - „известь“ - „კირი“ ან „değer“ - წარმოითქმის „дээр“ - ნიშნავს - „стоимость“ - „ღირებულება“, „ღირსება“.

ბ. მეორე უფრო ღია ტრანსკრიფციაში, როგორც წესი, აღინიშნება „ä“ (ε) მაგ: სიტყვაში „güzel“ - წარმოითქმის როგორც „гузэль“ - „красивый“ - „ლამაზი“, „gel“ - „гэль“ - „иди“ - „მოდი“. სხვა ხმოვანთა სახესხვაობათაგან განსხვავებით, ეს ვარიანტი ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული მეზობელ ფონემათა გავლენაზე და მათ სიტყვათგანმასხვავებელი მნიშვნელობა ენიჭება. მსგავს ფაქტებს განეკუთვნება „el“ - წარმოითქმის გაცილებით ღია ხმოვნით და აღნიშნავს „рука“ - „ხელი“, ხოლო „el“ დახურული ხმოვნით ნიშნავს „народ“, „страна“ - „ქვეყანა“, „ხალხი“ (Севортян 1955:23).

მსგავსი წარმოთქმა დამახასიათებელია მხოლოდ სასაუბრო ენისათვის და ზოგიერთი დიალექტისთვის და არა სალიტერატურო თურქული ენისათვის.

ამრიგად, თურქულ სალიტერატურო ენაში ეს სახესხვაობები არ განვითარებულა ცალკეულ ფონემებში, როგორც ეს აზერბაიჯანულ, ყაზახურ, თათრულ და სხვა თურქულ ენებში (Севортян 1955:24).

ლაზურ დიალექტში ნ. მარს მოყვანილი აქვს ფორმები კასტანე/ქესტანე - წაბლი: ამ სიტყვებში შეინიშნება როგორც ხმოვანთმონაცვლეობა, ისე ქ:კ თანხმოვანთმონაცვლეობა. მაგ:

„კასტანე დოვუფელამი დო ვჩამთ (ათინ.) – წაბლი გავუფცქვენი და ვაქმევთ” (ი. ყიფშიძე 1939:88); „დალის დიდო აბანი ქესტანე რენ (ხოფ.) – ტყეში ბევრი გარეული წაბლია (თანდილავა 2003:73).

ფერდე//ფარდა – (თურქ. perde) – „**ფერდე ფეჭოფი?** – ჰკითხი ნანას (ხოფ.) – „**ფარდა** იყიდეო? – ვკითხე დედას”...

„ფენჯეეს მსქვა **ფერდეფე** ტუ გელაკიდერი (ხოფ.) – „ფანჯრებზე ლამაზი ფარდა იყო ჩამოკიდებული”...

ვ. რადლოვის განმარტებით, აღნიშნული სიტყვა სპარსულიდან არის შესული თურქულ ენებში „**padā**” (Радлов 1893 IV,2,1237; თანდილავა 2003:106).

ქემერი//ქამარი – (თ. kemer -ქემერ):

„**ქემერი** ქორტა-შ-ქის მა ვარ მოგოწვამ... (ვიწ. – „სანამ ქამარი გაქვს, მე ვერ შეგხსნი” (ყიფშიძე 1938:70);

ვ. რადლოვის აზრით, სიტყვა ქამარი დასტურდება ოსმალურსა და აზერბაიჯანულში და მიუთითებს სპარსულ წარმოშობაზე (Радлов 1893 II,2,1205).

ლ. თანდილავას განმარტებით, ამავე ძირს უკავშირდება ქართული „**ქამარი**”, რომელიც მიეკუთვნება ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პერიოდს (თანდილავა 2003:112).

ქართულშიც შეიმჩნევა ხმოვანთამონაცვლეობა. უკანა ენისმიერი „**a**” ხმოვანი ე’ს გვაძლევს. მაგ: „**შექერი წეღე**” (ელიასხ.);

„**აიჰანი** ჩარშიში წევდა დღეს, ღარჭი **წეიყვანა** (წაიყვანა)” (ბაზგ.);

„**პეტერე** (პატარა) ბავშვი ვიყავ, ძველათ რა იყო, აღება არ იყო, ყიდვა” (ელ.); „**პეტერე** (პატარა) იყო ჩემი ბახალა“ (იმ.)...

„ეს **გეიგონა** (გაიგონა) ნაჩალნიკმა და **დეიწყო** (დაიწყო) კბენა თითისა”; „**არ გეიგონა** და ისე წევიდა“ (იმ.)...

„წამოხტა ჯამუში და გორა **გედეირბინა** (გადაირბინა)”; „აქ ირანელები იყვნეს, **უშექროს** (უშაქრო) სმიდენ” (წეთ.)...

„ათოლიე გვაქ, კარ ვაკეთებთ, **ფენჯერას** (ფანჯარას), ჩემი კაცი აკეთებს” (ბაზგ.);

„**ჰაიდე**, ჩვენ **წევიდეთ** (წავიდეთ) ახლა” (ხევწ.)...

ასევე გვხვდება აე-ეე სრული, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები. მაგ:

„ამუელი ქი, იმდენი გეეღვიძა (გაეღვიძა) ქი, საბანი ეეწია (აეწია) და იმდენი ჭკვაში მოსულიყო ქი, გეღეებურა (გადაებურა), ჩეეფარებია (ჩაეფარებია)“ (მერჯ.);

„ამ დღეებში არ აჩვენებენ, რა დეემართა (დაემართა), არ ვიცი“ (შავშ.); „თუ დეემართა ჩიჩეგი, საპონ არ ვიხმარებდით“ (წეთ.); „ქვაბ ჩააბრუნებდენ, ფეხი არ გეემუროსო (გაემუროსო) (შავშ.); „აქ უწინ გოგოს ვერ დეელაპარიკებოდი (დაელაპარიკებოდი) (ჩაქ.)...“

ამდენად, ნასესხებ სიტყვებში ა:ე მონაცვლეობა ისეთივეა, როგორც ზოგადად დამახასიათებელი იყო ქართული კილოებისა და ზანურისათვის (შდრ. შ. მიძიგური 1946).

§ 11. უ : ი ხმოვანთმონაცვლეობა

უ : ი ბგერათმონაცვლეობა დასტურდება თურქული ენიდან შემოსულ სიტყვებში.

ნ. გურგენიძის განმარტებით, თურქული დიალექტებისთვის „უ“ ხმოვნის ფართო „ი“-ში გადასვლა არ წარმოადგენს უჩვეულო მოვლენას. ჭოროხისა და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიის მეტყველებაში „უ“//„ი“ ბგერათმონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ: „bogun“ – „bugün“, „osandı“ – „usandı“ (გურგენიძე 1973:108).

სამხრულ მეტყველებაში „ჰავლი“ – (არ. havlu - ოთახებს შორის გამჭოლი დერეფანი):

„მურგვები ჰავლში მქონდა დაწყობილი“ (თ.ქ.). „დიდი ჰავლი შემოდერწილი ქონდენ ჰავლებით“ (ინ.)...

ბალდიზი//ბალდუზი - (baldız - ბალდიზ) - „ცოლისდა“:

„ბალდუზი გავათხვე და დულუნი იყო“ (ჩაქ.); „ესა ჩემი ბალდუზის ბაკალა არი“ (იმ.); „ე ჩემი ბალდუზია ავადეული“ (ხობ.); „ბალდუზები ბევრი მყავს“ (უსტ.); „მისი ბალდუზი მევდა ქალაქიდან“; „ამ კაცის ბალდიზი ჯაზია“...

სამხრულ კილოებში გვხვდება ბალდიზიც: „ჯემალას ბალდიზი ესტუმრა ბაღანასთან ერთათ“ (ორთ.).

სიტყვა დადასტურებულია ძველ თურქულშიც **baldyz** - „ახალგაზრდა“.

ადუმი – (adım - ადიმ) - „ნაბიჯი“:

„ახლა ადუმი ვეღარ გვიქნია ფეხით, არაბებით დავალთ ყუელგან“ (იმ.); „ცხრა ადუმი გევდა და მეიღალა თუ?“ (ინ.); „ავად გახდადა ადუმს ვერ იჯება“ (უსტ.); „ნელი ადუმი დაადგით“ (უსტ.)...

ანალული – (analik - ანალიქ) - „დედინაცვალი“:

„ჩემ ანალულმა ვერ დეისტავლა თურქია“ (ინ.); „ფინთი ანალული მეიყვანა“ (იმ.); „ჩემი ნენეი ადრე მოკდა და ანალული მეიყვანა“ (უსტ.); „ანალული ბადვებს კარგად არ უყურებდა და ცემდა“ (უსტ.)...

აზღუნ-ი – (azgin - აზგინ) - „აქტიური“ „გააფთრებული“, „ცოფიანი“:

„აზღუნი იყო ზალიან, ქალებ არ ტევდა ღუნაში, მის თოკვზე ასამებდა“ (იმ.) (ფუტკარამე 1993:375).

ალთუნი – (altın - ალთინ) - „ოქრო“:

„თუ გინდა ალთუნს მისცემ“ (ქართ.); „დედამთილმა ალთუნი'ნა ჩუუდვას, რომ გახსნის იმ ალთუნს შეინახავს“ (ავ.); „სახლში ერთი ტათლის გავაკეთავთ, ალთუნებს მუუტანთ“ (ისკ.); „ძველათ ალთუნს თხრიდენ და ვეღარ თხრიან“ (იფხ.); „მაი, ლამაზი ალთუნები ვინ მოგიტანაო“ (ჰ.); „აქ მოდიან და ალთუნებს თხრიან“ (ხევწ.); „ალთუნები ბევრი მომიტანეს“ (ხოხ.); „გურჯისტანიდან მოდიან და ალთუნებს ეძებენ“ (იმ.); „ალთუნები ზორფაჰალია“ (უსტ.)...

ქოფრი – (köprü - ქოფრუ) - „ხიდი“:

„ქოფრიები თამარა დედოფალმა გააკეთა“ (ხოხ.); „ამ ღელეს დალევამდინ ქოფრიებია ნაკეთები“ (იმ.); „აქ ბევრი თამარ დოდოფლის ქოფრიებია“ (უსტ.)...

თურქული გზით შემოსულ სიტყვებში. მაგ:

ფურჩა - (firça - ფირჩა) - „ჯაგრისი“:

„ყუელ ღამეს, დაწოლიხან, ფურჩაით ვისილავ კიბილებსა“ (შავშ.); „ფურჩაი ბანიოშია“ (უსტ.)...

ფურუნი - (firin - ფირინ) - „ღუმელი“:

„შენც დეინახე ის ფურუნი და მაშინ მიხდები, რომ ევლია არის ის დედეიო“ (იმ.); „ერთი პაწაღ ფურუნი ქონია სუმენჯი დედესა“ (იმ.); „ფურუნში ბორედებია“

(იმ.); „ფურუნდიან ბევრი პური მუაქ“ (შავშ.); „ღარჭი ფურუნში მუმაობს“ (უ.); „კაცი ფურუნში წესულა“ (შავშ.); „ბაქლავასა სინით ფურუნში შედეფ“ (შავშ.)...

ფუნდუქი - (findik - ფინდიქ) - „თხილი“:

„სოფელში ფუნდუქის ბახჩა გუაქ“ (უ.); „უნიეში დიდი ფუნდუქის ბაღები მაქ“(იმ.); „წრეველ ბევრი ფუნდუქია“ (უსტ.); „ფუნდუქები წვიმამ გააფუქა“ (უ.); „ამაში ჩავყრით ფუნდუქ“ (უ.); „წრეველ ფუნდუქი ფაჰალია“ (შავშ.)...

„ფურთუნა - (firtina - ფირთინა) – 1. ქარიშხალი, ქარბუქი, გრიგალი:

„ამ ფურთუნაში სა'ნა წეხვიდე“ (იმ.); „გუშინ ფურთუნა იყო“ (უსტ.); „ამ ფურთუნაში სა გუუშვი ბაღვი“ (ხოხ.)...

შდრ. აჭარულ დიალექტში იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება: „ფურთუნა - (firtina - ფირთინა) – 1. ქარიშხალი, ქარბუქი, გრიგალი. მაგ: „ხომ არ შეიშალე, ამ ფურთუნაში და ყიამეთში თაში რა წაგიყვანს“ (ნიჟარაძე 1971: 349).

საუბრისას „უ“-სა და „ი“-ს მონაცვლეობა ხდება, როგორც სიტყვის ფუძეში, ასევე მაწარმოებელ აფიქსებში. მაგ:

გელინლუქი – (Gelinlik - გელინლიქ) – პატარძლობა, საპატარძლო ტანსაცმელი: lik – მაწარმოებელია, რომელიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს.

„გელინლუქის უკან იდო და მეიტანდნენ“ (აქანდ.); ჩემი გელინლუქის კაბა მე შევკერე“ (აქანდ.); „აქაც შამეილეს შეკერული გელინლული“ (იმ.); „ძალიან მოწონებიან ჩუენი გელინლული“ (ინ.)...

გეჯელული – (gecelik - გეჯელიქ) - „საღამური“, „საღამოს პერანგი“:

„გეჯელულები არ მიყვარს“ (ინ.); „ჩითის გეჯელულები გვაცვია სიცხეში“ (ინ.); „ანნემ ბევრი გეჯელულები მიყიდა“ (იმ.); „გეჯელულები არ მაცვია“ (უსტ.); „მაღაზაში გეჯელულებია ზორ ლამაზი“ (უ.)...

გუნდელული – (gündelik - გუნდელიქ) - „ყოველდღიური“, „დღიური“:

„გუნდელულში მიდის ქალაქში“ (ზ.); „თეელს ვაჭმევდით სამჯელ გუნდელულში (ბახ.); „გუნდელულში მოდის და მიდის“ (უსტ.)...

ეილუგი – (eylik - ეილიქ) – „სიკეთე“, „მადლი“, „ამაგი“:

„მაგ ეღლუგსაც გადაგიხდი“ (ჰ.); „ამ ეღლუგსა ყუელაი არ გიზამს“ (მეზ.); „ეღლული ბევრი გიმიკეთებია“ (ხობ.); „ეღლუგს გუუკეთებ, ჰამა რაზს არ გიზამს“ (უსტ.)...

თემიზლული – (temizlik - თემიზლიქ) – „სისუფთავე“, „სიკობტავე“:

„თემიზლულობა კაია ჰამა ვერ მიმიცლია“ (ჩაქ.); „თემიზლული გუუკეთებია ბაჯალას“ (ჩაქ.); „ადგეს ძალმა და თემიზლული ქნას“ (სტ); „თემიზლული შევდეს ბელქი საქმეში“ (ინ.); „ძალმა თემიზლული გააკეთა“ (უსტ.)...

ბაბალული – (babalik- ბაბალიქ) – „მამინაცვალი“:

„ბაბალული ბაღვებთვინ ჩათინი დარჩა (ინ.); კაი ბაბალიდი დარჩა“ (უსტ.); „ბაბალული ფაბრიკაში მუშაობს“ (ჩაქ.); „ბაბალული წევდა და არ დაბრუნებულა“ (უსტ.)...

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, სამხრული დიალექტებისთვის, ხმოვანთა ჰარმონიის დარღვევა ჩვეულებრივ შემთხვევად ჩანს.

ქართულშიც შეიმჩნევა უ // ი მონაცვლეობა. ამის მაგალითია „ფიც“ სახელური „ძირი“: „ფიცი“//„ფიცავს“, რომელიც მიღებულია „ფუც“-ისაგან. „ფუც“ გვაქვს ძველ ქართულში. „ფუც“ ფუძისეული „უ“-ს „ი“ ხმოვნით შენაცვლება მიჩნეულია ასიმილაციის ერთ-ერთი შედეგად (როგავა 1962:47).

სამხრულ მეტყველებაში ასიმილაცია თანხმოვნებსა და ხმოვნებში ძირითადად რეგრესულია, როგორც ეს დამახასიათებელია ქართულისათვის; ძველ ქართულში კი, როგორც ცნობილია, პროგრესული ასიმილაციაც ისევე იყო გავრცელებული, როგორც რეგრესული (ახვლედიანი 1949:194).

ძველი ქართულის „ფუც“-ის შეცვლა „ფიცი“-ით ჯერ უნდა მომხდარიყო სახელებში და შემდეგ ზმნებშიც.

ძველი ქართულის ძეგლებში „ფუც“ გვხვდება, მაგ:

„ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად (შუშ., II,12); რომელმაც ფუცა ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელიმე ზის მას ზედა (მ. 23. 22) (როგავა 1962:48).

უ : ი-ს მსგავსი ცვლილება შეინიშნება ზანურის კილოკავებში. მაგ: ვიწ.-არქ. დაჩხური, ათინ. დაჩხური, ხოფ, დაჩხირი, სენაკ. დაჩხირ-ი „ცეცხლი“. ვიწ. არქ.

დოზუმუ, ათინ. დოზუმუ, ხოფ. დოზიმუ, მეგრ. დოზიმუ „გაზომა“ და სხვა (როგავა 1962:6).

უ/ი მიმართებაში, რომ „უ“ არის ამოსავალი ზანურის კილოკავებში, ამის საფუძველს წარმოადგენს ქართულის მონაცემები: „უ“-სა და „ი“-ს შესატყვისად ქართულში გვაქვს ან ო/უ ანდა „ა“ ხმოვანი: ოზიმუ > ოზუმუ „გაზომვა“ (როგავა 1962:7).

მუსაფირ – (არაბ. Misafir - მისაფირ) - „სტუმარი“:

„მუსაფირ დაჩოვლი ვარ“ (ზ.); „მუსაფირ მოვდა საჭმელი მიათვა“ (ისქ.); „აქ მუსაფირობაზე იყო და მოვა“ (ფათ.); „აქ ბევრი მუსაფირები მოდიან ბათომიდან“ (უსტ.); „მუსაფირ მოვდადა მეემსახურე“ (უსტ.); „მუსაფირ მოიდა და მოიყვანა“ (იმ.); „მუსაფირები ზაფხულ მოდიან“ (იმ.); „ბევრი მუსაფირები იყვენ და ეხლა წევდენ ბათუმს“ (იმ.)...

შდრ. ლაზურში სიტყვა „misafir“ შემოსულია „მუსაფირ“ ფორმით. მაგ:

„მუსაფირი კოჩეფე აქ იშენას“ (ხოფ.); „სტუმარი ხალხი გვიმრავლოს“ (ყიფშიძე 1939:4); „მან ამსეი თქვანიკალა მუსაფირი ქემზიდით“ (ხოფ.); „ამ სადამოს სტუმრად მიმიღეთ“ (კარტოზია 1972:78,12).

ლაზურში სიტყვა შემოსულია ოსმალური ფორმით (თანდილავა 2003: 80).

შ. ძიძიგურის განმარტებით, უ ი-ს მაასიმილაციებელი ძალა უფრო და უფრო იზრდება. პირველი რიგის კომპლექსებში ვიწრო ხმოვანს ფართო ხმოვანი მოსდევს. ქართულ კილოებში ფართო ხმოვანს არ გააჩნია საასიმილაციო ძალა და გვაქვს დისიმილაცია (ძიძიგური 1946: 21).

§ 12. ე: ი ხმოვანთმონაცვლეობა

შეჰერი - (şehir - შეჰირ) - ქალაქი:

„შეჰერში ცხოვრობს ჩემი ღარჭი“ (შავშ.); „ისტანბულ შეჰერში მაქ ბინა“ (იმ.); „შეჰერშიც ცხოვრება ზალიან მიჭირს“ (უსტ.); „ჩემი ბახალა შეჰერში გათხოვდა და ეხლა აქ ისე მოვიდა“ (იმ.); შდრ. „ახლა რომ წაღმა დაშრიპინებს მაშინაები, ასთე კი არ იყო ძველათ, ამ ხნის კაცი მევეყარე და შეჰერში არ ჩავსულვარ!“ (ნ. ხუბ.) (ნოჟარაძე 1971: 387);

ჰეჩ - (hiç) - „საერთოდ“:

„გუშინ ჰეჩ არ მიძინია, გავათენე“ (უსტ.); „ქორწილი ჰეჩ არ ქონია“ (იმ.); „გუშინ ჰიჩ არ წასულა სადმე“ (იმ.)...

თალეჰი - (არ. talih - თალიჰ) - „ბედისწერა“, „იღბალი“:

„სახლიდან რომ გახვალ მისმილაი თქვანა თალეჰი წაგყვეს“ (იმ.); „ეს ჩემი შავი თალეჰი, საცხან წაველ, თან წამყუა“ (იმ.); „ბაკალა ძალიან თალეჰიანია“ (იმ.); „ჩემ ღარჰს თალეჰი სულ არ აქ“ (იმ.)...

თალიბი - (talebe - თალებე) - „მოსწავლე“:

„აიშეი ჩემი ბაკალა თალებეა“ (იმ.); „ჩემი ბავლები თალიბები არიან“ (უსტ.)...

ნასესხებ სიტყვებში ბგერათმონაცვლეობის განხილვამ ცხადყო, რომ უცხო ენიდან შემოსული ლექსიკა ექვემდებარება ქართული და ქართველური ენების ფონეტიკურ კანონზომიერებებს. რაც იმის დასტურია, რომ მიუხედავად სამხრულ კილოებზე თურქულის ზეწოლისა, ძლიერი გავლენისა, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავისთავადობას.

თავი II. ზგერის გამჟღერება სამხრულ კილოებში

§ 1. ფ : ზ = ზგერის გამჟღერება ნასესხებ სიტყვებში

სამხრულ მეტყველებაში თურქულიდან შემოსულ სიტყვებში შეინიშნება ზგერის გამჟღერების არა ერთი შემთხვევა.

ხშირია გამჟღერების შემთხვევები თურქულიდან შემოსულ სიტყვებში. თურქულ ენაში გვაქვს რვა ყრუ თანხმოვანი (F, P, Ş, Ç, K, H, S, T) და ამ რვა ყრუ თანხმოვნიდან მჟღერდება მხოლოდ ოთხი თანხმოვანი. სიტყვა, როდესაც ბოლოვდება ყრუ ხშულ თანხმოვანზე (K, P, T, Ç), ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას ყრუ თანხმოვანი მჟღერდება.

თურქული ყრუ ხშული „ფ“ თანხმოვანი სხვადასხვა მიზეზების გამო გვადლევს მჟღერ „ხ“ თანხმოვანს:

„აბდალი“ < (aptal - აფთალ) - „სულელი“:

„ხუსეინაი აბდალია და ხეტიალობს“ (უსტ.); „ის აბდალი რას აკეთებს?“ (იმ.); „ღარჭობაში შეეშინდა და აბდალი გახდა“ (ქლას.); „იმ აბდალსა დუუმახე, იმა იცოდა“ (ქლას.); „მე აბდალმა წიფელა შემა ავწიე, მომტეხა ხელი“ (ქართ.); „ის აბდალი კაცი ჰანა წევდეს“ (უსტ.); „ის აბდალი კაცი მოიდა და ჩხუბი დაიწყო“ (ქართ.)...

ბაბუჩი < (pabuç - ფაბუჩ):

„მაი ლამაზი ბაბუჩები ვინ მოგიტანაო“ (იმ.); „ბაბუჩები გოუხდია შემოსასლელში“ (იმ.); „ბაბუჩები მუუტაი ჩეიცვას“ (ხობ.); „ბაბუჩები ვუყიდე და არ მეიწონა“ (ქართ.); „ბაბუჩების მაღაზა მაქ“ (ქლას.); „იქა ოთახში ბაბუჩები მუუტანე და დუუწყე“ (ქართ.); „ბაბუჩი რო გითხარი რა ქენი, მეიტანე“ (უსტ.); „ბახალას წითელი ბაბუჩები მუუტანე“ (უსტ.)...

ბაჰალი/ფაჰალი - (pahali - ფაჰალი) - „ძვირი“, „ძვირფასი“, (ქალის საკუთარი სახელი):

„ამისი ჩასაცმელი ზორ ბაჰალია“ (იმ.); „ამისი სახელია ბაჰალი“ (იმ.); „აქ ყუელაფერი ბაჰალია“ (ხევწ.); „შეჰირში ვიყავ და ყველაფერი ბაჰალი იყო“ (ქართ.); „მომეწონა ჩანთა ჰამა ბაჰალია“ (ქლას.); „სახლი მინდოდა ბაჰალი იყო, ჰამა მაინც ვიყიდე“ (ქართ.)...

„ბაჭალი“ გვხვდება ამოსავალი ფორმითაც - „ფაჭალი“:

„იმისი დერიც ბევრი ფაჭალია“ (იმ.); „გუმინ მაღაზაში პათათესი ფაჭალი იყო“ (ხობ.); „ფაჭალი იყო ვერ ვიყიდე“ (იმ.); „ჩარშიში ყუელაფერი ფაჭალი არი“ (ქართ.); „ფაჭალი არი, ჰამა რა მექნა ვიყიდე“ (უსტ.)...

დიალექტებში შემორჩენილია პირველადი გამჟღერებული ფორმები. მაგ:

ჯულაბი - (არ. cevap - ჯევაფ) - „პასუხი“:

„მეგ ჯულაბ ვერ მომცემს“ (იმ.); „ჯულაბი გამომიგზავნოს“ (იმ.); „ჯულაბი მომე, ცავ, ნუ გეზარება“ (ხობ.); „რო დიგიდახე, ჯულაბი რატო არ მომე“ (ქართ.); „ჯულაბის მოცემა რა გახდა“ (უსტ.); „მალე მოით აქ, ბიჭები თუ ხართ და ჯულაბი მომეცით მეთქი“ (ქართ.); „შეეშინდა და დეიწყო ქექეჯობა ჯულაბი ვერ მომცა“ (უსტ.)...

შარაბი - (şarap - შარაფ) - ღვინო:

„ძვილ შევსვი, ძვილ, შარაბი, ცოდვა ვისაქმე ჰელბეთ“ (იმ.); „ამ დერგებში შარაბები იყო“ (ხევწ.); „ქორწილი იყო და ჩემ უკან ღარჭები შარაბსა სუამდენ“ (ქართ.); „მემლექეთიდან შარაფები მეიტანა და მევდა“ (ქართ.); „შარაბი მეიტანა გურჯისტანიდან“ (უსტ.); „იმდენი შარაბი დალია დაბლაყვდა და წეიქცა“ (უსტ.)...

მექეთები - (Mektep - მექეთეფ) - „სასწავლებელი“:

„მექეთები დუუწერე ახრაბებსა თემბელი ნუ ხარ“ (იმ.); „ერთი მექეთები დოუკარგავან“ (უსტ.); „მანატბური მექეთები ვერნა ვიპუოთ ჩუენ? (იმ.); „მექეთებში რომ არ აკითხებენ, გურჯიჯა არ იციან“; „ჩუენი ბაღნები მექეთებში იარებიან“; „მემრე მექეთებში წაველ“; „მე მექეთებში ორეთმენი ვარ“; „მექეთებში ვინც კითხულობენ, იმათ მითხრენ, რომ გურჯუჯა ბაღნებს არ ასწავლოთ“...

დოლაბი - (dolap - დოლაფ) - „კარადა“:

„დოუკეთებიან დოლაბები ქომეებში“ (იმ.); „ათაქ ოდაში გვიდგას ურუბის დოლაბი“ (ინ.); „დოლაბი მევიტანე და ქალმა არ მეიწონა“ (ქართ.); „დოლაბების მაღაზაში მუშაობს ჩემი ღარჭი“ (უსტ.)...

სებები - (არ. sebep - სებეფ) - „მიზეზი“:

„სებები გუუხდა იმ დეთიძსა“ (იმ.); „სებები გახდა თორე არ მოხდებოდა“ (უსტ.); „სახში მოსული სებები გუუხდა“ (ქართ.)...

აჭარულ დიალექტში ეს სიტყვები ირთავენ ბრუნვის ნიშანს (მექთები, ჯულაბი, სებები, დოლაბი).

წყვილბაგისმიერი ხშულები ყრუ „p“ და მჟღერი „b“ გადმოცემულია „ბ“ და „ფ“ ნიშნებით (აბულაძე 1968: 42).

აღნიშნავთ, რომ შავშურ დიალექტში, საკუთრივ ქართულ სიტყვებში ხშირია ბგერის დაყრუების შემთხვევები. ყრუვდება უმეტესად ფუძის ბოლო თანხმოვანი, რაც ქართული წარმოთქმის თავისებურებებით უნდა აიხსნას. მაგ:

„ზოგი ვერ გიგვიგნია, ცქვიტათ **ლაპარაკოფს**“ (ხევწ.); „გურჯულაჲ ვერ **ლაპარაკოფს**“ (ხევწ.); „ქვიან **ალაგეფში** არის“ (ჩაქ.); „წასულა იქავრულაჲ **ლაპარიკოფს**, ხან-ხან ურევს იშტე. ზოგსა **ვსეიროფთ**“ (უ.); „ჰუქუმდარმა უთხრა, რომე ეს კაცი'ნა **მოძეფნოთ**“ (უ.)...

„სარმას **გავაკეთეფთ**, ბირინჯით, მაიდანოზით“; „კაკლით ბორეგ **ვაკეთეფთ**; ასე **გავაკეთეფთ**“ (უ.); „კონსერვებს **გავაკეთეფთ** ჟავეს“ (უსტ.); „ვინცხა რაცხა **ამბოფს**, წადიან აფუჭებენ“ (უსტ.)...

დეიჯერეფს//დეიჯერებს:

„ვინცხაი არ **დეიჯერეფს**, ის წააგებს“ (იმ.); „იმის ნათქუამებს რომ ლამაზათ **დეიჯერებს**, ლამაზათარი“ (იმ.)...

„მოღალული ინსანი რომ ლოგინში **დეიძინეფს** ლამაზათ, ისე'ნა სული'ნა მიცენ, სული არნა დეეწუან“ (იმ.)...

„კინით გაკეთდება ბიწალი//ფიწალი“ (იმ.);

მ. ძიძიშვილი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ერთმანეთის პარალელურად იხმარება სიტყვები **კრიბა//კრიფა**. მისივე განმარტებით, ორი მჟღერი ბგერიდან ერთ–ერთის დაყრუების მიზეზი დისიმილაციური დაყრუებაა. **ბ** ბგერის **ფ**-დ ქცევა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. **ბ** ბგერის დაყრუება გვხვდება სიტყვის ბოლოშიც. მაგ: აკურთხებ - აკურთხეფ: ნაცვლად წყევისა აკურთხეფ A 95, 91, 30 (ძიძიშვილი 1960:69,72,73).

გ. ახვლედიანის განმარტებით, თავდაპირველად იხმარებოდა, „**კრებ**“, სადაც სიტყვის წარმოთქმისას ბოლოში ისმოდა ყრუ თანხმოვანი **ფ**. რადგან სიტყვის ბოლოში ნორმალურად მჟღერი თანხმოვანი ვერ ძლებს, ამიტომ დიფერენციაციის

მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო ნორმალურად მესამე გვარის წყვილბაგისმიერის ხმარებით; ეს კი იყო ფშვინვიერი ფ. მაშასადამე, მნიშვნელობის დიფერენციაციამ მოითხოვა ან ხელი შეუწყო მორფოლოგიურსაც; და ამგვარად დღეს რეალურად (და არა ისტორიულად) ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ძირი (**ვკრებ და ვკრეფ**). მხოლოდ ამიტომ შეიქმნა შესაძლებელი, რომ **ვკრეფ**-ის ფ, სიტყვის ბოლოში მდებარეობით წარმოშობილი და დიფერენციაციის მოთხოვნისგან განმტკიცებული, გადატანილიყო სიტყვის შიგნით: **კრება, კრეფს** (ახვლედიანი 1949: 356).

§ 2. კ (ქ) : გ, ღ = ბგერის გამჟღერების შემთხვევა

კ (ქ) > გ, ღ: ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვები, სადაც უკანაენისმიერი ყრუ ხმული რბილი ბგერა „k“, ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას მჟღერდება და გვაძლევს „გ“-ს, ან „ჭ“-ს. მაგ:

ბარდალი – (Bardak - ბარდაქ) - „ჭიქა“, „დოქი“, „ჭურჭელი“:

„თითო ბარდალი ჩაი სვით“ (ჩაქ.); „სა’ნა დაჟდეთ? თითო ბარდალი სვით“ (ჩაქ.); „ბარდალი მეიტანე წყალინა დალიოს“ (ქართ.); „თითო ბარდალი შარაფი დალია“ (უსტ.); „ორი ბარდალი რახი დალია და ავადევილი გახდა“ (ქართ.)...

ბორეგი - (börek - ბორექ) - „ნამცხვარი“:

„ხმელი ბორეგიც ვიცით, შერბეთითაც დავალბობთ“ (ინ.); „ბორეგები გამუაცხე, ძალიან გერმელია“ (იმ.); „ნენემ კაი ბორეგები დააცხო და გამუატანა“ (ქარ.); „შენ ბორეგები რა ქენი“ (ქარ.); „ბორეგები შერბეთში’ნა ჩაყარო გემრიელია“ (უსტ.); „ბორეგი გააკეთე და მეიტანე“ (უსტ.)...

დიბეგი - (dibek - დიბექ) - „ფილი“, „სანაყი“:

„ქვა გუაქ გამოჭრილი, იმა ქვია დიბეგი, სანეყელი“ (იმ.); „ქინძი დიბეგში დანაყე“ (ქართ.); „ჩემმა კაცმა კაი დიბეგი მომიტანა“ (ქართ.); „დიბეგი ვიყიდე და შუაზე გასკდა“ (ქლას.); „გაჰერსდა და დიბეგი გეიქნია“ (ქლას.); „დიბეგი გატყდა და არ გიმიკეთეს“ (უსტ.)...

ეშეგი - (eşek - ეშექ) - ვირი:

„ეშეგივით კაცია, ინათიანი“ (უსტ.); „ეშეგი მეიყუანა და ზდის“ (უსტ.); „ეშეგივით მეიქცა და არ წევდა“ (უსტ.); „ეშეგი იყიდა და ქალაქში დადის“ (უსტ.);

„ის ეშეგი ვინ მეიყუნა“ (ქართ.); „ეშეგივით დააბა ბალვი ბაგაზე, გარეთ არ უშვეფს“ (უ.)...

ზოგჯერ გვხვდება ემევიც.

მერეგი - (merek - მერეე) - „პირუტყვის სარჩოს შესანახი ადგილი“:

„მერეგი, თივას რომე დაყრიან, იმა ქვია“ (იმ.); „ამასა მერეგ ვებნევით“ (იმ.); „მერეგში შეყარე გაწვიმდა“ (იმ.); „ჩომას ბალახს მერეგში ვინახავთ“ (იმ.); „მერეგში არ სველდება“ (ჩაქ.)...

მუსლული - (musluk - მუსლუქ - „ონკანი“):

„იქა მუსლულია და დეიბანე“ (იმ.); „მუსლულები ეზოშია ჯამის“ (უსტ.); „იქითა მხარეს მუსლულია და დეიბანე“ (ხევწ.); „ჩვენთან აქ მუსლულები ვიცით“ (ხევწ.); „მუსლულში წყალი ცივია“ (იმ.)...

შდრ. „შედრევანში დადგმული იყო ქვის დიდი აუზი, და სამი კედრით მუსლულები ქონდა, ლოცვის წინ იქ ეიღებდენ აბდესს“ (ნიჟარაძე 1971: 277);

მუსტალი ახი:

„მუსტალია მაგაზე ახია, ღირსია! ეგრე ეკუთვნის!

„უბრალო რომ არ მიქნია,

ყველამ უთხრა მუსტალი“ (აჭ. ზ. პოეზ.) (ნიჟარაძე 1971: 277).

ქუთუგი - (kütük - ქუთუქ) - „ჯირკი“, „კუნძი“: (შდრ. 1. დასახერხად გამზადებული ხის მორი; 2. სკა - როგო, გეჯა; 3. ჯილღის ნაწილი: „ქუსლი“, „დედანი“ (ნიჟარაძე 1971: 359).

„ლოგინში მის მაგიორაი ქუთუგი დააწვინა“ (ინ.); „ჩუნა ქუთუგ ვიცით, ხიებში შამუაწყობთ“ (იმ.); „წყავის ქუთულები მოვტადთ, ოჯახში გამთეა“ (ორთ.)...

ჩილეგი - (çilek - ჩილექ) - მარწყვი:

„არ დააპნიო ჩილეგი“ (იმ.); „ჩილეგი ძალიან ზვირია“ (უსტ.); „ჩილეგის მურაბა გერმელია“ (შავშ.); „ჩილეგის რეჩელი გერმელია, ჰამა ტკბილი“ (უსტ.); „ჩილეგი რომ მუა, კამპოტს ვაკეთებთ“ (იმ.); „ჩილეგი მეიტანეს და ვიყიდე, ზალიან გემრმელია“ (იმ.); „ტყეში წევდა ჩილეგი'და მეიტანოს“ (უსტ.)...

ჩიჩეგი - (çiçek - ჩიჩექ - ყვავილი):

„ჩიჩეგ ზიდავს ფუტკარი, წყალი მააქვა, აკეთავს თაფლსა“ (ქართ.); „ჩიჩეგზე დაჯდება და მეიყვანს თაფლსა“ (იმ.); „ჩიჩეგი დაკრიფა და ნენეს მუუტანა, დოლუნი აქ დღეს“ (იფხ.)...

აჭარულ და შავშურ დიალექტებში შესაძლებელია შეგვხვდეს ერთი და იმავე სიტყვის ორგვარი ფორმა. მაგ:

თაბალი//თაბაგი - (tabak - თაბაქ) - თეფში“:

„ესა ჩაი თაბალია“ (იმ.); „ალთუნის თაბაღა წამევლეო“ (იმ.); „თაბაღები შამეიტაჲ მუთვალიდამ“ (იმ.); „მემლექეთიდან ნენემ ალთუნის თაბაღები მეიტანა და ინახავს, ამბობს ნენეი მახსენდებაო“ (ჩაქ.); „თაბაღები შემეიტანე იემეღები უნდა ჭამონ“ (იმ.); „თაბალი გედეილე, ბორეგს დეიდებ“ (უსტ.); „თაბაღები გარეცხა, არ გატყდესო“ (უსტ.); „შენ ყავეს თაბაღს მეგიტან“ (უსტ.)...

თობრაგი//თობრალი - (toprak - თოფრაქ) - „მიწა“:

„სიმინდს და ლახანას დავთესთ თობრაღსა“ (იმ.); „აქით თობრაგი უმფო კარგია. ვთესავთ ყველამფერსა“ (იმ.); „თობრაგსა კარქა დაამუშავებ კაი მისირი მოვა“ (იმ.); „ყურალია და თობრაგი გამოშრა“ (უსტ.)...

დირეგი//დირელი - (direk - დირექ) - „ბოძი“:

„იქავენ ორი დირელი ასვია“ (მაჭ.); „დირელი ექანება“ (მაჭ.); „დირეგზე მიაბეს და ისე ესროლეს“ (ქლას.); „დირეგები ტყიდან მეიტანეს“ (ქლას.); „ი ღარჭი ტყეში დირეგზე მიბმული ოპოვეს“ (უსტ.)...

შდრ. „მაგ საბძელს თუ დირეგები არ დუუბჯგინეთ, ქარი წააქცევს“; „ბოლოს, აჰა გამოჩნდა მთელი ტყე ნავთსადგურში მდგარ დირეგებისა“ (თ. სახ.) (ნიჟარაძე 1971: 181).

§ 3. თ:დ = ბგერის გამჟღერების შემთხვევა

თ > დ – თურქულ ენაში არის „t“ თანხმოვანი, ხოლო აჭარულ და შავშურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვებში იგი გვამღერებს დ’ს, ზოგჯერ შენარჩუნებულია თ. მაგ:

ბერბადი - (berbat - ბერბათ) - „დასვრილი“, „ბინძური“:

„ახლაც ბერბადი მეიყუანეს ბაღნები, ერთი ქალი ვერ უუთავდება ამათ“ (იმ.); „აილაში ბერბადი გახდა და მოვდა“ (უსტ.); „ბერბადი იყო და სახში არ შემოვდა“

(ქლას.); „იმფერი ბერბადია, ვერ გარეცხავ“ (ხოხ.); „ისეთი ბერბადი მოვიდა“ (ხოხ.);
შდრ. დიდი ბერბათი კაცია (ბათ.)...

გვხვდება დ' ს - თ' დ ქცევის შემთხვევაც:

დორთუნჯუ - (dördüncü - დორდუნჯუ) - „მეოთხე“:

„დორთუნჯი ყათში ვზივარ“ (იმ.); „დორთუნჯუზე რომ მივდა თქვა და
გადახდა“ (ქლას.); „დარჭი დორთუნჯუ კლასშია“ (უსტ.)...

თადილი - (არ. tatil - თათილ) - „დასვენება“, „შვებულება“:

„თადილში მარადიდ მივდივარ“ (იმ.); „თადილი რომ გახდება მოა აქ“
(ქართ.); „თადილებზე აქ მოდიან ბავლები“ (უსტ.)...

ინადი - (inat - ინათ) - „ჯიუტი“:

„მისი ანაი ზორ ინადიანი ქალი იყო. ორ თანე ხარმან ვერ გეიწევდა, იმის
ინადი ქონდა“ (ქართ.); „ნენეი ინადიანი იყო ჰამა ეხლა შეიცვალა“ (ქლას.); „შენი
ინადი შენნა შეინახო“ (უსტ.); „ონადობა კაი არ არი, ზარალს მოგცემს“ (ხოხ.); „მისი
ინადი ეისრულა და რაზ გახდა“ (უსტ.); „ინადიანი გელინი ზორ ზნელია“ (იფხ.)...

„ინათიანი ვარ, არ შევეკითხე ვისია მაჲ ბაღანაო“ (აჭ.);

ნ. გურგენიძის განმარტებით, აჭარულ დიალექტში დადასტურდა
თავკიდური t-ს გამჟღერებული ფორმები. მკლევარი განმარტავს, რომ ისინი
მსესხებელი დიალექტებიდანვე გამჟღერებული სახითაა გადმოსული.

სამხრულ კილოებში დადასტურდა t>d-ს ორიოდე შემთხვევა თურქული
წარმოშობის სიტყვათა ანლაუტში:

დაბანჯა (ღურტა) – (tabanca - თაბანჯა) - „რეკოლვერი“:

„ის წევდა დაბანჯა ეილო, ისვენ უკან დაბრუნდა, ესოლა და მოკლა“ (ხევწ.);
„დაბანჯის ზორ მეშინია“ (ხევწ.); „გავგულიანდი, დევსავენ გეველ გარეთ და
დაბანჯა ამევლე“ (უსტ.)...

თურქულ ენაში „tabanca“ - „თაბანჯა“, ხოლო შავშურ დიალექტში „დაბანჯა“.
თუმცა გვხვდება მისი მკვეთრი ვარიანტი „ტაბანჯა“:

„ტაბანჯა წელზე ქონდა გამოკიდული“ (ინ.); „ტაბანჯა მეიტანა და ისროლა“
(ხევწ.); „ტაბანჯები ჰად ნახეთ ამდენი“ (უსტ.); „ხელში ტაბანჯა დევჭირე და
დევყვირე: გარში ვინმე არ გამევდეს მეთქი“ (ქლას.); „ტაბანჯა გადმეილო და

ესროლა, ადგილზე მოკტა ის კაცი“ (უსტ.); „კაი ტაბანჩა იყიდა და ღორებს კლავს, აქ გარეული ღორებია დაჯიშებული“ (უსტ.); „იმდენი ტაბანჩა ქონდა ჩემს ბაბოსა, რომ დაწოლა მეშინოდა“ (უსტ.)...

ტავშანი - (tavşan) - კურდღელი:

„აქა ტავშანიც არი“ (მაჭ.); „ტყეში ტავშანი ბევრია“ (იმ.); „ჩვენთან ბევრი ტავშანები არის“ (იმ.); „ტავშან ვწვავთ და ზამთარში ვჭამთ“ (იმ.); „იმდენი ტავშანები მყავს ვერ ვუვლი“ (უსტ.); „ტავშანებს კლავს და მერე ცეცხლზე აბრაწებს“ (იფხ.); „ტავშანი ყავს სახში“ (უსტ.)...

გვხვდება **დავშან** ფორმაც (იხ. გურგენიძე 1973:121).

ქართველთა მეტყველებაში თურქული ყრუ „t“ თანხმოვანი ხშირად არა, მაგრამ მაინც მკვეთრდება და გვამლევს „ტ“-ს. მაგ:

ასტარი - (astar - ასთარ) - „სარჩული“:

„ეს ყუმაში ჯექეთი ასტრისთვის კაი მუა“ (ინ.); „ასტარი გააკეთე და დადევ“ (ჩაქ.); „ასტარი ვიყიდე და გუუკეთე“ (ხეფ.); „ასტარი მეიტანე და ყუმაშს გუუკეთე“ (ქართ.); „შენ ელბისეს ასტარი უნდა“ (ქლას.); „ასტარი იყიდა და არ გამოვდა, არ გაჩერდა კარგად“ (იფხ.)...

ტაბანი - (taban - თაბან) - „ფეხისგული“:

„ტაბანი მიბუჯდება“ (ხობ.); „ნუ გიგიშლია ფეხის ტაბანი“ (მეზ.); „ტაბანი მტკივა და დოხტორთან ვიყავი“ (ქლას.); „ექიმთან ვიყავი და ტაბანის ილაჯი მომცა“ (ხობ.); „შენ ტაბანსა დენიზი მუუხდება“ (უსტ.)...

ტათლი - (tatlı - თათლი) - „ტკბილი“, „გემრიელი“:

„ზორ ტათლის არ შევსჭამ“ (იმ.); „ტათლი არ მიყუარს“ (იმ.); „ტათლი შეჭამე გემრიელია“ (იმ.); „ჩვენი ტათლები ძალიან გემრიელია“ (ქლას.); „შენ ტათლი რომ გააკეთე სა წეილე“ (უსტ.)...

ოტელი - (otel - ოთელ) - სასტუმრო:

„მეც მოვტეხე, მეზობელ ქალითვინ მინდოდა, მარა ოტელში დემეკარქა“ (იმ.); „ოტელში მეიყუანეს და გააგდეს“ (ჩაქ.); „ოტელში მოვდა, ჩვენ კაც უკან დაწვა და წევდა“ (ჩაქ.); „თქვენ ოტელში რჩებით, ზვირია ზალიან“ (იფხ.); „ოტელი მაქ ხუთ სართულიანი“ (უსტ.)...

ტუზლი - (tuzlu - თუზლუ) - მარილიანი:

„ტუზლი ფასთა, კაკავოლი ფასთა, ყათმერი, ქადა, ძველებური ბახლავა იქნება“ (ქლას.); „ტუზლი ფემელები ძალიან მიყვარს“ (უსტ.); „ტუზლუ საჭმელები არ ვარგა, ვერ შეჭამ“ (უსტ.); „საჭმელს ბევრი ტუზლუ დააყარა, ვერ შეჭამ იმდენი ტუზლუ აქ“ (უსტ.); „ტუზლუ ბევრი ჭამა და მუცელი ეტკინა“ (ჩაქ.)...

როგორც სხვა თანხმოვნები, ასევე „t“ და „d“-ც დიალექტში მონაცვლეობენ. მაგ:

ინადინე//ინათინე - ჯიბრზე ჯიბრით:

„ინათინე აკეთებს ამასა“ (ხ.ფ.); ინადინე იქით წეიყუანა ხარები“ (ჰ.); „ინადინე არ მოვდა“ (ქლას.); „ნენემ უთხრა არ წეხვიდე, ჰამა ინადინე წევდა“ (ქართ.)...

§ 4. ჩ : ჯ = ბგერის გამჟღერების შემთხვევები

ჩ : ჯ = თურქული ენის წინანუნისმიერი ყრუ ხშული „ჯ“ დიქლექტებში გვამღევს უკანა ველარულ მჟღერ ხშულ „ც“ თანხმოვანს. როგორც „p“, ისე „ჯ“ გამჟღერებული ფორმითაა გადმოსული ქართულში. მაგ:

არაბჯა - (arapça - არაფჩა) - არაბული ენა:

„არაბჯა კითხვა-წერა ჰამანქი ბევრმა იცის“ (სტ.); „არაბჯა უფრო თულია“ (იმ.); „ჩემმა ღარჭმა ოქულში ისწავლა არაბჯა“ (იმ.)...

ანაჯი - (anaç - ანაჩ) - „მომწიფებული“, „გამოცდილი“:

„ანაჯი ქალი მეიყუანა“ (იმ.); „ზოვლი ანაჯი ქალი უნახავს ბაღვების ანალული“ (უსტ.); „ღარჭი კაი ანაჯია“ (იმ.)...

გენჯი - (genç - გენჩ) - „ახალგაზრდა“:

„გენჯობაში ვსაქმობდი, სიმღერა დაჰა“ (მერჯ.); „გენჯობაში ლამაზი ვიყავ და მომიპარეს“ (უსტ.); „ქმარი გენჯობაში კაი დელიყანლი იყო“ (უსტ.); „გენჯობაში ყველაფერ გავაკეთებდი ეხლა დავბერდი“ (უსტ.)...

ილაჯები - (ilaç - ილაჩ) - „წამალი“:

„უღარჭო ქალებისთვინ ჩემი ტაიას ქალი აკეთავს ილაჯები“ (ქლას.); „ილაჯიც კეთდება დაწვილისთვინ“ (ქართ.); „ახლა ილაჯებზე გითხრა ცოტა: აყრებმა, კიბორჩხალმა უკბინა ინსანსა, იმის ილაჯი კუერცხია, ჩიგი კუერცხი“ (ქართ.)...

სამხრულ კილოებში თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში თანხმოვანთა გამჟღერება ექვემდებარება თანხმოვანთცვლილების წესებს, რომელიც შეპირობებულია ქართული წარმოთქმის თავისებურებებით.

თავი III. თურქული ლექსიკა ქართული მაწარმოებლით

სამხრულ მეტყველებაში გაირჩევა რამდენიმე შემთხვევები, როცა ა) ქართული სიტყვები თურქული მაწარმოებლითაა, ბ) თურქული სიტყვები ქართული მაწარმოებლით; გ) თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლით და ა. შ.

საინტერესოა ასეთ ლექსიკაზე დაკვირვება სიხშირის თვალსაზრისით, რათა დადგინდეს თურქულის გავლენის დონე და ქართული სიტყვათწარმოების სიმყარე.

§ 1. უქონლობის აფიქსით ნაწარმოები სახელები

თურქული ნასესხები სიტყვებიდან ნაწარმოებია უქონლობის სახელები შესაბამისი ქართული აფიქსებით:

უ-ბერექეთ-ო (არ. bereket - ბერექეთ - სიკეთე, დოვლათი, სიუხვე):

„უდოვლათო, უბერექეთო ინსანია თლათ, ხელებში უქარდება ყუელამფერი“ (თ.ქ.); „უბერექეთოთ აკეთებს ყველაფერს“ (უსტ.); „ყველაფერი მეიტანა მარა უბერექეთო იყო“ (ჩაქ.)...

უ-დუგუნ-ო - (düğün - დუგუნ - ქორწილი):

„უდუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები“ (ჩაქ.); „გუშინ გელინი მეიყვანეს უდუგუნო“ (უსტ.); „უდუგუნო ქორწილს არ გავაკეთებთ“ (უ.); „მე უდუგუნო მომიყვანეს“ (უ.)...

შავშურში ამ სიტყვას წარმოთქვამენ როგორც „დულუნი“. მაგ:

„დულუნ დუუცადევთ, დულუნ და ემესა წეიღებ სუ ყველა ფერსა“ (შავშ.).

უ-ფიშმანია - (სპ. pişman - ფიშმან - მონანიება, დანანება):

„ასე უფიშმანიან კაცებსა“ (სტ.); „უფიშმანოდ გააკეთა ყველაფერი“ (უსტ.); „ის უფიშმანო ინსანია“ (ხობ.)...

აჭარულ დიალექტში ფიქსირდება თურქულიდან ნასესხებ ზედსართავ სახელებზე უქონლობის მაწარმოებელი უ-ო სუფიქსების დართვაც. მაგ:

„უ-ყისმეთო“ : (არ. kismet - ქისმეთ - „ბედი“, „ხვედრი“):

„უყისმეთო ინსანი ოყო“ (უსტ.); „უყისმეთოთ არაფერი არ იქნება, ი რაც გიწერია მისით მოვა“ (ჩაქ.); „უყისმეთო რომ დეიბადება რანა ქნა“ (უ.); „ბავშვი რომ დეიბადება თუ უყისმეთოა შუბლზე აწერია“ (ჩაქ.)...

აჭარულში უყისმეთო (ბ. ფ. VII, 1) - „უბედური“. თურქულად არის *kismetsiz* - „უყისმეთო“ (გურგენიძე 1973: 88).

„უ-ჰევესო“ - (*heves* - ჰევეს - „სურვილი“, „გნება“):

„უჰევესო კაცი ცოდვაა“ (ხეფ.); „უჰევესოთ წევდა ამ ქვეყნიდან“ (უ.); „დედვი უჰევესოთ გადმოვდა აქ და დასახლდა“ (უსტ.)...

„უჰევესო“ სიტყვასიტყვით „უხალისო“ - თურქულადაა „*hevessiz*“.

გვხვდება ასევე უქონლობის სახელები თურქული მაწარმოებლით:

მერხემეთ-სუზ-ი - (*merhemetsiz* - მერჰემეთსიზ - „შეუბრალებელი“):

„შენთანაი მერხემეთსუზი კაცი ვერც ვაალი გახდება და ვერც ჩობანი“ (ინ.); „მერხემეთსუზი ინსანო ცხოვრებაში ცოდვაა“ (იმ.); „ის კაცი ძალიან მერხემეთსუზია“ (იმ.)... (*merhemet* - მერხემეთ) - „სიკეთე“, „სიმართლე“.

ნამუს-სუზ-ი - (*namussuz* - ნამუსსუზ - „უსინდისო“):

„ნამუსსუზი გელები, თხები რაფერ შიგვიჭამეს?!“ (ჰ.); „ის ნამუსსუზი არ მევიდა“ (ჩაქ.); „ნამუსსუზი მევდა და წეიყვანა ძროხები“ (უ.); *namus* - „ნამუსი“, „პატიოსნება“.

აღლსუზი - (*yağsız* - იაღსიზ - „უცხიმო“):

„ხორცი აღლსუზი თუა, აღლსაც ვურთობთ“ (ქლას.); „იაღლსუზი იემელი გერმელი არ იქნება“ (ხობ.); „თუ გინდა კაი გააკეთო ბევრი იაღი უნდა, უაღლსუზო არ გამოვა“ (ზ.); „ბაზრიდან მეიტანა აღლსუზი ხორცი და ნენემ არ მეღონა“ (ხობ.)...

რენგ-სუზ-ი - (*rengsiz* - რენგსიზ - „უფერული“):

„ციცაი რენგსუზი გამხდარა“ (ინ.); „ავადმყოფობისგან რენგსუზი გახდა“ (ქლას.); „რენგსუზი გახდა და დობტურთან წევდა“ (უსტ.); „მეიწამლა და რენგსუზი გახდა“ (უსტ.)...

სამხრულ დიალექტში დასტურდება უქონლობის აფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები:

დიბსიზ გოლ-ლარი ტბები, სათიბი (დაბაკ.), თ. dip - „ძირი“, dip-siz - „უძირო“, göl - „ტბა“, დიბსიზ გოლ-ლარი - „უძირო ტბები“;

სუხსუზ ყიშლა ტყე (სხლობ.), თ. su - „წყალი“, su-suz - „უწყლო ადგილია“;

§ 2. -მე (<მო) ზმნისწინიანი ფორმები.

„მე-ეხიზმეთა“ - (hizmet - ჰიზმეთ - „მომსახურება“):

„იმათ მეეხიზმეთა გელინმა“ (სტ.); „ახლანდელეები კარგა არ მეეხიზმეთებან დედ-მამამთილსა და შეშინებული ვარ“ (ინ.); „კი მეეხიზმეთები ჰამ არ დეინახავს“ (უსტ.)...

შდრ. „მე-იკალიბებს“ - „მოილაგებს“:

„მვილაი მეეკალიბე, დილამოლმა ვბრუნავ“ (ინ.); „მეეკალიბე და ქალაქში მივდივარ“ (იმ.); „თველი მეეკალიბეთ და შეჰირებში წევალთ, ზამთარში აქ არ ვჩებით დიდი თოვლი იცის“ (იმ.)...

„მოვდა ქალმა მე-ფურუნჯესთან“ (იმ.); „მე-ფურუნჯემ მისცა პური“ (იმ.); „მე-ხიზარჯები არ იყვნენ აქ“ (შავშ.); (ცინცაძე, ფაღავა 1998:52).

§ 3. ში,ზე თანდებულებით ნაწარმოები სახელები

თურქულ დიალექტში გვხვდება აგრეთვე თურქული გზით შემოსული სიტყვები მიცემითი ბრუნვის ში ან ზე თანდებულებით. მაგ: „ესკერში“, „ქენერში“, „მაჰალეში“, „არაბაში“, „ჩიჩეგზე“, „მექთეფებში“ და ა. შ:

„ესკერში“ – (არ. asker - ასკერ - „ჯარისკაცი“, „სამხედრო სამხასხური“):

„მისი კაცი ესკერში წასულა დაკარქულა“ (იმ.); „ჩემ ბაბომა ესკერში დატია, ცხენიც იქ დატია“ (იმ.); „კაცი ესკერშია, ნენეი აშლია“ (იმ.); „წევდა ჩემი კაცი ესკერში“ (უსტ.); „ესკერში წასული არ იყო ჯერ“ (ბაზგ.); „ესკერში მსახურობს ღარჭი და არ არი სახლში“ (ხევწ.)...

„ქენერში“ – (kenar - ქენარ - „კუთხე“):

„ჩემი ტყუპები იყვნენ, ყანი ქენერში“ (სვირ.); „ყართოფ ყანი ქენერზე ვთესავთ“ (უსტ.); „იგზე ჩემი ტყუპები იყვნენ ყანი ქენერზე“ (სვირ.); „სახლის ქენერზე რომ ევიდა ჩამოვარდა და მოკდა“ (ხობ.); „ეზოს ქენერში რუ უნდა გავაკეთოთ“ (ქართ.); „ქალეს ქენერზე მოთხარეს“ (ჩაქ.)...

ამ სიტყვებში შეინიშნება ბგერათმონაცვლეობა, ასიმილაციის საფუძველზე მომხდარი ცვლილებები. მისი სრული ფორმაა „ასქერ“, „ქენარ“ ხოლო მთქმელი წარმოთქვამს „ესკერ“, „ქენერ“.

თერეფში – (Taraf - თარაფ - „მხარე“):

„თხუთმეტ თანეს ერთ თერეფში ჩავაზღვიებთ. მემრე მივერე თერეფშიც ადნი თხუთმეტ თანე ნაზვის შეშას დავაზღვიებთ“ (უსტ.); „ჩვენ თერეფში კაი ინსნები სახლობენ, ჰეფსი გურჯები ვართ“ (ხობ.); „გაღმა თერეფში ცხოვრობ მეორე ბიჭი და მუშაობს“ (უსტ.)...

ჩიჩეგზე - (çiçek - ჩიჩექ - „ყვავილი“):

„აქევრი უფრო თეთრი არიან ჩვენ ჩიჩეგზე“ (მერჯ.); „ჩიჩეგზე ბევრი ბზიკია არ გიკბინოს“ (უსტ.); „მანდარინის ჩიჩეგზე ბევრი არიან“ (ჩაქ.); „ამ ჩიჩეგმა ლამაზი ყვავილი იცის“ (იმ.)...

მაჰალეში – (mahale - მაჰალე - „უბანი“):

„ეუბი ჩუენ მაჰალეში ზის“ (ინ.); „მაჰალეში დგას“ (ხევეწ); „იმ მეჰელეში გახვალ იპოვნის“ (ჩიხ.); „იმ მაჰალეში ჩემი ახრაბები ცხოვრობენ“ (ზ.); „ღარჭი ახრაბებთან წევდა იმ მაჰალეში“ (ხევეწ.); „ში“ მარტივი ერთმარცვლიანი თანდებულია და სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში. თურქულად იქნება „Mahalede“.

„არაბაში“ – (Araba - არაბა – 1. „მანქანა“, „ურემი“, „საზიდარი“, „ეტლი“.
2. ავტომანქანა. 3. ვაგონი. 4. ხეიბრის, ბავშვის ეტლი):

„ბელქი გაწვიმდა და არაბაში დასველდა, რამ დაგაყრევინა არაბაში?“ (მერჯ.); „შააჟდა არაბაზე და სოფელში წევდა“ (იმ.); „არაბაში ვიჯექ, გამუელი, ვუთხარ, გეჩმიშ ოლსუნ – მეთქი“ (ხევეწ.); „არაბაში იჯდა და იმ ხევში გადავარდა და ამეიყლარჭა“ (ხევეწ.)...

თენჯერეში - (tencere - თენჯერე - ქვაბი):

„თენჯერაში ძალი და ხახვი მოხრაკე, ზედან წყალი დაასხი, ისიც ჩაყარე, გამუურიე კოვზი“ (იმ.); „თენჯერეში გააკეთე გემრიელია“ (უსტ.); „ხახვს ჩაყრი თენჯერეში და მოხრაკავ“ (ჩაქ.)...

მექთებში - (mekteb - მექთეფ - „სასწავლებელში“):

მედრესეს მემრე უკითხია სხუაგან, რომ გახდეს ენ დიდი, რუმტე **მექთეფში**“ (იმ.); „ამ **მექთეფში** ერთ დღეს შესულა დიდი ფაშა“ (იმ.); „მე ბაბასი ერთი ბიჭი ვიყავი, იმან **მექთეფში** არ გამგზავნა“ (ჩაქ.); „**მექთეფში** ისწავლეს ბაღვებმა“ (იმ.)...

დუნიაში - (dünya - დუნია - „ქვეყანა“):

„მე **დუნიაში** მოსული არ ვიყავ“ (იმ.); „ამ **დუნიაში** ყოფნა კარგია“ (იმ.); „ამ **დუნიაზე** ისაქმე, ისაქმე“ (იმ.); „იმ **დუნიაზე** რანა წეილო?“ (უსტ.); „ამ **დუნიაზე** მოგიყუნა ანამ და ბაბომ ღმერთის ემრით“ (უ.)...

„ში“ მარტივი ერთმარცვლიანი თანდებულია და სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში. გამოხატავს „შიგ“ მყოფს. თურქულად გამოითქმის „Arabada“. „da“ თურქულ ენაში ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელია, რომელიც გამოხატავს ადგილს კონკრეტულად თუ სად ხდება მოქმედება.

მემლექეთში - (memleket - მემლექეთ - „ქვეყანა“, „მხარე“, „ოლქი“, „რაიონი“):

„ახლოპირ გადმოსლა გვინდა **მემლექეთში**“ (იმ.); „**მემლექეთში** ვირი ნაკლებათ ყოფილა“ (იმ.); „ნაწევარი გაატანა **მემლექეთში**, ხისიმები გეიგენიო“ (იმ.); „**მემლექეთში** ბეგებმა ჩამოკიდება იცოდენ თავაწევლ იქით კაცებზე“ (იმ.)...

აილაში – (Yayla - იაილა - „საზაფხულო საძოვარი“, „იალალი“):

„ერთი ბუქი და წამეღლო ისინი და ღელეში შეიტანა და დაჰა შიშისგან **აილაში** ჩევდა“ (იმ.); „**აილაში** წევდა და იქ სახლობს არ მოიდა“ (იმ.); „ჩემი ბაგალა ეხლა **აილაშია**“ (ქლას.); „**აილაში** წევდეთ და იქ დავრჩეთ, კაი იქნება სუფთა ჰავაზე“ (ხევწ.); „**აილაში** იყო და მოვიდა“ (უსტ.)...

§ 4. -კენ თანდებულიანი თურქულიდან ნასესხები სიტყვები

„ახლა **გურჯისტანისკენ** მივალთ და გული დიდი გუაქ, ჩუნ მემლექეთში მივალთ“ (მეზ.); „ჩემი ბაბოი სულ იტყოდა **გურჯისტანისკენ** წასვლა მინდაო“ (იმ.); „**გურჯისტანისკენ** უნდოდა წასვლა, ჰამა ვერ წევდა“ (უსტ.); „**გურჯისტანისკენ** რო წევდა აღარ დაბრუნებულა“ (შავშ.); „ერთი ძმა **გურჯისტანისკენ** არი, იქ ცხოვრობს“ (შავშ.); „ჩვენი მემლექეთი **გურჯისტანისკენ** არი“ (უსტ.); „**გურჯისტანისკენ** წასვლა ზორ კაია, ჰამა პასაპორტი არ გუაქ“ (იმ.)...

„ჩუენი მემლექეთისკენ მივალთ“ (იმ.); „ჩვენ დედეს მემლექეთისკენ უნდოდა წასვლა ჰამა არ დასცალდა“ (იმ.)...

„გენჯები იმ მაჰალისკენ მიდიოდნენ ითამაშონნა“ (იმ.); „არაბით მაჰალისკენ მიდიოდნენ“ (იმ.)...

„არაბით დაილისკენ მიდის დედეი ძროხები მიყავს“ (უსტ.)...

„დობტური ჰასტანესკენ წამოიდა“ (იმ.)...

§ 5. -თან თანდებულისანი ნასესხები სიტყვები

დობტორი – (Doktor - დოქტორ - „ექიმი“, „მკურნალი“, „დოქტორი“):

„ჩუენ წეველთ დობტორთან ბათუმ“ (მერჯ.); „დობტორთან იარა ჰამა“ (მერჯ.); „ახლა დობტორთან, ემიებთან ემე ხდებიან“ (მერჯ.); „ზოგი ახლა დობტრებთან ემე აყრიან“ (მერჯ.); „კულა დობტორთან მისლა-მოსლა არიყო“ (შავშ.); „გული ტკივა, დობტორთან მივდა“ (სვირ.); „წამუელ დობტორთან“ (სვირ.); „ნაზლიჯან წეჟცა და ჩეესო ჩოფი. დობტორთან წეჟყვანეს და გოზლულები მისცეს“ (ზ.)...

„ქოშესთან“ – (köşe - ქოშე - „კუთხე“):

„ისინი იმ ქოშესთან არიან“ (უსტ.); „ქოშესთან აკეთებენ მაგასა“ (ჩაქ.)...
„ქოშე“ - კუთხე, „თან“ თანდებული.

მეზელულთან - (mezarlik - მეზარლიქ - „სასაფლაო“):

„იმ დედეს მეზელოლთან გზა დაკლაკნილი ყოფილა“ (იმ.)...

შდრ. დადე – მდადე (ქალის მაცარი):

„დადესთან მე შემიყვანეს“ (შავშ.); „დადესთან კულანდელი ადეთით ჩამაცვეს ლამაზათ“ (შავშ.); „მდადესთან საჩუქრები მიაქვენ“ (უსტ.); „მდადე მოვა და წეიყვანს“ (უსტ.)...

§ 6. -დან,დამ თანდებულისანი თურქულიდან ნასესხები სიტყვები

თერეფიდამ - (Taraf- თარაფ - „მხარე“):

„ერთ თერეფიდამ შეხვალ, მივერე თერეფიდამ ნეხვსა გადაჰყრი სანახვეში“ (უ.); „დადიები ერთი - ბაკლი თერეფიდან იქნება, ერთი - ბიჭი თერეფიდან“ (სვირ.)...

გურჯისტანიდან – (Gurcistan - გურჯისტან - „საქართველო“):

„მოდიოდენ გურჯისტანიდან, გამოალებიეს ფასაფორთი“ (იფხ.); „გურჯისტანიდან არ არიან“ (ჩაქ.)...

დევლეთიდან – (Devlet - დევლეთ - „სახელმწიფო“, „იმპერია“):

„დევლეთიდან არ არიან ისინი“ (ხევწ.); „დევლეთიდან მოიდენ და აქ არიან“ (ქლას.); „დედის ძმა დევლეთიდან მოიდა“ (უსტ.); „დევლეთიდან მოვიდა და წეიყვანა სოფელში“ (იმ.)...

მემლექეთიდან – (Memleket - მემლექეთ - „ქვეყანა“, „მხარე“, „ოლქი“, „რაიონი“):

„სამ თუეზე ანჯახ მემლექეთიდან აქა ჩუენებურები მოვდენ“ (იმ.); „მემლექეთიდან ერთი შერიფ ბეგი გადმოვდა“ (იმ.); „დას ველი მემლექეთიდან“ (იმ.); „ესა იქიდან გადმოსულია, ჩვენი მემლექეთიდან“ (ხევწ.)...

ჰასთაჰანედან - (hastahane - ჰასთაჰანე - „საავადმყოფო“):

„ექსერი ახლა ჰასთაჰანედან მოყავან“ (ქლას.)...

ხალიდან – (თ. Hâla - ჰალა – „დედის და“ (დეიდა)):

„ახლა სხუაფერ რაფერნა შიმიყვარდეს ხალიდან მცხვენიაო“ (იმ.)...

როგორც ვხედავთ, სამხრულ კილოებში მრავლადაა თურქული სახელური თუ ზმნური ფუძეები სხვადასხვა ქართული მაწარმოებლით გაფორმებული. ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ ნასესხები თურქული ლექსიკა სამხრეთ საქართველოს მკვიდრთათვის აქტიურია და, რაც მთავარია, ქართული სიტყვათწარმოების/ფორმაწარმოების კანონებს დაქვემდებარებული.

§ 7. თურქულიდან ნასესხები სიტყვები – ებ თემის ნიშნით.

ვემოსაფირები - „ვესტუმრები“:

„მე ბათუმში ნათესავებს ვემოსაფირები, ძველად აკმალული იყო“...

„ვემოსაფირები“ - ვესტუმრები“: ნ. გურგენიძეს აჭარულსა და გურულში დადასტურებული აქვს. „დიემოსაფირა“ (ბ. ფ. VII; II); „ვემოსაფირები (რიყეთი) (გურგენიძე 1973:92).

ახორთლადღება - მოჩვენებად გადაიქცევა. სიტყვა მიღებულია თურქული სიტყვიდან. hortlak, რომლისგანაც ნაწარმოებია ზმნა hortlamak.

ეხიზმეთება - „ემსახურება“:

„ხიზმეთ“ ძირი არაბულ-თურქული წარმოშობისაა.

გამოსაღლამდება - „გამოჯამრთელდება“:

„დოხტურთან იყო და აწი გამოსაღლამდება“...

თურქულის ფუძისგან „sağlam“ - „ჯანმრთელი“ ნაწარმოები ზმნაა.

იგივე ფორმა დასტურდება აჭარულშიც. „sağlam“ წარმოქმნილია თურქული ზედსართავი სახელისგან, რაც არამრავალრიცხოვან გამონაკლისს წარმოადგენს (sağ - „ჯანსაღი“, ხოლო la - სახელიდან ზმნური ფუძის მაწარმოებელი აფიქსი (გურგენიძე 1973:93).

„დადინგლება“. „დინლემექ“ – მოსმენა“, „გაგება“, „დასვენება“:

„თქვენ კასეტები არ გაქვან, მე ვუდინგლებ?“, „რადიოში ვუდინგლებდით“ (მ.). ზმნაში „ვ-უ-დინგლ-ებ“. „დინგლ“ ძირი მიღებულია თურქული დინლე-მექ-ისგან (ძველი ფორმა გვექონდა დინგლემექ – „მოსმენა“, „დაჯერება“). ზმნის „დინლე“ – ფუძიდან, რომლის ფუძისეული „ე“ არ ჩანს ქართული „ებ“ თემის ნიშანთან სიახლოვის გამო. უნდა გვექონოდა „ვ-უ-დინგლე-ებ“. ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად მივიღეთ: „ვ-უ-დინგლ-ებ“. შავშურში გვხვდება ასევე ვუდინგლ-ავ.

გაზენგილდება - გამდიდრდება. ზმნის ძირია ზენგილ - (zengil - ზენგილ - მდიდარი):

„იმა ბევრი მალაზა აქ, გაზენგილდება“ (იმ.)...

„დადილიმება“ - „დაჭრა“, დანაწილება“: გამოიყენება ორივე დიალექტში (ლევკიძირი, შუხუთი). „დილიმ“ - ფუძე მომდინარეობს თურქული სიტყვიდან „dilim“ - „ნაჭერი“, „ნატეხი“ (გურგენიძე 1973: 98).

შდრ. „ფენა ფენა... ბევრი გათოვლდება“ (ბაზგ.);

უჯიჯინებს - უბიბებს:

„ვუჯიჯინებ ბევრი, ისამე-მეთქი“ (ინ.); „ბევრი უჯიჯინა“ (იმ.); „ნენემ ბევრი უჯიჯინა და ის გოგო მეიყვანა“ (უსტ.); „უჯიჯინა ეს საქმე გააკეთეო“ (უსტ.)...

უბლეზდება - უბრაზდება:

„თავრობა უბლეზდება და ამაზე?!“ (იმ.)...

უქარდება - უქრება:

„არ მაქ, არ მაქო“ - ძახილში ხელებში **უქარდება** ყუელამფერი“ (ად.)...

„**დახორომება**“ - „სალამოპირ დევწყე თავის **დახორომება**“ (იმ.)...

უჭიჭინებს - მალულად უცქერს:

„ფერდიებიდან **უჭიჭინებს** უჩუმალაი“ (ინ.); „ბევრი **უჭიჭინა**, მაგრამ ვერ დეინახა“ (შავშ.)...

მაღაჯინებს - მეხუმრება, არ მასვენებს:

„**მაღაჯინებს**, მიფითიებს, მარა მაინც არ ვუყვები“ (ჰ.); „**მაღაჯინებს** **მაღაჯინებს** და მერე მიდის“ (სტ.)...

დაბლაცვებული - გამოსულელებული:

„ზის და არი სახლში **დაბლაცვებული**“ (ინ.); „ზის **დაბლაცვებული** და არი“ (იმ.)...

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ -ებ (სხვა თემატური სუფიქსებიც) თემის ნიშანი ისევე ბუნებრივად აწარმოებს ზმნურ ფუძეებს თურქული ძირებიდან, როგორც - ქართულიდან.

§ 8. -ავ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნური ფუძეები

შავშურში იგივე ფორმა გვხვდება –ავ თემის ნიშნითაც:

ვუდინგლავ (შდრ. ვაკეთავ). „მე რადიოს **ვუდინგლავ**“ (იფხ.); „ახლა არ **გვიდინგლავს**“ (შავშ.)...

„**დუუდინგლავ**“ - „სიმღერას **დუუდინგლავ**“ (აშურა); „ჰექიას **დუუდინგლავ**, ყოლაფერ **დუუდინგლავ**“ (აშარა)...

დადინგლავს - დინდგელით ამოავსებს ჭურჭლის კედელზე გაჩენილ ნასვრეტებს: „გაზაფხულზე ანაი **დადინგლავს** კასრებ, გუარდებ გამთბარი დინდგელითა“ (მეზ.)...

დადირეგავს - ბოდს შეუყენებს:

„შეფთალის ტანებ **დადირეგავს** (ად.);

-ავ თემისნიშნიანი ვნებითი გვარის მიმღობა ჩვეულებრივი –ილ სუფიქსით იწარმოება. მაგ:

„**დაფუჭვილი**“: „ის სკა **დაფუჭვილია**, მართუე გეიქცა“ (იმ.)...

„დასმუტვილი“: „დადანამაჟლებული“: „ჟდას ახლა კურხეში დასმუტვილი“ (ინ.);

„დასუნათვილი“ - „ბაღვები დასუნათვილი ყავს?“ (ინ.)...

§ 9. -ებ მრავლობითი ნიშნით ნაწარმოები სახელები

სამხრულ დიალექტებში ფიქსირდება თურქულიდან შემოსული –ებ მრ. რიცხვით ნაწარმოები სახელები. მაგ:

მუსაფირები - (Misafir - მისაფირ - „სტუმარი“):

„მუსაფირები მოვდენ გახედე“ (იმ.); „ჩუენი მემლექეთიდან მუსაფირები მოდიან“ (იმ.); „სტამბულიდან ბევრი მუსაფირები მოვდენ“ (უსტ.); „ბაირამოზაზე მუსაფირები იქნებიან“ (უ.); „გაი ნენეს უთხარი, მოსაფირები არიან, საქმე ქნას-მეთქინ“ (ქართ.); „მუსაფირები მოდიან და იემელებს ვამზადებთ“ (ქლას.)...

ინსნები - (insan - ინსან - „ადამიანები“):

„ინსნებზე ხიზმეთი ვქენი ბევრი“ (ქლას.); „ინსნები რომ მოვლენ მევეხიზმეთებით“ (უსტ.); „ინსნები მოდიან და ამ მაჰალეში თხრიან“ (იმ.)...

„რესმები“ – (resim - რესიმ - სურათი):

„მის ანასი რესმები უნდა“ (მეზ.); „რესმები გამოგვწიე“ (უსტ.); „გურჯისტანიდან, იყვენ რესმები გამოგვწიენ“ (იმ.)...

ხებრები - (haber - ჰაბერ - ამბავი):

„მუუხტენია ყუელათვინ აქავრი ხებრები“ (იმ.); „ხებრები გიგვიგნია და ვერ გვიტყვია“ (ქლას.)...

„ხისიმები“ – (hisim - ჰისიმ - „ნათესავი“):

„ჩემი ხისიმები არიანო, - ნუნუმა“ (ქლას.); „ჩვენი ხისიმები გადმოიდენ და, იმაზე გითხრა“ (ქართ.); „გოგნიავრზე გვყოლია ბევრი ხისიმები“ (იმ.); „ჩუენ ახლო ხისიმები ქყუავსო“ (იმ.); „ხისიმები იქ ბევრი დარჩენილან“ (მეზ.); „აქედან ხისიმები ყავდენ და ჩემი მეზობელი იქედან არი“ (იმ.); „ქვაბის თაუში ამათ ხისიმები ყოლიან“ (იმ.); „ჩემმა შვილმა თიფლის წევდა, უნახია ხისიმების სახლი“ (ქართ.)...

„ხირსიზები“ – (hirsiz - ჰირსიზ - „ქურდი“):

„ხირსიზები მეგემ ერთ მოყრილობაში არიან“ (იმ.); „ხირსიზები დაცემიან, ფარა გონებიან სახლში“ (სტ.)...

„თორუნები“ – (torun - თორუნ - „შვილიშვილი“):

„თორუნები მყავს, ბიჭი გამძულდა. თორუნები მიყვარან“ (ზ.)...

გენჯები – (თ. Gençler - გენჯლერ - ახალგაზრდა, ჭაბუკი, ყმაწვილი):

„ესენი, გენჯები, კაი სისალით დატიონ“ (მეზ.); „დედაბერი თუ მოკდა არ ვიტირავთ, გენჯები თუ მოკდენ დიდი ტირილი გვაქვან მაშინ“ (ბაზგ.); „გენჯები მიდიან კითხულობენ და აღარ მოდიან“ (უ.)...

სამხრულ დიალექტში სიტყვა „genç“ გამჟღერებული ფორმით გვაქვს წარმოდგენილი. ხმოვნით დაწყებული აფიქსების დართვისას „ჩ“ თანხმოვანი გამჟღერდა და იქცა „ჯ“-დ.

ალთუნები - (altın - ალთინ - „ოქრო“):

„ალთუნებიაო და ეძებენ, აქ არიანო, - ამბობენ“ (სვირ.)...

ინსნები – (არაბ. İnsanlar - ინსანლარ – ადამიანი, კაცი, ხალხი, ადამიანები, კაცთა მოდგმა):

„შეყლაპავს გონჯ ინსნებს დუნმას ზარალში შეიყვანს“ (იმ.); „თქვენი ქართველები ზორ კაი ინსნები არიან“; „იქავრ ინსნებ ვებუცე“ (მაჭ.); „ესა აწყენს ინსნებსა“ (მაჭ.); „კაი ინსნები არიან“ (მაჭ.)...

გურჯები - (Gürcü - გურჯუ - „ქართველი“):

„შავშეთელებიც ქართულები არიან, გურჯები“ (იმ.)...

საკვლევ რეგიონის მეტყველებაში გვხვდება თურქული მრავლობითის - **lar// -ler** სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.

არსებითი სახელისგან ნაწარმოები ტოპონიმები:

დოლაბ-ლარ გამოქვ. (ველი), თ. „dolap“ - „კარადა“;

მეიდან-ლარ ს. უბანი, **სათიბი** (სხლობანი, მამანელისი), თ. „meydan“ - „მოედანი“;

თუქან-ლარ ს. უბანი (სხლ.), (თ. **dükkan** - დუქქან - „დუქანი“):

ჩოქექ-ლარ სათიბი, ტყე (მორდ. სოფ.);

ქილისა-ლარ ნაეკლესიარი, სათიბი (დაბაწ. ვ. ველი, ც.)/ (თ kilise - ქილისე - „ეკლესია“):

-lar// -ler სუფიქსით ნაწარმოები რთული ტოპონიმები:

ორთაქოფრუ-ლარ სამოვარი (დაბაწ.), თურქ. orta - „შუა“, köprü - „ხიდი“;

სარიჩოფ-ლარ სათიბი (შავქ.). თ. sarı - „ყვითელი“, çöp - „ნაგავი“;

ერმენნი ჰადილ-ლარ სამოვარი (შავქ.) - „სომხების ფარეხები“. „ჰადილი“ საქონლის ფარეხია, ღობე შემოვლებული აქვს, დაუხურავია (შავშეთი 2011: 328).

ტოპონიმებში დადასტურებულია ისეთი სიტყვები, სადაც ფუძე ქართულია, ხოლო მაწარმოებელი თურქული:

გორა-ლარ სამოვარი (მორღ.) - „გორები“; მინდორ-ლარ სამოვარი (მორღ.) - „მინდვრები“; ნაკაფ-ლარ სათესი (ვ.) - „ნაკაფები“;

საინტერესოა ნაკაფლარ, მინდორლარ, გორალარ და მისთ. ფორმები. მოუბარს ჰგონია თურქულად ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში ამბობს ქართულ სახელებს თურქული აფიქსით. ვფიქრობთ, ორენოვნების პირობებისთვის ჩვეულებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

§ 10. თურქულიდან ნასესხები –ობ სუფიქსით ნაწარმოები ფუძეები

ასკრობა - (asker - ასქერ - „ჯარისკაცი“):

„ძულები არ მახსოვან, ასკრობა ვქენი“ (ქლას.); „ასკრობა მინდოდა ჰამა ვერ წეველ დედეი მოკტა“ (ტრაპ.)...

ბადრამობა – (Bayram - ბაირამ - „დღესასწაული“, „ზეიმი“):

„ყუელაჲ ვედოდით თაზე. ბადრამობას მემთევრებთან ვიქმოდით“ (იმ.); „ბადრამობაზე დაილას მივდივარ“ (უსტ.); „ოთხი სირა ბადრამობაზე, სხვა რამიებზე მოვლენ“ (იმ.)...

ჰიზმეთჯობა - (hizmet - ჰიზმეთ - „მომსახურება“):

„რუსის ჰიზმეთჯობა რაში გამოადგება?“ (ქუაბ.); „ჰიზმეთჯობას ვერ ვიზამ“ (უსტ.); „მამამთილს ჰიზმეთჯობას ვუჯები, ვეხიზმეთები“ (უსტ.); „ჰიზმეთჯობა კაი იციან“ (ტრაპ.)...

ინსნობა – (არაბ. İnsan - ინსან – 1. „ადამიანი“, „კაცი“. 2. „ადამიანური“):

„ინსნობას ასე მუუხტება“ (მეზ.); „კაჲ ინსნობას რა ჯობია“ (იმ.); „ის კაჲ ინსნობას იჯება“ (იმ.); „ზაათი იმფო ინსნობა ქონიან ჩუენ მუელეხსა“ (იმ.); „კაი ინსნობას იჯება“ (იმ.)...

დუგუნობა – (თ. Dügün - დუფუნ - „ქორწილი“, „წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ლხინი“):

„დუგუნ-ობა იყო და არ დეფავლე, ჭო?“ (სვირ.); „დუგუნობა იქნება და ბურსას მივალთ“ (იმ.); „დუგუნობაზე ბევრს ისამებენ“ (უსტ.); „ბევრ ემედებს გააკეთებენ დუგუნობაზე“ (უ.)...

დობტრობა – (Doktor - დოქტორ - „ექიმი“, „მკურნალი“, „დოქტორი“):

„ჩემი ბაღანა დობტრობას იჯება“ (ხევწ.); „დობტრობას ებნევიან ჩემ ღარჭსა“ (იმ.); „დობტრობა ძნელია, ბევრი კითხვა უნდა“ (ტრაპ.); „დობტრობა უნდოდა ღარჭს ჰამ ვერ იქნა“ (ტრაპ.)....

ფეთიმ-ობ-ა - ობლობა:

„ბაღვი გეიზარდა ფეთიმობაში“ (სტ.); „ფეთიმობით გაზდილი ვყავარ ნენეჩემსა“ (ინ.)...

ემექლ-ობ-ა – (თ. Emekli - ემექლი – I. პენსიონერი, სამსახურიდან გადამდგარი):

„ემექლობა გავხდით, ჩვენ ახლა არ ვმუშაობთ“; „ახლა ოღრეთმენი ქი ხარ, ემექლი გახდები, ფარა არაა იქა?“ (მან.)...

„ნიშანლობა“ – (ზ. აჭ.) ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა, ნიშნობა:

„ნიშანლობის ხანგრძლიობა ზოგჯერ სამ წელსაც კი აღწევდა და ქალი ქორწილზე ბავშვით მოდიოდა“ (ნიჟარაძე 1971: 287);

„ხისიმობა“ – (hisim - ჰისიმ - „ნათესავი“):

„ხისიმობა არი ბუსეფერ გონჯი არ გახდეთო“ (უსტ.); „ემიაშვილები არიან, ჰამა ხისიმობა ძალიან იციან“ (იმ.); „გედევდეთ-გადმოვდეთ ერთმანეფში, გავათეზავეფთ ხისიმობას“ (იმ.); „ორასი წელიწადის წინწინდელი ემიაშვილები არიან, ჰამა ხისიმობა ძალიან იციან“ (ტრაპ.)...

შიშმანობა - (şışman - შიშმან - „მსუქანი“):

„შიშმანობა არ მინდა“ (იმ.); „გასუქდა ძალიან, შიშმანობა სულ არ უნდა, ჰამა რა ქნას“ (ტრაპ.); „შიშმანობა არ უნდა ჰამა მაინც სუქდება“ (იმ.)...

თემიზობა - (temiz - თემიზ - „სუფთა“):

„გუშინ თემიზობა ვქენ, ხვალ შუუსვი“ (იმ.); „თემიზობას იჯება ნურჯანაჲ“ (იმ.); „წინ წინ იტყოდენ: სახლ ვასუფთებო, ხალა თემიზობას იტყვიან“ (იმ.); „თემიზობას აკეთებს სახში“ (ტრაპ.)...

მუჰაჯირობა - (muhacir - მუჰაჯირ - ემიგრანტი, გადასახლებული):

ჩამოსაულან 1887-1888 წლებში, დიდი მუჰაჯირობის დროს“ (უსტ.); „დედვი მუჰაჯირობის დროს მოვდა აქ“ (იმ.); „მუჰაჯირობის დროს გადმუელთ აქ“ (უსტ.);

შდრ. -ობა სუფიქსით ნაწარმოები ქართული აბსტრაქტული სახელები.

-ობა სუფიქსით ძირითადად გვხვდება სახელები ვიდრე ზმნები. მაგ:

„დოდოფლობა“ - „პატარძლობა“:

„წინწინ დოდოფლობა ჩათინი იყო“ (იმ.); „ახლანდელი ცხოვრობა ცოტა ისე იქნება“ (ბაზ.); „ქორწილობა არის ბაზგირეთსა“ (იმ.); „ქორწილობა დიდი დუგუნია აქ“ (ზ.)...

§ 11. თურქული ფუძეებისგან -იან სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელები

ინათ-იან-ი - „ჯიუტი“:

„ეშეგივით კაცია ინათიანი“ (იმ.); „ინათიანი ხარია? რატომ გიკვირს?“ (თ.ქ.); „ჰემ ინათიანი ხალხი არიან“ (ინ.);

ზარფ-იან-ი - „დარტყმა“, „ძალა“:

„იმისთანა ზარფიანი მიორე არ იყო ამ კუთხეში“...

ყაბურდიანი - (kabuk - ქაბუქ - ქერქი, კანი):

„ახლა თხუთმეტი ბინია ერთი ქილო. ყაბურდიანი ყიდის“ (ტრაპ.)...

იან მაწარმოებელი მიღებულია ეან-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია იყო მიმდევრობისა და წარმომავლობის აღნიშვნა. მაგ: ქრისტიანი, მაჰმადიანი. ქონა-ყოლას აღნიშნავს: წვერიანი, საქონლიანი, ცოლიანი და ა. შ (შანიძე 1973:122).

§ 12. li სუფიქსით ნაწარმოები სახელები სამხრულ კილოებში

თურქული სიტყვები -li⁴ აფიქსით თურქულ ენაში წარმომავლობას (სადაურობას) აწარმოებს. მას თურქულ ენაში იგივე დატვირთვა აქვს, რაც ქართულში -იან, -ნარ სუფიქსებს. დაერთვის არსებით სახელებს: მაგ:

დეღერ-ლი – (თ. Degerli - დეღერლი - 1. „ძვირფასი“, 2. „ძვირადღირებული“, „ღირსეული“, „ძვირფასი დამსახურებული“, „პატივსაცემი“):

„ახლა გურჯულაჲ ზოორ დეღერლი გახდა“ (ქართ.); „მამ ზორ დეღერლი ქალი მოიყვანა“ (იმ.)...

ნოქტა-ლი - (noktalı - ნოქტალი - „წერტილებიანი“):

„ყირმიზი ნოქტალი ჩითი უღლია ჩარში“ (ინ.); შდრ. „ნოქტალიანი კაბები მიყვარს“ (იმ.); „ჩანთა იყიდა ყირმიზი ნოქტალიანი და არ მეიწონა“ (უსტ.)...

ბურმა-ლი - (burmalı - ბურმალი - „დახვეული“):

„ბურმალი ჭრელი ენგემ მასწავლა“ (ინ.); „ბურმალი ბორეგები გემრიელია“ (უსტ.); „გველი ხეზე ბურმალი იყო“ (იმ.)...

Batum – Batum-lu → ბათუმი - ბათუმელი:

„ის მუსაფირი ბათუმელი იყო?“ (იმ.); „ჩემი დედი ბათუმელი იყო, იქედან მოვიდა“ (უსტ.)...

köy – köylü → სოფელი - სოფლელი:

„იაქური სოფლელი იყო“ (შავშ.);

ნახიშლი - (nakışlı - ნიშანლი - „ნახიშიანი“, „ორნამენტებიანი“):

„ნახიშლი საკაბე იმილო ერთი შენ დედემა“ (თ.); შდრ. „ნახიშიანი სახლებია აქ ბევრი“ (ჩაქ.)...

მერაყ-ლი - (meraklı - მერაქლი - „ცნობისმოყვარე“, „დარდიანი“):

„ეფეი მერაყლი არიან ჩემი ბიჭები“ (ბ.); „მაღაზია გაყიდა და მერაყლი გახდა“ (ქლას.); „მერაყლი ქუჩაში ხეტიალობს“ (იფხ.)...

ნიშან-ლი - (nişanlı - ნიშანლი - „დანიშნული“):

„ერთ წელიწად ვიყავ ნიშანლი“ (მერჯ.); „ნიშანლისთან ერთად რესმები გამეილო“ (იმ.); „ჩუენ ნიშანლი ვართ“ (ბახ.)...

ავრუპა-ლი - (avrupalı - ავრუფალი - „ევროპელი“):

„ისტანბულ ავრუპალი თურქიები ბევრი მოდიან“ (იმ.); „ავრუპალი გასულ წელსაც იყვენ“ (ჩაქ.)...

ამერიკა-ლი - (amerikalı - ამერიქალი - „ამერიკელი“):

„ამერიკალი ასკრები მოსულან ისტანბულ გემით“ (ად.)...

„ჩემი ანაჲ რაცხას გააკეთებდა, ბერექეთლი იყოსო ამბობდა“ (ზ.)...

ჰესაბ-ლი - (hesaplı - ჰესაფლი - „ეკონომიური“ - „hesap“ - „ანგარიში“):

„ჰესაბლი „ჰესაბლი ინსანი გაზენგილდება“; „იმისი ბაბოი ჰესაბია“ (ხევწ.);

„ჩემი მამამთილი ისეთი ჰესაფია ერთ კაპიკ არ მოგცემს“ (იფხ.)...

-li⁴ აფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები.

„ბოია-ლი“ სათიბები (სათ.-რაბ., სინკ., ზენდ.), თ. boya - „საღებავი“ → ბოიალი - საღებავიანი, შეღებილი“;

„სინეგ-ლი“ სათესი (ტბ.), თ. sinek - „ბუზი“ → „სინეგლი - „ბუზიანი“, „მწერიანი“;

ქირაზ-ლი სოფელი (შავშ.), თ. kiraz - „ბალი“:

„ქირაზლი“ ნიშნავს ბალიან ადგილს, ბალვანას - „ბალოვანი“;

ჯევიზ-ლი ტყე (ყვირ.), თ. ceviz - „კაკალი“ → cevizli - „კაკლიანი“, „ნიგეზიანი“:

ისტორიულ სოფელს დღესაც „ჯევიზლი“ ქვია;

ფინარ-ლი სოფელი (შავშ.) pınar - „წყარო“, „წყაროიანი“. (სოფელ სხლობანის სახელი). (შავშეთი 2011: 330, 331).

-lik⁴ (-lik, -lık, -lük, -luk) აფიქსები აბსტრაქტულ, დანიშნულების და ერთნაირ საგანთა თავმოყრის სახელებს აწარმოებს. სამხრულ დიალექტებში გვხვდება ლუქ//ლუდ აფიქსებით ნაწარმოები სახელები, რომელსაც შეცვლილი აქვს ფონეტიკური ფორმა და სამხრულ დიალექტში ფორმაშეცვლილი გვხვდება. -lik⁴ (-lik, -lık, -lük, -luk) აფიქსები ქართულის -იან, -ნარ სუფიქსების ფარდია. მაგ:

აზ-ლუდ-ი - (yazlık - იაზლიქ - „საზაფხულო სახლი“, „აგარაკი“):

„აზლიდიდან გედევრბინე“ (იმ.); „აზლული ჩადგა სოფელში და ზაფხულში ამოდის“ (იმ.);

გოზ-ლუდ-ებ-ი - (gözlükler - გოზლუქლერ - „სათვალები“):

დოხტურთან შეიყვანეს და გოზლულები მისცეს“ (იმ.).göz - „თვალი“. -lük - მაწარმოებელი და ler მრავლობითის ნიშანი.

გელინ-ლუქი - (Gelinlik - გელინლიქ - პატარძლობა, საპატარძლო ტანსაცმელი): lik - მაწარმოებელია, რომელიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს.

„გელინლუქის უკან იდო და მეიტანდნენ“ (აქ.); ჩემი გელინლუქის კაბა მე შევკერე“ (აქ.); „გელინლუქის კაბა ჩეიცვა და დადგა“ (აქ.)...

ბაბა-ლულ-ი - (babalık - ბაბალიქ) - „ბაბალუდი ბაღვებითვინ ჩათინი დარჩა“ (ინ.)...

გვხვდება ლუხ//ლულ (თ. -lik⁴(-lik, -lık, -lük, -luk) აფიქსებით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები. მაგ:

აშლამა-ლუხ სათიბი (ზენდ.), აშლამა - „ნერგი“:

აშლამალულ ნერგიანი ადგილი ანუ სანერგე (შავშეთი: 2011);

ბუზ-ლუხ ტყე (სათ. რაბ.), თ. buz - „ყინული“, buz-luk - „საყინულე“, ტემპერატურაა შენარჩუნებული. მის მიმდებარე ტყესაც ამიტომ ეწოდა ეს სახელი;

ქირაზ-ლულ-ი სათიბი (შავშ.), თ. kiraz - „ბალი“, ქირაზლული ბალიანი ადგილი. შდრ. ქირაზლი;

თუზ-ლუქ სათიბი (შავშ.), თ. tuz - „მარილი“, tuz-luk - „სამარილე“. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით ამ ადგილებში მეცხვარეები ცხვარს მარილს აძლევდნენ და ამიტომაც დაერქვა ეს სახელი.

§ 13. -ურ//ულ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები

თურქული გზით შემოსულ სიტყვებში -ურ გვხვდება სადაურობის გამომხატველ სუფიქსებად:

გურჯული - (თ. Gürcü - გურჯუ) - „ქართული“:

„ზული გურჯული ცოცხლები ხალხმა ჰელბეთ იციან“ (იმ.); „აქაურებმა გურჯული ჯერ კიდევ იციან“ (იმ.); „გურჯული ხალხი თურქჩას საუბრობს“ (უსტ.); „გურჯული ძალიან ადვილია“ (ქარ.); „თურქჩა ადვილად ვისწავლეთ, ჰამა, გურჯული ჩვენი ენა და მიყვარს“ (ქლას.); „გურჯულს ახალგაზდები არ წავლობენ არ უნდანან, აქ ვერსად გამეიყენებ“ (ჩაქ.)...

„მემლეკეთ-ურ-ი“ – (არ. memleket - მემლეკეთ - ქვეყანა):

„მემლეკეთური სიტყვებია ესენი“ (იმ.); „მემლეკეთური სიტყვები გითხრასნა და დეიწერა“ (ინ.); „მეც იქ ჯაჭვი მიყუარს, იქიდამ მოტანილია, მემლეკეთურია, გემი აქ გამოვლილი (უ.); „უხაროდენ, გურჯიჯა გევგონეთ მემლეკეთურიო“ (უ.); „მემლეკეთურები ძალიან მიყუარხართ“ (იმ.); „ნენეა დაჟდებოდენ და ილაპარაკებდენ მემლეკეთურ ამბებ“ (იმ.); „ჰერალდა მემლეკეთური ადეთი იყო, თურქებში არ არი ასე“ (უსტ.); „ნენეჩემი იტყოდა მემლეკეთურ ლექსსა“ (უსტ.)...

შდრ. სამხრულ დიალექტში საკმაოდ ხშირია ურ//ულ სუფიქსებით გაფორმებული სახელები. ურ//ულ სუფიქსი აწარმოებს სადაურობისა და კუთვნილების აღმნიშვნელ სახელებს:

„ზათინ იქ რომ ვიყავ, იქ მაჭახლური ემეა ყავდენ იქა, ამ ჩემ მეზობელ ანაა ემიდან ყავდა მაჭახლური“ (მერჯ.); „ახლა ეს მაჭახლურია, იქ ბევრ რაცხას ემესიჯებიან“ (სვირ.)...

„ბათუმურია ისა, ჯაფერაა“ (ხევწ.); „აქ გადმოდიან ბათუმური ბაღვები“ (იფხ.); „ახალი გელინია, ბათუმური არ არი, ქუთაისური არი (ჩიხ.);

„გელინი ზიოსურია. გურჯიჯა ვერ დუულაპარიკნია“ (მერჯ.); „ჩიქუნეთურია დაილების მხრიდან არის გოლი“ (ზ.); „სოფლელებში ქორწილი სოფლურია ჰამა“ (სვირ.); „მე ხომ თუქშები არ ვარ, მე ბაბგირული ვარ“ (ხევწ.); „არ ვიციო ბაზგირული ვინცხა არიო“ (შავშ.)...

აჭარულში ხშირია -ულ სუფიქსით ნაწარმოები სახელები. შდრ. მითერჯვებული - მისადაგებული, შეფარდებული: „შეხედე უსტავ, მე მგონია, მარცხენა კედრით კარქათ არაა მითერჯვებული“ (ნიჟარაძე 1971: 255).

მიჩეჩებულ-მოჩეჩებული - მიმოყრილი, მიმოფანტული:

„ცოტა მიაკალიბე, ცავ, ამ მიჩეჩებულ-მოჩეჩებულ ოდაში სტუმარი შამეიყვანება?!“

მიფხავსებული - მიხრწნილი, მისუსტებული:

„ი საწყალი ისე მიფხავსებულა, რომ, მე მგონია, ერთ კვირას ველარ გააწევს“ (ნიჟარაძე 1971: 258);

„გამოკვართული“ - „ტანზე მომდგარი“:

„მაღაზაში გამოკვართული შარვლები იყიდება“ (იმ.); „გამოკვართული შალი ჩუუცმია და ყუელამფერი ეტყობა“...

„დაფხავსებული“ - „დაფხავსებული ინსანი ავათ გახდება ჰელბეთ“ (ინ.); „სუფთა ქართულია“ (სვირ.)...

„მოკვატებული“ - „რაიმეზე დამაგრებული“:

„ხიდის ზედა ჭერზე მოკვატებულან“ (ინ.)...

-ურ//ულ სუფიქსი გამოხატავს კუთვნილებას, რომელიც გადმოცემულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. მაგ:

„დაბის ზეიდამ დაბური დაილაა“ (უ.); „სორწიო აგარული დაილაა“ (დიობ.);

„უსტამისურ სოფლებში სიმინდ თესენ“ (უსტ.)...

-ურ//ულ და -ელ სუფიქსების ასეთი დაპირისპირება თავდაპირველი არ უნდა იყოს. სუფიქსების პირველადი ფუნქცია უფრო ზოგადი უნდა (ჩიქობავა 1942: 119; 137).

ზოგჯერ წარმომავლობა გვხდება აფიქსების გარეშე და აფიქსების მაგივრობას ასრულებს -ზე თანდებულიანი, ან უთანდებულო მიცემითი. მაგ:

„მაჭახელზე ცხოვრობდა ჩემი ბაბოა“ (იმ.)...

„ჩვენებურებს შევხდებით ანკარაზე და სტამბულზე“ (იმ.)...

ნ. სურმავას აზრით, მსგავსი ნიმუშები დასტურდება ზემო აჭარულსა და მაჭახლურში (სურმავა 1988:65-69). მოვლენა არც ქვემოაჭარულისთვისაა (კიბე, აჭარისწყალი) უცხო.

აღ. მანჯგალაძე აღნიშნავს, რომ -ურ სუფიქსი X საუკუნის ბოლომდე არ გვხვდება თვისების აღმნიშვნელ სახელთა საწარმოებლად. ამ მიზნით იგი შეიძლება შეგვხვდეს XI საუკუნის ძეგლებში, მაგრამ ისიც ძლიერ იშვიათად. იგი უფრო გამოყენებულია სადაურობის გამოსახატავად (მანჯგალაძე 1953:174; 479).

-ურ//ულ სუფიქსით ნაწარმოებ მნიშვნელობას მოხეურში ადასტურებს ივ. ქავთარაძე (ქავთარაძე 1949: 93).

-ურ სუფიქსი გვარების საწარმოებლად არის გამოყენებული:

„ჩვენა იქა გვყოლია ჩაქვიძე - ჩაქურიძე“;

§ 14. თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლით

სამხრულ კილოებში მრავლად დასტურდება თურქული ლექსიკა თურქული მაწარმოებლით. ფაქტი არაა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ქართულ-თურქულ ენობრივ ურთიერთობებს.

-ci აფიქსებით ნაწარმოები სახელები. -ci⁴ (-ci, -ci, -cü, -cu) აფიქსები გამოიყენება ხმოვანფუძიანი და მჟღერ თანხმოვანფუძიანი სახელებისთვის. მაგ:

ყავდაჯი - (kavgacı - ქავდაჯი - მოჩხუბარი):

„ჩემი დედეი ყავდაჯი ყოფილა“ (მეზ.); „ყავდაჯი იყო ჩემი ღარჭი, მოკტა“ (უსტ.)...

დუა-ჯი - (duacı - დუაჯი - „მლოცველი“):

„ფენა დუაჯი დედეია“ (იმ.); „დუაჯი დედეი მომიკდა“ (უსტ.); „ჩემი დედეი დუაჯი იყო“ (უსტ.);

dua - არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მუსლიმანურ ლოცვას“;

დეღერ-ლი - (değeri-li - დეღერლი - „ძვირფასი“):

„ახლა გურჯულია ზოორ დეღერლი გახდა“ (ქართ.); „ქორწილში დეღერლი ნიშან წულებთ“ (ქართ.);

დუბარა-ჯი - (dubaracı - დუბარაჯი - „ვერაგი“, „გაიძვერა“):

„იმფერი დუბარაჯია მაგი, რომე ილლა მოგატყვილევს“ (თ.ქ.); „ის ღარჭი დუბარაჯია“ (უსტ.)...

dubara - კამათელზე 2 :2 ნარდის თამაშის დროს. გად. ღალატი, ვერაგობა;

დუქქან-ჯი - (dukkancı - დუქქანჯი - „მედუქნე“, „გამყიდველი“):

„ღარჭი დუქქანჯი იყო და დეიხურა“ (იმ.); „თუქანჯია, ძალიან მატყუარა“ (იმ.); „სადენტინაი დუქქანჯი გამხდარა“ (სტ.);

dukkān არაბულიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს „სავაჭრო“, „მალაზია“;

ზურნაჯი - (zurnacı - ზურნაჯი - „მეზურნე“):

„ზურნაჯი დულუნებში ზოგან მოყავან“ (იმ.); „დულუნში ორი ზურნაჯი იყო“ (იმ.); „ხასანაი ზურნაჯის მოსაყვანად წევდა“ (უსტ.);

ნახირ-ჯი - (nahırcı - ნაჰირჯი - „მენახირე“):

„იმ წელიწად ემიაი ნახირჯი იყო თაზე“ (თ.ქ.); „ბაბოი ნახირჯი იყო“ (ხევწ.);
აბან-ჯი – (თ. Yabancı – აბანჯი – „უცხო“, „უცნობი“, „უცხოელი“):

„ე ბუზები ფენა უკბენენ აბანჯ“ (ხევწ.); „მარწყვი მავიწყდება, აქაც არი, აბანია, დარგონა“ (დ.); „ისა დაკვირვებულა, აბანჯი არ იქს-მეთქი“ (შავშ.)...
„აბანჯი სიძე არ გვინდოდა“ (შავშ.);

ვერგი-ჯი – (vergici – ვერგიჯი – „გადასახადის შემკრები“):

„ვერგიჯი მუა და დეფტერს ამოწერს“ (იმ.); „ვერგიჯმა მეიტანა ქვითარი“ (უსტ.); „ვერგიჯი რომ მოვიდა არ იყავი“ (ხევწ.);

მაქინა-ჯი – მკერავი:

„მაქინაჯთან ვიყავ ელბისე შევკერე“ (იმ.); „შავშათში მაქინაჯები არიან“ (უსტ.); „მოიდა და ვსაქმობთ, მაქინა-ჯი ვარ, ყუმაშ ვკერავ“ (სვირ.);

ფურუნჯი – (firinci – ფირინჯი – „მეფურუნე“):

„ფურუნჯის უთქუამს: სამასი წლის ფარა არიო“ (იმ.); „ფურუნჯი ეიყუნა და მუუკდა“ (უსტ.);

შახჯი – (şakacı – შახჯი – „ხუმარა“):

„შახჯი იყო, დაგრეხილი ლაპარაკი იცოდა“ (იმ.); „ჩემი ქმარი ძალიან შახჯი იყო, ორი წელი კდარია“ (იმ.); „დედეი შახჯი კაცი იყო“ (ჩაქ.); „შახჯი იყო აბდულაი და წევდა“ (ხევწ.);

ტათლიჯი – (tatlıcı – თათლიჯი – „ტკბილეულის გამომცხობელი“):

„უსეინი ტათლიჯი არ არი“ (იმ.); „ეს ბორედები ტათლიჯი არ არი“ (ხევწ.)...

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე სათანადო აფიქსის დართვით. თანხმოვანფუძიანთათვის რიგობითის საწარმოებლად გვაქვს - **inci⁴** (**inci, inci, üncü, uncu**), ხოლო ხმოვანფუძიანთათვის - **nci⁴** (**nci, nci, ncü, ncu**). მაგ:

იქინჯი – (ikinci – იქინჯი – „მეორე“):

„ჩემი ღარჭი იქინჯი კლასშია“ (იმ.); „იქინჯი ოდაში წევს“ (უსტ.); „იქინჯი გაფხეკა დოუგვიანდა სიმინდსა“ (იმ.); „იქინჯი ეტყვიან მიორეს“ (უსტ.); „იმას ერთ უსტამან გადაარჩევს – ბრინჯი, იქინჯი, დორდინჯი, უჩუნჯუ“ (ტარპ.)...

ca, ce, ça, çe აფიქსი აწარმოებს 1. ენას აწარმოებს - Türk – türkçe – თურქი - თურქული, Gürcü – gürcüce – ქართველი – ქართული ენა. 2. ვითარება – გარემოების აღმნიშვნელ სახელებს. მაგ: Güzel – güzelce – ლამაზი - ლამაზად, Geniş – genişçe – ფართო. 3. ოდნობითი ხარისხის ზედსართავ სახელებს. მაგ: Beyaz – beyazca – თეთრი – მოთეთრო, Kara – karaca – შავი – მოშავო.

გურჯუ-ჯე – (თ. Gürcüce - გურჯუჯე - „ქართული ენა“, „ქართულად“):

„თემიზათ ლაპარიკობენ გურჯიჯას იმერხეველები“ (ხობ.); „შავშეთელებსა გურჯიჯა ბევრსა აღარ ახსოვან“ (იმ.); „გურჯიჯაჲ ჰიჩ არ გვიმღერია, ჩვენზე დიდვანებს უმღერია“; „ახლა გურჯულაჲ ძალვან დეღერლი გახდა“; „იქვერი გურჯიჯა არ იციან აქ“ (იფხ.); „გურჯები არიან, გურჯიჯას ლაპარიკობენ“ (შავშ.); „ფოცხოვლებ ძუელებ ცოდნიან გურჯიჯა“ (უსტ.); „ამანა გურჯიჯა ბვერი არ იცის, ვერ იგნავს ყუელამფერსა“ (უსტ.)...

თურქ-ჩა – (Türkçe - თურქჩე - „თურქული ენა“, „თურქულად“):

„შავშეთელები არ მიყუარან, ენა დაკარქეს, თურქჩა ლაპარიკი აქუან მარტო“ (იმ.); „ბაღნებმა კაჲ იყვონო, სულ თურქჩას ვილაპარაკებდით“ (ქართ.); „ჰემ თურქჩა, ჰემ გურჯუჯა ვლაპარაკობ“ (გვერ.); „სახში სულ თურქჩას ვლაპარაკობთ“ (ხევწ.); „ოქულებში თურქჩა ისწავლება“ (უსტ.)...

ჟაფონ-ჯა - (japonca - ჟაპონჯა - „იაპონური ენა“):

„ჟაპონჯა ვიცოდი პაწაი და დეველაპარიკე“ (ინ.); „ჟაპონჯა ღარჰმა იცის“ (იმ.); „ჟაპონჯა ძალია ზნელია“ (ხევწ.)...

ლათინჯა - ლათინური:

„ლათინჯა უწავლებია“ (უსტ.); „ლათინჯა ვიცოდი ეხლა ვერ ვიხსენებ“ (ხობ.); „ლათინჯა ადვილია“ (ჩაქ.)...

ინგლიზჯა - (inglizce – ინგლიზჯე) - „ინგლისური“:

„ჩვენთან ოქულებში ინგლიზჯა ისწავლება“ (იმ.); „ბაკალამ ინგლიზჯა კარქა იცის“ (იმ.); „ინგლიზჯას ოქულებში იკითხავენ“ (უსტ.); „ჩემი ღარჰი ინგლიზჯას იკითხავს ოქულში“ (ხევწ.)...

-ჩა სუფიქსი დაერთვის საზოგადო არს. სახელებსაც.

ტაბან-ჩა - (tabanca - თაბანჩა) - „პისტოლეტი“:

„ტაბანჩა წელზე ქონდა გამოკიდული“ (ინ.); „ტაბანჩა ისროლა და მოკდა“ (ხობ.); „ტაბანჩა ოდაში აქ ჩამოკიდებული“ (უსტ.); „დოლაბში ტაბანჩა იდო და ღარჰმა ეილო“ (წეთ.); „ტაბანჩების მაღაზა მაქ“ (ხევწ.)...

სამხრულ დიალექტებში გვხვდება თანაობის აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელი აფიქსებით გაფორმებული არსებითი სახელები. თანაობის აღმნიშვნელი აფიქსებია მჟღერი თანხმოვნებისათვის **daş, deş**, ყრუ თანხმოვნებისათვის **taş, teş**. მაგ: **Vatan – vatandaş – მამული თანამემამულე, Meslek – meslektaş – პროფესია - კოლეგა, Yol – yoldaş – გზა - თანამგზავრი, Din – dindaş – რწმენა – ერთმორწმუნე.**

არხა-თაში-ი – (თ. Arkadaş - არქადაშ) - „მეგობარი,“ „ახლობელი“, „ამხანაგი“:

„არხატაშებმა ისე რაცხა უთხრეს მე რა ვიცი“ (ბუჯ.); „არხატაში სა წეიყუანე“ (ხობ.); „ხობლევიდან არხატაშები მოვლიან“ (ჩაქ.); „არხატაში გუშინ მოიდა და დაილაში წევდა“ (ჩაქ.); „ისტამბულ ბევრი არხატაშები მყავს“ (ჩაქ.); „ჩვენი არხატაშები აქ მოდიან იაილებზე“ (ჩაქ.)...

სიტყვა „Arkadaş“ ორი ნაწილისაგან შედგება: „Arka“ - ზურგი და „Taş“ - იგივეა რაც „Daş“ شت და ნიშნავს თანამონაწილეს, სიტყვა-სიტყვით თანამეზურგეს.

ოლ-დაშ - (yoldaş – ოლდაშ) - „თანამგზავრი“ - „yol“ - „გზა“:

„ღმერთმა კაი ოლდაში მოქვცეს იმ დუნდას“ (თ.ქ.); „ოლდაშები სად არიან“ (უსტ.)...

როგორც ვხედავთ, სამხრულ მეტყველებას თურქული ენიდან შეუთვისებია სულ რამდენიმე სიტყვასაწარმოებელი აფიქსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელები ექვემდებარება ქართული ენის კანონებს.

თავი IV. თურქული ლექსიკა სამხრულ კილოებში

სამხრულ კილოებში გამოვლენილი თურქიზმები საინტერესოა როგორც დიალექტოლოგიის, ისე ქართველურ ენათა ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით. ქვემოთ შევხებით სამხრულ მეტყველებაში უფრო ხშირად ხმარებულ ლექსიკას:

1.1. აბლა – (თ. Ablā - აბლა - „უფროსი და“, ასაკით ცოტათი უფროსი ქალისადმი ზრდილობიანი მიმართვა):

„ემინე აბლა, ჩამოდ, შენ რაცხაები იცი“ (დ.¹). „ემინე აბლა, შამოდ, შამოდ!“ (დ.)

1.2. ადეთი – (არ. Ādet - ადეთ - „ჩვევა“, „ჩვეულება“, „ადათი“, „ადათ-წესი“):

„ხუთშაბათ არ დეიწყებენ მოხსნას; ამ ადეთსა ყანუხი ქვია“ (უსტ.); „ფულის მოცემა ადეთი არ არის“ (მეზ.); „მალანჩი ბეშლი მოგვიტანეს. ესენი მემრე ევილე, არ არი იქა ადეთი“ (ზაქ.); „წინ-წინ გოგოს არვინ არ კითხევდა, მედწონებდა არ მედწონებდა. ის ადეთი უმფო კამ იყო, ახლა არ გვიდინგლავს“ (შავშ.); „გელინის ლაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა მე ბევრი საბრი არ მიქნია“ (შავშ.)...

1.3. ადრესი - (adres - ადრეს „მისამართი“):

„ბურსას ვიყავი, მაგრამ ადრესი არ მქონდა“ (იმ.); „თქვენი ადრესი დამჩა“ (იმ.); „ადრესი მივეცი, მაგრამ ვერ მივდენ“ (იმ.); „მოვსულიყავით'ნა, ადრესი არ მქონდა“ (უსტ.)...

1.4. ალთუნი – (Altın - ალთინ - „ოქრო“, „ოქროს მონეტა“):

„აქ ალთუნი ძებნეს ამა? აქ ალთუნი არ იქნება? (უ.); „ოც წელიწადზე ვძებნე ალთუნი, მაქინა მქონდა“ (უსტ.); „ბეჭედი ალთუნი იყო“ (შავშ.); „დოდოფალ მივცემდით ფული, ჩასაცმელი, ალთუნი, მაზმა“ (შავშ.). „ალთუნებიაო და ეძებენ, აქ არიანო ამბობენ“ (სვირ.); „ახლა ალთუნი'და ამეილო? (უსტ.). „ალთუნი აბა არ მექნებია? ჰამა, მალავთ მალავთ“ (იფხ.)...

1.5. ანა – (თ. Anne - ანნე – „დედა“):

„ანა ბაბოდ ყავდა, დედხოცნენ“ (ზაზგ.); „ჩემი ანა და მისი ანა დები არიან“ (ზ.); ისე ვერაფერ ვერ დამახსენებს შენი ანა ასე ისეო“ (ხევწ.); „ანა მაჭახ-

¹ ნაშრომში მოხსენიებული სოფლების ამჟამინდელი თურქული სახელებია: ბაზგირეთი – Maden, დაბა – Demirci, ზაქიეთი – Yağlı, ზიოსი – Tepebaşı, ივეთი – Mısırlı, იფხრეგლი – Taşköprü, სვირეგანი – Dutlu, უბე – Oba, უსტამისი – Eskikale, ჩაქველთა – Şenocak, ჩიხვთა – Akdamla, წუთილეტი – Erikli, ხევწრული – Galayan.

ლურია, ჩვენი ძალიც მაჭახლურია” (ზაქ.). „ჩემი ანა და მისი ანა დები არიან” (ზაქ.); „ამის ანა თეფე ქოიდან არი” (ჩაქ.)...

თანამედროვე „Anne”-ს ძველი ფორმაა „Ana” და ნიშნავს „დედა”-ს;

1.6. ანჯახ – (Ancak - ანჯაქ - „მხოლოდ”, „ძლივს”, „სრულიად მარტო”, მარტოდმარტო”):

„თურქის იდარეთი იყო და ანჯახ ელლი ემეები”; „ქართველებს უქუმეთი არ ქონდენ. ანჯახ ერთმანეთში ემე ვიყავით, არევი და ვიცოდით, ქართველი, ანი!”...

1.7. ასკერი – (asker - ასქერ - „ჯარისკაცი”):

„ჩემი ღარჭი ასკერია“ (იმ.); „უკან გამეიქცა ხოჯამა. ასკრებმა თოფი მუღღირეს, გაჩერდა“ (მაჩ.); „წევდა ჩემი კაცი ესკერში, დავჩი მარტო“ (უსტ.)...

1.8. არაბა – (Araba - არაბა – 1. „მანქანა”, „ურემი”, „საზიდარი”, „ეტლი”; 2. ავტომანქანა. 3. ვაგონი. 4. ხეიბრის, ბავშვის ეტლი):

შავშურში იგი ავტომანქანისა და ურმის მნიშვნელობით დადასტურდა:

„მე ქი ვერ ამოვალ ზემოთ, თქვენ არაბადთ წახვალთ” (ბაზგ.); იშტე არაბა იქ დგება, იქა” (ზაქ.); მეიყრებიან ბევრი მილეთი, იშელიგებენ და ისევ წავლენ არაბადთ (დ.); რა იჯები? შენი არაბა ვერ გიცნია: ჩემ დეგანმა’ნა წიგიყვანონ არაბით’ნა” (უ.)...

1.9. არხათაში – (თ. Arkadaş - არქადაშ - „მეგობარი”, „ახლობელი”, „ამხანაგი”):

„ერთ ღამეს ოვაში ჩამუელით, ქურთებთან დავდექით, მოძმე არხატაშები ქეყუავდა“ (იმ.); „ეს არ წამევიდა ართვინ. არხატაშები ყავს აქ” (ხევწ.); „ერთი ქალი მოიდა, ლაზი იყო, დევინახე, ეს ჩვენი ვინცხა არი მეთქი. არხატაშები არიან, შემეშინა, რაცხა’ნა დაგმართონ’ნა” (ჩაქ.)...

სიტყვა „Arkadaş” ორი ნაწილისაგან შედგება: „Arka” - ზურგი და „Taş” - იგივეა რაც „Daş” تاش და ნიშნავს თანამონაწილეს, სიტყვა-სიტყვით თანამეზურგეს (ლექსიკონი 2001.:69-70; Kâmüsi 1989.:1039; 119).

1.10. ახრაბა – (თ. Akraba - აქრაბა - „ნათესავი”):

„ბათუმიდან მოიდა იმისი ახრაბა“ (იფხ.); „ჩხუტუნეთ ქყუავს ახრაბები – ჯაფერ, მენსხურ დელიასანოლლები“ (ბაზგ.); „მოკდენიხან უთქუამს ქი ნენესა, გეიხსნება კარები, ჩემი ახრაბა არ დაკარქოთო“ (ბაზგ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით, ახრაბა - **Akraba** - اكرابا ძველ თურქულში იკითხება „აყრაბა“, ხოლო თანამედროვეში გადმოსულია როგორც „აქრაბა“ და ნიშნავს „ნათესავს“ (ლექსიკონი 2001.:42; Kâmüsî 1989.:23).

1.11. ბალდუზი – (**Baldız** - ბალდიზ – ცოლის და):

„ბალდუზებიც მოვლენ აქა დიმინახონ’და“ (უსტ.); „ხუთი ბალდუზი მყავდა და ყველა გავათხუე“ (იმ.);

1.12. ბარდალი – (**Bardak** - ბარდაქ - „ჭიქა“, „დოქი“, „ჭურჭელი“ (შეიძლება სპილენძისაც იყოს):

„თითო ბარდალი ჩაი სვით“ (ჩაქ.). „სა’ნა დაჟდეთ? თითო ბარდალი სვით“ (ჩაქ.). ბარდალი – Bardak - Bardak - ارداق – იკითხება როგორც „ბარდაყი“.

სიტყვა ბარდალი გვხვდება აჭარულსა და გურულ დიალექტებში: „კაჲ ბარდახი იყო მაღაზიაში, არ ეილე ცავ?“ (დ.); „დენინახეს ერთი მაღაზონი, რომელსაც ხელში ეჭირა ბარდახი (ჭ. ხალხ. სიტყვ., II, 27). როგორც აჭარულსა და გურულში, ასევე ლაზურშიც ერთი და იგივე მნიშვნელობით არის დამკვიდრებული (იხ. მარი, გრამ. 129).

1.13. ბაირამი – (**Bayram** - ბაირამ - „დღესასწაული“, „ზეიმი“):

„ოთხი სირა ბაირამებზე, სხვა რამიებზე მოვლენ“ (იმ.); „რემეზან ბაირამზე ჰელვას დავწავთ“ (იმ.); „ყურბან ბაირამზე ჩომას დავკლავთ“ (იმ.); „რემეზან ბაირამი ვიცით, რემეზანს დევჭირავთ“ (იმ.)...

1.14. ბაირალი - (**bayrak** - ბაირაქ - „დროშა“):

„ჩვენ გვინდა, რომე საქართველო მისთათვინაი იყოს, მისთვინ ბაირალი ქონდოს“ (უსტ.); „სახლი გათავდება ბაირალი დავკიდავო“ (იმ.); „აქაური ბაირალები ალისფერია“ (უსტ.); „ბაირალი სახზე მქონდა გაკეთებისხან“ (უსტ.)...

1.15. ბაშქანი - (**başkan** - ბაშქან - „თავმჯდომარე“, „ხალმძღვანელი“, „პრეზიდენტი“):

„ათი წელწადია ანკარას ბაშქანი გახდა ჩვენი კაცი“ (იფხ.); „წყალი, ორი წელიწადია, მოგვიყვანა ბაშქანმა, ჩვენ წყალი არ გვექონდა“ (ნიოლ.)...

1.16. ბაშლული - (başlık - ბაშლიქ - „თავსახურავი“, „გამოსასყიდი“):

„თავზე თეთრი ბაშლული ეხურა დედესა“ (ინ.); აჭარულ დიალექტში ფიქსირდება სიტყვა ბაშლული სადაც განმარტებულია „ქალის დანიშვნის დროს აღებული ქრთამი“ (ნოლაიდელი 1936:43).

1.17. ბაჯანალი - (bacanak - ბაჯანაქ - „ქვისლი“):

„მე გევიპარე, ჩვენ ორთავ ბაჯანალი ვართ“ (აშ.); „ჩვენ ადნი ბაჯანალი ვართ, ამან მეიპარა“ (აშ.)...

1.18. ბერეკეთი - (bereket - ბერეკეთ - „ხვავი“, „ბარაქა“):

„ბისმილა, ბისმილა“ ვიტყვი ყველაფერში ბისმილადა თქვა, ბერეკეთი ყოფილა, ჩვენი ნენე ისე გვეტყოდა“ (უ.)...

1.19. ბიბერი - (Biber - ბიბერ - „წიწაკა“, „პილპილი“):

„ერთი თანე მარილიც ჩუურევთ, ბიბერი, ნიორ ემეში ჩუურევ, ჯამში“ (ჩაქ.); „გვაქ ყარა ბიბერი, ყირმიზ ბიბერი“ (ჩაქ.)...

1.20. ბითუმ (ბითევი - (Bütün - ბუთუნ) - „ყველა“, „ყოველთვის“, „მუდამ“, „ყველაფერი“):

„დედასავით ბითუმ კაი'ნა იყოს“ (იფხ.); „ბითევი ბათუმლები ხართ“ (ბაზგ.); „აქევრი ბითევი იქ არიან“ (ბაზგ.); „იმან ბითევი იცის. აქ ბითევი ქართულია“ (ზ.)...

1.21. ბილეზული - (bilezik - ბილეზიქ) - „სამაჯური“:

„ბევრი რაცხა უნდანან: ორი ბილეზული'ნა იყოს“ (იფხ.)...

1.22. ბორეგი - (börek - ბორექ - „ნამცხვარი“, „კექსი“):

„ესა შოთის ბორეგია“ (ქლას.); „ხმელი ბორეგიც ვიცით“ (იმ.); „მაწონი და ბორეგი კაია ერთათ“ (იმ.)...

1.23. ბუზდოლაბი - (buzdolap - ბუზდოლაფ - „მაცივარი“):

„მაშინ ბუზდოლაბი არ იყო“ (უ.); „ბუზდოლაბიც ვიყიდეთ“ (იმ.)...

1.24. გელინი - (თ. Gelin - გელინ „რძალი“, „პატარძალი“, „ახალდაქორწინებული“):

„ერთი ბიჭი დავასახლე, ორ წელიწადში მუუკდა ქალი, შვიდი, რვა წელიწადია, ერთი გელინი მყავს” (ხევწ.); „არ ვიცი, გელინი საიდან’და მეყვანოთ, გურჯი დაჰა კად იქნება, არ იქნება... (შავშ.); „ზალო გელინაო, მოი, ერთად ვჰამოთ საჰმელიო“ (იმ.)...

1.25. გელინლუქი – (Gelinlik - გელინლიქ – ჰატარძლობა, საჰატარძლო):

lik – მაწარმოებელია, რომელიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს. „გელინლუქის უკან იდო და მეიტანდნენ” (ა.); ჩემი გელინლუქის კაბა მე შევკერე” (ა.)...

1.26. გენჯი – (თ. Gençler - ახალგაზრდა, ჰაბუკი, ყმაწვილი):

„ჰალა ბეგუმ მეწვის ჩემი ძალი, გენჯი მოკდა“ (მეზ.); „დედაბერი თუ მოკდა, არ ვიტირავთ, გენჯები თუ მოკდენ, დიდი ტირილი გვაქვან მაშინ”...

1.27. გოზლული - (gözlük - გოზლუქ - „სათვალე“):

„დოხტურთან წეიყვანეს და გოზლულები მისცეს“ (ზაქ.)...

1.28. გურჯი – (თ. Gürcü - გურჯუ - „ქართველი“):

„ჩვენ კად გურჯი არა ვართ, ბლაცვი გურჯები ვართ” (უ.); „იზმითი ისტამბულ ახლოა. იქ ჩვენი გურჯები ბევრი არიან” (უ.); „გურჯები არიან, ჰამა იქვერი ლაჰარაკი და ჩვენებური ლაჰარაკი ერთი არაა” (უ.); „აქავრელები გურჯი ვართ, არ ვიცი ქი, რაი გითხრა?” (უ.)...

1.29. გურჯისტანი – (Gurcistan - გურჯისტან - „საქართველო“):

„გურჯისტანი იქოვრობა ლამაზი ყოფილა” (ზაზგ.); „გამოგწიოს, წედლოს’ნა გურჯისტანში, ბათუმში” (ზაზგ.); „ერთი ბიჭი დავაქორწილო’და, გურჯისტან არი” (ზ.); „მოდიოდენ გურჯისტანიდან, გამოალებიეს ფაშაფორთი” (იფხ.); „მოსულები არ ვართ, გურჯისტანში არიან ჩვენი ხისიმები” (იფხ.)...

1.30. გურჯიჯა//გურჯიჯე – (თ. Gürcüce - გურჯუჯე - „ქართული ენა”, „ქართულად“):

„ბათუმიდან მოსულა და გურჯიჯა სიმღერები იცი ხალა” (უბე); „გურჯიჯა ჩაის რა ქვია” (ივ.); „ბაღვები იქვერულია, გურჯიჯა არ ილაჰარაკებენ” (იფხრ.); „წეთილეთ აღარ ლაჰარაკობენ გურჯიჯა, დიდრვანები ლაჰარაკობენ, წურილები – არა” (იფხ.); „ჩვენი ბევრი გადაბრუნებულა.

გურჯიჯა აღარ დარჩა” (ბაზგ.); „ზველადაც არ იცოდენ შავშეთში **გურჯიჯა**” (ბაზგ.); „ჩვენც ჰუქუმეთში მოვალთ, **გურჯიჯა** ხომ არ ვლაპარიკოფთ” (ჩაქ.); „აქოვრობაში ჩვენებურად **გურჯიჯა** ვლაპარიკოფთ” (ჩაქ.)...

1.31. გურჯუ - Gürcü - „ქართველი“:

„ჩვენ კად **გურჯი** არა ვართ, ბლაცვი **გურჯები** ვართ” (უ.); „იზმითი ისტამბულ ახლოა. იქ ჩვენი **გურჯები** ბევრი არიან” (უ.); „**გურჯები** იმერხევ უძახიან, ებნევიან. შერთული ზემოთ „**გურჯები** გვებნევიან” (უ.); „ესენი **გურჯები** არიან მივხთი” (სვირ.); „**გურჯები** არიან, ჰამა იქვერი ლაპარაკი და ჩვენებური ლაპარაკი ერთი არაა” (უსტ.); „აქავრელები **გურჯი** ვართ, არ ვიცი ქი რაი გითხრა?” (უსტ.); „ამა კიბეს ვეძახით ჩვენ **გურჯები**” (იფხ.); „აქავრობაში უწინ ზათი სულ **გურჯი** ყოფილა” (ზაქ.)...

1.32. დადინგლება – (Dinlemek -დინლემექ - „მოსმენა“, „ყურის გდება“, „გაგონება“, „დასვენება“):

„ხუთ დღეში აქ დუგუნი იქნება, მაშინ'ნა **დუუდინგლო**” (ბაზგ.); „სიმღერის ვახტი მაქ? **დიმიდინგლე!**” (ხეფწ.); „თქვენ კასეტები არ გაქვან, მე **ვუდინგლო?**” (უ.); „**მომიდინგლეთ** მეთქი... ჰაიქუმ არ უთქომია“ (იმ.)...

დაფიშმანებულა - (pişman - „სინანული“):

„ბოლოს დაფიშმანებულა, ჩავალ ქალაქში, იმითაც დავანახვეფ ჩემ ევლიობასაო“ (იმ.);

1.33. დაჰა - (daha - დაჰა - „იფრო“, „კიდე“, „ჯერ კიდე“):

„**დაჰა** ძუელი არ გახსოვან ჩემი სოფადი“ (უსტ.); „შენი ლაპარაკი **დაჰა** ლამაზია“ (მაჩ.); „შენ გენჯი ხარ, მე **დაჰა** ხნიანი ვარ თქვენზე“ (ზაქ.); „ჩაის ერთათ ყართოფი, ფენა გერმელია, ჩემი **დაჰა** კად არი“ (უკ. მეჰ.); „ახლანდელი ზამანი **დაჰა** კაია, ქორქორინდე წებველ, არ არი კაი“ (ქლას.)...

1.34. დედე – (თ. Dede - დედე – 1. „ბაბუა“, „პაპა“. 2. წინაპარი):

„ჩუენი დიდი **დედეები** სამი ძმა ყოფილან“ (უსტ.); „ჩემ **დედესაც** ჩემნაირი თვალეხი ქონდა, ესა აქვერულია“ (ივ.); „ჩემი **დედეი** ბათუმ წასულია, იქ უსაქმია, ფარა მუუგია, აქ მოსულა ისვენ და მიწა უყიდია“ (უსტ.); „ჩემ ბაბოს **დედე** აქ ყოფილა“ (უსტ.); „ღარჭობაში ერთი **დედე** იყო, მოვდოდა, იკითხევდა წევდოდა“

(ბაზგ.). „ჩემი **დედე** აღარ მყავს, ერთი წელიწადი გახდა” (ზ.); „მე რომ წაველ, **დედე** შავშეთ მივდოდა” (ხევწ.); „ჩემი **დედე** ბათუმ გადასულა, ფენა ადგილიაო, იტყოდა” (ხევწ.)...

1.35. დევლეთი – (Devlet - დევლეთ - „სახელმწიფო”, „იმპერია”):

„მე წასული ვარ **დევლეთიდან** (იგულისხმება სახელმწიფო სამსახური – ვ. ჩ.) ერთი შვილი მყავდა მოკდა, ბერი არი სახში” (ბაზგ.)...

1.36. დელუგი - (delik - დელიქ - „ნახვრეტი”, „ჭიჭრიტანა”, „სანათური”):

„ნიჩბით მიაწვები, გაცურდება **დელუგში**“ (ნიოლ.); „**დელუგში** ჩავარდა და დეიხრო“ (ჩაქ.)...

1.37. დენიზი – (Deniz - დენიზ - „ზღვა”, „ღელვა”, „შტორმი”):

„გეიხადეს ურუბები-მურუბები, თვითონ შევდენ **დენიზში**, წყალში ცურვენ, იციან”(იმ.); „**დენიზი** ქენერაში შეშა ჰანა ვნახო, დეიფიშმანა და ხორციან კარდალასა შუუგზნა იმათი ურუბები”(შავშ.); „გამოვდენ **დენიზიდან** ისენიც, ცხელა, ურუბას არ იკითხვენ, ბზეს ეცხუნებიან, შრებიან”(შავშ.); „სარფში **დენიზი** ქენარში ჩამოსული ვარ მე, მაშინ გახსნილი არ იყო, ახლა გახსნილია” (ზაქ.); „ხოჯასთვის უთხრობიან ქი, წევდეთ, **დენიზი** ქენერში და ზიაფეთი ვქნათო” (ზაქ.)...

1.38. დინი - რწმენა:

„სომხებმა და ბერძნებმა **დინი** არ დაკარქეს, მათ **დინზე** არიან და სკოლაც იმათვინ არ არი დასალი“ (იმ.); „გურჯსა **დინი** გამოცდილი აქ, დაკარქული აქ ძული **დინი** და მუსლიმანია გამხდარი“ (იმ.)...

1.39. დეყე – არ. „دقيقة” (Dakika - დაქიქა – „წუთი”, „დროის უმცირესი მონაკვეთი”):

„ხასან ემოი მუა და გუუხედე ერთ **დეყე**“ (იმ.); „ზემოთ არაბად ოც **დეყეზე** ავა” (ბაზგ.); „ერთი **დეყე** გამასვენე!” (იფხ.); „ბახჩაც მაქ, ერთ **დეყეზე** ვერ დავდგები“ (აშ.)...

1.40. დოლაბი - (dolap - დოლაფ) - „კარადა”:

„ამ **დოლაბში**’ნა დავდვა“ (იმ.); „**დოლაბში** ბევრი ურუბებია“ (უსტ.)...

აჭარულსა და გურულ დიალექტებში სიტყვა დოლაბი - (dolap) ნიშნავს „კარადა“, „ბორბალი“. ძირითადად კარადის მნიშვნელობით გვხვდება კონტექსტებში:

„**დოლაბში** მქონდა ყურუთი და პური“ (ზ. შქერ.); „ქელოდლანმა დეიმალა ბუხართან დოლაბში, დოლაბის კარი დანის წვერით გამოხრიტა და უყურებდა იქიდან“ (ზ. ფ. IV₂ 204).

ბორბლის მნიშვნელობით გვხვდება დანისპარაულსა და რიყეთში:

„ჩვენ დოლაბზე ვქსოვთ“ (დან.); „აი დოლაბი გამოდგება, მეტად ამაზე დავახოვ“ (რიყ.) (გურგენიძე 1973: 27).

შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ დოლაბი - სპარსული პოლისემანტური სიტყვაა და ნიშნავს 1. „კარადა“, „ბუფეტი“, 2. ჰიდრავლიკური ბორბალი; 3. გად. სპეკულაცია. (შ. ნიჟარაძე 1975: 184).

1.41. დოლმა - „ტოლმა“:

„აალანჩი **დოლმაც** ვიცით, უხორცო იქნება ესა“ (მეზ.); „**დოლმას** ლახანათი გავაკეთავთ“ (ჩაქ.)...

1.42. **დოხტორი** – (Doktor - დოქტორ - „ექიმი“, „მკურნალი“, „დოქტორი“ (სამეცნიერო ხარისხი):

„შარშან თველზე ჩაველი, შეველი **დოხტორთან**, შეველ, მითხრა ქი, მაშალა, მაშალა“ (ხევწ.). „თოვლი მოდის გზები ყაფანდება, ვერ წახვალ **დოხტორთან**“ (ივ.). „ასე ავად გახდები, **დოხტრები** არიან? თქვენებურები არიან“ (ხევწ.). „ერთი გოგო **დოხტორია** ართვინ“ (ზ.); „ასე ავად გახდები, **დოხტრები** არიან? თქვენებურები არიან“ (ხევწ.); „ჩემ მეზობელმა იკითხა იქავრი და ვერ გახდა **დოხტორი**, ბათუმში იკითხა და აქ ვერ მუუგია“ (ხევწ.)...

1.43. დუა – (Dua - დუა - „ლოცვა“):

„გათავდა **დუა** კარგობით“ (ხევწ.). „დალოცვა გურჯიჯა არაა, თურქია არი ღმერთის **დუა** თავზე იყვეს“ (უ.); „ძალმა იცის **დუა** ჰამა“ (უ.); „ამან **დუები** კად იცის“ (სვირ.); „ღმერთის დუა თავზე იყვეს“ (უ.); „**დუა** დაწერე, წყევლა რა'ნა ქნა?!" (ხევწ.); „გათავდა **დუა** კარგობით“ (ხევწ.); „დალოცვა გურჯიჯა

არაა, თურქია არი ღმერთის **დუა** თავზე იყვეს” (უ.); „ძალმა იცის **დუა** ჰამა” (უ.); „ამან **დუები** კად იცის” (სვირ.)...

შდრ. „დუაზე გამოდით, ესე იგი ვებვეწოთ წვიმის მოყვანისთვისო“ (ნიჟარაძე 1971: 184).

1.44. დუგუნი – (თ. Dügün - დუგუნ - „ქორწილი”, „წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ლხინი“):

„მე **დუგუნი** ვქენი, ენ ცოტა ლაზური მოსულიყვენ, ენ ბევრი ქურთები” (უ.); „**დუგუნობა** იყო და არ დეღწავლე ჭო?” (სვირ.); „გუშინ **დუგუნში** ახველით ბამგირეთ? ჩვენში კაი **დუგუნი** იციან” (უსტ.); „ამეზღამ აქ **დუგუნია**, ქომო ჩამოვლიხან დაგანახვებ ადგილ” (უსტ.); „**დუგუნში** მღერობენ გენჯები” (ბაზგ.); „ხუთ დღეში აქ **დუგუნი** იქნება, მაშინ’ნა დუდინგლო” (ბაზგ.); „**დუგუნია** იქ იყავ და უდინგლე” (ბაზგ.)...

1.45. დუდუკი – (düdük - დუდუქ - „სასტენი“):

„დუურტყი **დუდუკი** დუურტყი“ (იმ.); „**დუდუკით** მევიდა და დუურტყა დუღუნზე“ (იმ.)...

1.46. დუზი – (düz - დუზ - „ვაკე“, „სწორი ადგილი“):

„ადის არაბად, იგზე **დუზია**, შომე გზაა“ (ჯვარ.); „ის გურჯული სოფლები **დუზი** იერლებია“ (იმ.)...

1.47. დუნია – (dünya - დუნია - „ქვეყანა“):

„დედეი იტყოდა ერთი გედევდოდე, **დუნას** თუალ გადავავლებდე და ისე მოვკდებოდე მეყოფოდაო“ (მეზ.)...

1.48. „დუღმე” – ღილი. იწერება „Düğme”, იკითხება „**დუYმე**”, ქართულად გამოითქმის „**დუგმა**“:

„ერთი **დუგმა** დაკარქულა”; „**დუღმეები** გუუკეთე“ (იმ.)...

1.49. დუშმანი – (duşman - დუშმანი – „მტერი“):

„**დუშმანი** გამოსრიკვებია, სამი კაცი გაქცევლან“ (იმ.); „**დუშმანები** იყვენ და გეიქვენ“ (ხევწ.)...

1.50. „ეგლანჯა“ – (eğlence - ეღლენჯე - „გართობა“, „წვეულება“, „დროის მხიარულად გატარება“. იწერება „Eğlence“, თურქულად წარმოითქმის „ეYილენჯე“, ქართულად ითქმება „ეგლანჯა“):

„მეზობლად გენჯები ეგლანჯას იჯებიან“ (იმ.); „ბაღვებით ეღლენჯა გუაქ“ (იმ.); „თორუნები ეგლანჯას აკეთებენ“ (იმ.)...

1.51. ეზანი - „მუსლიმანთათვის სალოცავად მოწოდება“:

„ჰა მიხვალ ეზანის დროს მუუსლელი?“ (უსტ.)...

1.52. ეტრაფში – (Etraf - ეტრაფ – მხარეები, გარემო, მიდამო, არემარე):

„იქიდან მომსვლელი კაცები ეტრაფში დაჯდებიან“ (ვარდ.)...

1.53. ელჩები - „დესპანი“, „შუამავალი“:

„უწინ ელჩები იყო, ელჩები... აბა!“ (ამ.)...

1.54. ემექლობა – (თ. Emekli - ემექლი – I. პენსიონერი, სამსახურიდან გადამდგარი):

„ემექლობა გავხდით, ჩვენ ახლა არ ვმუშაობთ“ (მან.); „ახლა ოღრეთმენი ქი ხარ, ემექლი გახდები, ფარა არაა იქა?“ (მან.); „ემექლიზე გამოსლა, თქუნებურა პენსიაზე გამოსლა, თურქდეში ადრე იციან“ (ტრაპ.); „ორმოზდა ათი წლის კაცი აქა ემექლი ხდება“ (ტრაპ.); „ემექლი მათიგ საყოფისი არი“ (ტრაპ.); „ხუთასი დოლარი მაქ ემექლი მათი“ (ტრაპ.)...

1.55. ზათი - (არ. zaten//zati - ზათენ//ზათი - „საერთოდ“, „სულაც“, „წინათ“, „მთლიანად“, „ბარემ“, სწორედ“):

„ჩალასაც შევხკონავთ, ჩვენ ძროხებს მივართვამთ, ამა ძროხებიც აღარ ალი ზათი“; „ამა ახლა ზათი აღარც ძროხა არი, აღარც ქერი, აღარ ვთესავთ ზათი“; „ზათინ იმტე, მე რა ვიცი, რას აკეთებს“ (ჩაქ.)...

1.56. ზენგინი/ზენგილი - (zengin - ზენგინ - „მდიდარი“):

„ამასიაში მოსულან მეგერ სამი ეშხია, და ზენგინს უთქვია კი ქალი–ზალი ბაკალა მოგვიყვანე“ (ზაქ.); „სეფერა დედეი იბიოლლი ძალიან ზენგილი ყოფილა“ (მეზ.); „ზოვლი ზენგინი კაცი ყოფილა“ (მეზ.)...

1.57. თაბუთი – (Tabut - თაბუთ - „კუბო“):

„ახლა მიყავან ჩადვან'ნა **თაბუთში**“ (ნიოლ.); „ორი თანე ხოჯა მოვლენ, გამაბანებენ. იმა უკან **თაბუთში** ჩამდებენ, თაბუთის წასაღებელად შენ მიმოხველ, მეზერში ჩამდებენ“ (სვირ.);

1.58. თანე – (Tane - თანე - „ცალი“):

„დიდ ძმას სამი **თანე** ბავშვები ყავს, ემეში ყავს“ (ბაზგ.); „ორი თანე რუსი იყო“ (ბაზგ.); „მეზობლები თელი მოკდენ თითო **თანე** არიან, ყურბეთში არიან“ (უ.); „ორი **თანე** ძმას ღარჭები ყოლია, ერთ ზმას ბაჯალა“ (სვირ.); „ორი **თანე** ძმას ღარჭები ყოლია, ერთ ზმას ბაჯალა“ (სვირ.); „ერთი **თანე** აქ დარჩეს, ჯანი შუუწუხდება.“ (უსტ.); „გოგო არ მყავს, ღარჭები ერთი **თანე** ის ემე არი, ხოჯა აკითხებს“ (ივ.); „ორი **თანე** სამი, თანე რუსი იყო“ (ივ.); „ერთი **თანე** მარილიც ჩუურევთ“ (ჩაქ.); „ბათუმში ერთი **თანე** უნივერსიტეტია“ (ივ.)...

1.59. თემბელი - (tembel - თემბელ - ზარმაცი):

„**თემბელი** თქუენი ხალხი, არ საქმობენ, მარტო ქეიფობენ“ (უსტ.)...

1.60. თერეფი//თარაფი – (Taraf - თარაფ - „მხარე“):

„გოგოს **თერეფიდან** რაცხა გაკეთებული ექნებიან“ (შავშ.); „რაცხას ქი გააკეთებენ, ქალის **თერეფი** დუურიგებს“ (შავშ.); „ბიჭის **თერეფის** მაყარი (გოგოს – არა) ფულს გაყრიან, სინს მოარუნებენ“ (შავშ.); „წასული არიან ამ **თერეფიდან** ბევრი ინეგოლ, ისტამბულ, იზმით“ (ბაზგ.); „მაჭიხელის **თარაფიდან** ბევრი არიან გადმოსახლებული შიგან თურქიეში“ (ბაზგ.); „ოთხ **თერეფში** წინ პალკონ გადავაშვერიებთ“ (წეთ.)...

1.61. თელგან - „ყველგან“:

„ჩემი დედამთილი **თელგან** წავა ჩიჩეგისთინ, **თელგან** წავა, ქომოთკენ წავა“;

1.62. თექრენ – (tekrar - თექრარ - „ხელახლა“, „კვლავ“, „განმეორებით“):

„**თექრენ** აქიდანა სელჩუკლი თურქებ გუუწუხებია, გაქცევლა“ (დ.)...

1.63. თეფზე – (თ. Teyze - თეიზე - „დეიდა“):

„**თეფზე** ახლა ანაღს დას ებნევიან“ (ხევწ.); „ორი **თეფზე** მყავს“ (უსტ.); „ჩემი **თეფზე** ინგლისურის ოდრეთმენია“ (იმ.)...

1.64. თომათესი – (Domates - დომათეს - „პომიდორი“):

„მეზობელმა მე მემიტანა, **თომათესი**, კიტრი“ (დ.); „**თომათესი** იყიდა და არ მეიწონა“ (იმ.); „**თომათესი** დასეთა ჰამა აქარ მოდის“ (იმ.)...

1.65. თოფრალი - (toprak - თოფრაქ – „მიწა“):

„ყუელას მისი **თოფრალი** უყვარს“ (ინ.); „**თოფრალზე** მუშაობა ძალიან ეზარება“ (იმ.)...

1.66. თორუნი – (Torun - თორუნ – „შვილიშვილი“, „შვილთაშვილი“):

„ოცდაოთხი თორუნი მყავს“ (ზ.); „**თორუნი?** ონალთინე მყავს, სამი თანე ბაჯალა იქ მყავს“ (სვირ.); „ღარჭი დასახლებული არიან. ზამთარში ანტალიას, ალმანიაში მიდიან. ექვსი **თორუნი** მყავს“ (უ.); „ერთი მომიკდა **თორუნი** ერთი დასახლებულია“ (ზ.)...

1.67. თუთუნი - „თამბაქო“:

„**თუთუნ** გავახმოვთ, ზამთრისთვის შევნახავთ“ (ინ.); „ბევრი **თუთუნი** მოკრიფა და გაახმო“ (იმ.)...

1.68. თურქა – (Türkçe - თურქე - „თურქული (ენა)“, „თურქულად“):

„გურჯიჯაზე არ ვილაპარაკებდით, სულ **თურქაზე** იყო სიმღერა“ (გურ.); „უწინ მუუთქვამდენ, მაგრამ **თურქაზე**“ (ფეთ.); „იმღერებენ გენჯები, მე ვერ ვიტყვი, მე **თურქა** ვიცი“ (ბაზგ.); „აკვანში ჰელბეთ უმღერებენ, ჰამა ქართულად არ არი, **თურქას** ებნევიან“ (ბაზგ.)...

თურქულში **ça, çe** არის მაწარმოებელი, რომელიც ქართული „ულ“-ის ფარდია.

1.69. იმამი - (imam - იმამ - ისლამში სულიერი წინამძღოლი):

„ხუთ წელიწად ჩუენ სოფელში **იმამი** იყო“ (მეზ.); „სოფლის **იმამი** ჩემი ბახალა იყო“ (იმ.)...

1.70. ილაჯი - (ilaç - ილაჩ - „წამალი“):

„ამ ზამანში ბევრი **ილაჯია**“ (უ.); „ეჯზანეში ბევრი **ილაჯი** იყიდა და დალია“ (იმ.); „წადი და **ილაჯი** მეიტანე“ (იმ.)...

1.71. ინსანი – (არაბ. İnsan - ინსან – 1. „ადამიანი“, „კაცი“. 2. „ადამიანური“):

„რა **ინსანი** დიმინახავს, რაი მიწა დიმინახავს“ (იმ.); „**ინსანსა** მისი აფბი ბუკზე არნა შემოკრა, სირცხვილიდან'ნა გამეიყვანო **ინსანი**“ (იმ.); „თქვენი

ქართველები ზორ კად ინსნები არიან”; „ბაშხა ბაშხა ინსანს არ ახსოვს” (ისკ.); „ერთ გოგოს მხარეზე სამი ინსანი მოკლეს: ბიჭის ნენე, ბაბო და ძმა” (ბუჯ.); „ინსანი ხანდახან ვერ დაკვირდები (ხევწ.); „ერთ ენაზე დეილაპარაკებ, ერთი ინსანი ხარ, ორზე დეილაპარაკებ – ორი”(დ.)...

1.72. იშტე//იშთე – (İşte - იშთე – „აი”, „ასე”, „სწორედ”, „მაშ ასე”, „ესეც ასე”, „ამრიგად”):

„თვალეში დამოზნელდა, ხანდახან ემეს მიჯება იშტე” (ზ.); „ჩვენ რვა ხბო გვყავს, წრეველ ცხრა გვყავს, გეზდენ იშტე” (ხევწ.); „იშტა ძალი იყოს, იშტა დედამთილი, საბრი ყაბი ედვსობა, გადმოდინდება” (ხევწ.); „სად არიან, დალამდა იშტე” (ბაზგ.); „ესენი რომ წამოგეყვანენ, ახლა იქ ვიქნებოდით იშტე” (ბაზგ.); „გაჩეჩილი მაქ სახლი, მოიდენ იშტე, არ მეგვიწონებენ” (უ.); „ჩამოვიდენ იშტა ბათუმლები” (უ.); „ცივი წყალია იშტა” (უსტ.)...

1.73. კავლა - (kavga - ქავგა - „ჩხუბი“):

„კავლა კი იქნა, ნაომარისთინ ათათურქმა ემე ქნა, მექთები გააწყო“ (მაჩ.); „კავლა უნდა გააკეთოს“ (იმ.)...

1.74. ლაილონი - (nylon - ნაილონი - „ნაილონი“):

„აი აგზე ჯამიკარ ლაილონს დავაგებთ“ (მერ.); „ლაილონი დააგო და მისვენა“ (იმ.)...

1.75. ლახანა – (Lahana - ლაჰანა - „კომბოსტო“):

„ჩვენთან მოდის ლახანა, ლობიო, კიტრი, ყართოფი” (ზ.); „ლახანას მოხარშავ, კარგა მიხარშვის, კარქანა გაწურო” (იფხ.); „ფხალი ვეტყვით, ლახანა“ (ქლას.); Lahana – لاخته „კომბოსტო”.

1.76. ლეჩერი – (Reçer - რეჩერ – „მურაბა“):

„ამა ლეჩერ ვეტყვით, ნახე, გერმელია, ჩილექ ლეჩერია, „მარწყვი” (დ.)...

1.77. ლოქანთა - (lokanta - ლოქანთა - „სასადილო“):

„ლოქანთას წინედან იდგა“ (იმ.); „ლოქანტა მევტანეთ, იგზე ჩევტადთ“ (უსტ.); „ვინცხას მეემშევა ჭამოს. ლოკანტად დოქ“ (ამ.)...

1.78. მაიდანოზ – (Maydanoz - მაიდანოზ - „ოხრახუში“):

„პრასას არ ვთესავთ, ართვინ ევილებთ, მაიდანოზ ვთესავთ” (ზ.); „ბოსტანში გუაქ ქინძი, პრასა, მაიდანოზი“ (უსტ.); „დავთესავთ ფხალ, ისემეს, ლობიოს, მაიდანოზს, ქინძის დავთესავთ“ (ქლას.)...

1.79. მაჰალე – (არ. Mahalle - მაჰალლე – უზანი (ქალაქის, სოფლის) რაიონი):

„იმისი ძმა იქაა, ენ ზედა მაჰალეში“ (ზაქ.); „იქ ლიზანს ეტყვიან მაჰალესი, იქ მიმიყვანეს“; „ერთ მაჰალეს ქვადიდი ქვია“ (დ.); „ჩემი მაჰალე ზომოა“ (ა.); „ესა აგარა, ბაქირთას მაჰალე, ჩულურ, ჩულურ აგარა, ბაქირთა მაჰალე“ (მერ.)...

1.80. მეგერ - თურმე:

„აბაზები ჩეიცმიდენ, დეიხურვიდენ, წევდოდენ სოფლებში მეგერ და გაქუცევდენ ხალხსა“ (იმ.)...

1.81. მედრესე - (არ. medrese - მედრესე - სასწავლებელი, სკოლა):

„ციციები დილდილაი მედრესეში მივლიან“ (ინ.)...

1.82. მეზერი - სასვენი, სასვენებელი:

„მეზერში რანა წეღო? (ჩაქ.); „თამარა დედოფლის მეზერი თურქიეშია?“ (უსტ.)...

1.83. მემლექეთი – (Memleket - მემლექეთ - „ქვეყანა“, „მხარე“, „ოლქი“, „რაიონი“):

„ნაწერავი გაატანა მემლექეთში, ხისიმები გეიგენიო“ (იმ.); „მემლექეთიდან წამოქცვა დიდ დამ, წელათ გათხვებული იყო“ (იმ.); „თაზე გევქეცით მე და ჩახალი მემლექეთში“; „მემლექეთში გერმელ ყურუთ აკეთებდენ“ (იმ.); „ჩემი დედეი რომ მემლექეთ მეიგონებდა, ერთ ჰაფთას იტირებდა“ (იმ.); „ყუელას მისი მემლექეთი უყუარს“ (მეზ.); „ესა იქიდან გადმოსულია, ჩვენი მემლექეთიდან“ (ხევწ.); „დემურალდედეი იტირებდა მემლექეთური, იქავრობა რომ მუაგონდებოდა“ (მეზ.)...

შდრ. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი დუნია-მემლექეთი: „ხმლით სატევრით, თოფით, ერთი მეომარი კი ებრძვის მთელ დუნია-მემლექეთს“ (ა. წულ.); „იმ გაბლედვილს ქალს არ გავატანდი, მარა რალა მექნა, დემესია დუნია-მემლექეთი“ (ნიჟარაძე 1971: 250).

1.84. მემნუნი - (memnun - მემნუნ - „კმაყოფილი“):

„მემეხმარა კაცი, მემუნნი გავხდი“ (მეზ.); „ისინი მემუნები არიან“ (იმ.)...

1.85. მეფვა – (Meyva - მეივა - „ხილი“):

„აქ ყველა მეფვა არის, თევრ-თევრი ვაშლი. მეფვა არი და არი ჯინს-ჯინსი: ქრისტა ვაშლი, თავრეჯული“ (დავ.); „აქ ხილი - მეფვა თელი არი: ვაშლი არი მესერად, ოტრილად, საჭურად“ (ზ.); „უბეში მეფვა ბევრია“ (უ.)...

1.86. მერაყი - (merak - მერაქ - „დარდი“):

ზაათი აქავრ ფადიშაჰებსა სულ გურჯი ქალები ყავდენ, გურჯი ქალების მერაყი ქონდა“ (უსტ.)...

1.87. მექთეფი – (Mektep - მექთეფ - „სასწავლებელი“):

„მექთებში ისწავლეს ბაღვებმა“ (იმ.); „მემრე მექთეფში წაველ“; „მე მექთეფში ორეთმენი ვარ“; „მექთეფში ვინც კითხულობენ, იმათ მითხრენ, რომ გურჯიჯა ბაღნებს არ ასწავლოთო“ (ბაზგ.)...

1.88. მექთუბი - (mektup - მექთუფ - „წერილი“):

„მექთუბი მოვდა, ჰალადვენ თოვლსო“ (იმ.); „ნეჯაათიდან მოსული მექთუბი“ (იმ.); „მექთუბი გავგზანე სტამბულში“ (იმ.); „მექთუბი მოვდა, ჰალადვენ თოვლსო“ (იმ.)...

1.89. მეხსუზ - (mahsuz - მაჰსუზ - „სპეციალურად“):

„აგზე მეხსუზ ჭვამ ქი, მილეთი მოიდეს და ერთათ ჭვამოთო“ (მაჩ.)...
შდრ. „ერთმანები რომ გადიეკიდებია, იმიტონ მოვდა აქ, მეხსუს“ (შ. ნიქარაძე 1971: 253).

1.90. მერჯიმეგ - (mercimek - მერჯიმექ - „ოსპი“):

„ეგა მერჯიმეგია. ხახვ დავჭრით, მოვხრაკავთ, მერჯიმეგ ჩავყრით“ (აშ.); „მერჯიმეგ ჩორბა ძალიან მიყვარს“ (იმ.)...

1.91. მეჯბური - (არ. mecburi - მეჯბური- „აუცილებელი“):

„მეჯბური ილლანა აკითხვიო“ (მეზ.); „მეჯბური იმანნა გააკეთოს ეს საქმე“ (ინ.); „მეჯბურ მისცემ შეწუხდები“ (იმ.)...

1.92. მეჰელე - (mahale - მაჰალე - „უბანი“):

„ერთი, ორი, სამი თანე მეჰელეა“ (აშ.); „ამას გაღმიეთი ქვია, იმას ლაზეთი, იმას ზედავრი მეჰელე ქვია“ (აშ.)...

1.93. მუმი – (თ. Mum - მუმ – 1. სანთელი, 2. ცვილი, 3. კვამლის) სვეტი):

„მუმის დეიჭირებენ, მუმის დაანთებენ, ყაბლაის ზეიდან“ (ავ.)...

1.94. მუსაფირი – (Misafir - მისაფირ - „სტუმარი“):

„დაგაყენებთ, კაცებ ერთ ოთახში ავაგვსობ, მუსაფირ გაგხდი“ (უ.); „მუსაფირ გელდი“ - „სტუმარი მოვიდა“ (უსტ.); „მუსაფირ დაჩოვლი ვარ“ (ხევწ.); „მუსაფირ გელდი, აქევრი ვარ“ (უსტ.)...

1.95. მუხტარი - (არ. muhtar - მუჰთარ - „მამასახლისი“):

„მუხტრობა კად არ არი“ (იმ.); „ესენი შემეყარენ, მუხტრის სახლი მკითხეს, მე ვაწავლე“ (უ.); „მუხტარი შინ არ არი“ (უ.); „თქვენ ქართული არ დეფლაპარიკეთ, მუხტარმა დეილაპარიკა“ (უსტ.); „მე არ მისამია, იქ ვიჯექი, მუხტარი, ბაღნები იყვენ“ (უსტ.); „ამის კაცი მუხტარი იყო“ (ჩაქ.)...

1.96. მუჰაჯირი - (muhacir - მუჰაჯირ - „ემიგრანტი“, „გადასახლებული“):

„თურქიეში რომე გადასულან მუჰაჯირათ, მალე ომი გამოსულა“ (იმ.); „წინწინ მანავები, მუჰაჯირები ყოფილან იქა იმფოსერთი“ (იმ.); „რომე იცოდე რა წარეა მოჰაჯირად ყოფნა“ (ინ.); „მაშინ აჭარაში მუჰაჯირობა ქნილა“ (ინ.); „ერთი ღამის მელოგინე ყოფილა მუნთაჰა ნენეს და, ესენი რომ მუჰაჯირათ წამოსულან“ (იმ.)...

1.97. მუენდისი - (mühendis - მუჰენდის - „ინჟინერი“):

„შვილებში მუენდისიც არის, მასწავლებელიც არი“ (იმ.); „მმა მუჰენდისი არი, მუშაობს“ (იმ.); „ბურსას არი მუშაობს მუჰენდისათ“ (უსტ.); „მუჰენდისობა კაია, ჰამა მნელია“ (ხოხ.); „მუენდისი ფათომ ბადრამოღლი ტრაჰზონშია“ (ტრაჰ.)...

1.98. ნენე – (Nene - ნენე – დედა, დიდედა):

„ნენე დაბერდა, ვეღარ წევდა, თაც მოთავდა“ (იმ.); „ლოცვები ნენემ იცოდა, მე არ ვიცი“ (ზაქ.); „ნენე მოკდა და აღარ არი“ (ხოხ.); „ნენე ძალიან კაი ქალი იყო, წევდა“ (ქლას.); „ნენე დაილაში წევდა“ (ქლას.)...

შდრ. „ნენე, რა ლამაზია!“ (პ. ლორ.); „შენს ნენეს, ვიცი ვძულვარ“ (ა. ზეპ.) (ნიჟარაძე 1971: 286).

1.99. ნისან - (არ. nisan - ნისან - „აპრილი“):

„მარტი, მარტი იცით. **ნისანი**, ნისანი? მარტის უკან. მარტის უკან ქი არი, **ნისანი?** მაშინ ვიქო მისირ, მაშინ მოვხნით“ (ჩაქ.); „**ნისან** იყვენ და წევდენ ისტამბულ“ (ხევწ.); „**ნისან** დავთესავთ სიმინდსა“ (ხობ.)...

1.100. ნიშანი - (nişan - ნიშან - „ნიშანი“, „ნიშნობა“):

„დოდოფალ დავნიშნავთ, **ნიშან**, მუუტანებენ, ერთ წელიწად იქნება, არ იქნება დანიშნული“ (უსტ.); „**ნიშან** რო მეიტანებენ, მალე უნდა წეიყვანონ, ჩვენთან ადეთია“ (ქართ.); „**ნიშანზე** ბევრი ალთუნები: ბილეზუკები, კუფეები, იუზუკები მეიტანეს“ (ქართ.)...

1.101. ნიშანლი - (nişanlı - ნიშანლი - „დანიშნული“):

„ერთ წელიწად ვიყავ **ნიშანლი**“ (მერ.); „**ნიშანლი** ვიყავ ერთ წელ და გევეთხვე“ (ქარ.); „ი ჩემი ბაკალა **ნიშანლია**“ (ქარ.); „**ნიშანლი** იყო ღარჭი, წევდა და გადავარდა“ (იმ.); „**ნიშანლი** რომ გახდება, ბევრ ალთუნებს მეიტანებენ“ (უსტ.)...

1.102. აბანი - (yaban - აბან - „მხეცი“, „ნადირი“, „გარეული“):

„შიგან **აბანი** არი“ (იმ.); „**აბანივით** აბრიალევს თუალევ“ (ინ.); „**აბანი** ბაღვია რაცხა, ფთხალი“ (ინ.); „**აბანივით** იქცევა ის გომბიო“ (უსტ.); „**აბანმა** წეიყუნა ჩომა“ (ხევწ.)...

1.103. აბანჯი - (თ. Yabancı - აბანჯი - „უცხო“, „უცნობი“, „უცხოელი“):

„ე ბუზები ფენა უკბენენ **აბანჯ**“ (ხევწ.); „მარწყვი მავიწყდება, აქაც არი, **აბანია**, დარგონა“ (დ.); „ისა დაკვირვებულა, **აბანჯი** არ იქს-მეთქი“ (შავშ.); „**აბანჯი** სიძე არ გვინდოდა“ (შავშ.); „**აბანჯი** ვინმე არ ქცევავს“ (ქლას.)...

1.104. ათალი - (yatak - იათაქ - „საწოლი“):

„მეიტანა **იმანაც** იშტა ათალი“ (უკ.); თახუმები გექნება **ათალ** ოდისა“ (იმ.); „ეს ჩემი **ათალია**“ (იმ.); „**ათალში** დაწვა თავი ტკივა“ (ხევწ.); „**ათალში** შევდა და ბევრი იტირა“ (უსტ.)...

1.105. აილა - (Yayla - იაილა - „საზაფხულო საძოვარი“, „იალალი“):

„სვირევნული **აილა** იქაა, ზეით“ (უ.); „წინ-წინ რავად ვიყავითო **აილაში**“ (უსტ.); „ამ ფაფართის თავში **აილა** არი“ (უსტ.); „**ლამეში აილაში** ვიყავით“ (უსტ.); „ახლა **აილაში**’ნა წევდეთ“ (ბაზგ.); „**აილაში** წევდოდი, ვისამებდი, წამევდოდი“

(ხევწ.); „ჩვენი **აილა** არი გამიშეთის ზემოთ” (ხევწ.); „აქ არ არიან, ზოგი ჭალაში არიან **აილაში**“ (ზ.)...

1.106. ალანჩი - (yalancı - იალანჯი - „მატყუარა“):

„**ალანჩი** ბეშლი მოგვიტანეს“: (ზაქ.); „უხორცო **ალანჩი** იქნება“ (ქლას.); „**ალანჩი** სარმა გერმელია“ (თხილ.); „**ალანჩი** საჭმელები ძალიან მიყუარს“ (ხევწ.); „**ალანჩი** ალთუნი იყო, ბაბაი გაბრაზდა“ (უსტ.)...

1.107. ასალი - (Yasak - იასაკ - „აკრძალვა“, „აკრძალული“):

„ჩვენ დროში **ასალი** იყო კითხვა, მოდიოდენ გვიჭირევდენ” (ბაზგ.); „თუ იციან, გეტყვიან, **ასალი** არ არი” (ზაქ.)...

Yasak - ياساق – იკითხება „ასაყი” (ლექსიკონი 2001.:1462; Kâmüsî 1989.:1528).

1.108. არამაზ - (yaramaz – არამაზ - „ცელქი“):

„იმ **არამაზ** კაცმა ევდა სოფლის თავზე მაღალ ეწრეფში“ (იმ.); „ის ბავშვი **არამაზია**“ (უსტ.)...

1.109. აშლი - (თ. Yaşlı - იაშლი - „ხანდაზმული“, „ხნიერი“, „ხანში“):

„ფატყუნენემ არ გამაგონოს, ცოტა **აშლი** არი” (ბაზგ.); „ზუელეპური სოფლების სახელები არი, **აშლებსა** ახსოვან” (დ.); „ზოგ მაჰალეში ცოტანი დარჩნენ, იქევრობა აღარ დარჩნენ, **აშლი** ბებრები იხოცვიან, მიდიან” (უ.); „**აშლები** ძალსაც იტყვიან, ახლა გელინს ვამბობთ“ (უსტ.)...

1.110. ალი - (Yağ - იაღ - „ცხიმი“, „ქონი“, „ზეთი“, „ერბო“):

„ყაურმას ამდენ-ამდენ დააბრაწებ **აღში**“ (ზ.); „მერჯიმეგ წყალში მოხარშავ, **აღში** გააბრაწებ, ნიორსაც გუურევ” (შავშ.). „ძის **აღში** ვაბრაწებთ” (უ.)...

1.111. აეგანი - (Yeğen - იეღენ - „ძმისწული“, „დისწული“):

„ერთი ჩემი **აეგანი** არი გუმიშ“ (ხობ.); „ჩემ **აეგანმა** ზნა წიგიყვანონ არაბით“ (უ.); „**აეგანი** ორთავეა - დიშვილი, ძმის შვილი“; „ჩვენი **აეგანია**, გედევდა იქა, თავის დედამ არ მეღონა“ (იფხ.); „ჩვენი **აეგანია**, გედევდა იქა, თავის დედამ არ მეღონა“ (იფხ.); „მემედად ჩვენი **აეგანი** ყოფილა“ (ივ.)...

1.112. აეთიმი - „ობოლი“:

„იმა ქალი მოკდენიოდა, ერთი ციცაჲ დარჩენოდა **ფეთიმათ**“ (იმ.); „მე ანალული მყავს ანაჲ არ მყავს ზათი, სამი წლისა დამჩალი ვარ **ფეთიმი**, აბა“ (მერ.); „კაცი მომიკდა, ექსი თანე **ფეთიმი** დამჩა. ეს ძალი მეყყვანე, აქევრია“ (ზაქ.)...

1.113. ფერი - (yer - ფერ - „ადგილი“):

„ის **ფერი** აღარ გუუძლიან, დღესაც გზა დაკლაკნილია იმ **ფერებზე**“ (იმ.); „ბურსას ზათინ ბევრ **ფერზე** არიან“ (იმ.); „იმ დუნიას ენ ლამაზ **ფერებზე**“ (უსტ.)...

1.114. ფეშილი - (Yeşil - იეშილ - „მწვანე“):

„მე **ფეშილ** თაქსით მუალ“ (ზაქ.); „სოკოს მოკრეფენ, მოხარშვენ და ადში მოხრაკვენ, **ფეშილი** ხახვის ერთათ“; „მე **ფეშილ** თაქსით მუალ“ (დ.); „**ფეშილ** ბურსაში შუუცემიან სოფლები“ (იმ.)...

1.115. ფემექ - (yemek - იემექ - „საჭმელი“):

„კაკალი აქარ იჯება, ქომოდან მოგვაქ, **ფემელებზე** ხმარობენ“ (ბაზ.); „ბალახები აქაც არი, ჰამა არ იციან, იქ **ფემეგებ** აკეთებენ“ (მერ.)...

1.116. ფორგანი - „საბანი“: „საბანში“ თურქულად გამოითქმის როგორც „**ფორგანდა**“ ქართულ კონტექსტში:

„არნა მოვქსოვო, **ფორგანშინა** ჩავყარო“.

1.117. ფუზუგ - (yüzük - იუზუქ - „ბეჭედი“):

„**ფუზულიც** ვიცოდით“ (იმ.); „ტყვილი რაჲ ვთქვა, ალთუნ **ფუზუგ**, ალთუნ ქუფე უუღევი“ (იმ.); „მეიტანებენ **ფუზუგ**, საათ, ქუფეს, ბილეზუგ, ზენჯირ“ (ქლას.)...

1.118. ოდა - „ოთახი“:

„ახლა ერთ **ოდაში** არ არიან. ხვალ შეხდებიან ერთმანეთს“ (ბაზგ.); „**ოდაში** დოდოფალი იმალება“ (უსტ.); „**ოდაში** ბევრი გენჯები არიან“ (იმ.); „**ოდაში** შემოი და დაჯექი“ (იმ.)...

1.119. ოთელი - (Otel - ოთელ - „სასტუმრო“):

„რასოდ უთავდებით **ოთელში**?“ (იფხ.); „თურქების **ოთელიც** ყოფილა“ (ბაზგ.); „შავშეთ ხართ **ოთელში**?“ (ხევწ.); „რა სოდ უთავდებით **ოთელში**“ (იფხ.); „მეც მოვტეხე, მეზობელ ქალითვინ მინდოდა, მარა **ოტელში** დემეკარქა“ (იმ.)...

1.120. ოთუზ - „ოცდაათი“:

„ერთი ქონტროლი ოთუზ ბინ ღირა ღირს“ (იმ.); „**ოთუზი** ღირა მისცა“ (იმ.)...

1.121. ოქული - (okul - ოქულ - „სკოლა“):

„ბადვები წოვდონ **ოქულში**“ (უსტ.); „**ოქულში** პაწად, იქ მექთების წინ ასწავლიან, მემრე მეჩეთში“ (მაჩ.); „შვიდის თქვა, ისე უთხარ, წრევლნა წევდეს **ოქულში**“ (ბაზგ.); „ჩემ ღარჭზე შვიდ წელიწად თვალი ქონდა, კითხულობდა ჩემი ღარჭი **ოქულში** იმამათ“ (უკ.)...

1.122. ოღრეთმენი (თ. öğretmen - ოღრეთმენ) – მასწავლებელი:

„**ოღრეთმენის** ქალი იყო გაღეშდა“ (დავ.)...

1.123. სანდალიე - (sandalye - სანდალიე) - „სკამი“:

„ეს სკამია; დიდ სკამს **სანდალიეს** ვეტყვით“ (ბაზგ.); „**სანდალიე** მეიტანე და დაჯდებიან“ (უსტ.)...

1.124. ტათლი – (Tatlı - ტათლი - „ტკბილი“, გემრიელი“):

„ტათლზე ვერ ვართ, ადეთ ვიჯებით ოყათარჯა“ (იმ.); „ჰალვა არ გიმიკეთებია. აქ არ აკეთებენ. **ტათლი** არ ვაკეთებთ“ (ჩაქ.);

1.125. ტადა – (თ. Dayı - დაი - „ბიძა“, „დედის ძმა“):

„ის ყოფილა **ტადაი**, შუბნის ზედამ ვაკედან“ (იმ.); „ცხოვრება ასეა. ერთი ძმა პატარა არის. ორი წელიწადია ფსიქიატრულად ავადაა. ჩემი **ტადაც** ასეა, თავი ჩამეიხჩო“ (ბაზგ.); „ახლა იმან'ნა დაგაწერიოს, ჩემი კაცის **ტადაა**“ (ბაზგ.); „თქვენ ცქვიტად ვერ მართ, **ტადაი** საქმობს აგზე, ჩემ კაცისა **ტადაა** ის“ (ბაზგ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით **ტად** – طایى და Dayı - ایا ერთი და იგივეა და ნიშნავს „დედის ძმას“ (ლექსიკონი 2001.:378; Kâmüsî 1989.: 602, 874).

1.126. ურბა//ურუბა - „ტანსაცმელი“:

„**ურბას** უუღებენ, აბა რას იზმენ“ (უსტ.); „**ურუბა** უყიდეს, არ მეიწონა“ (უსტ.); „ბევრი **ურუბები** უყიდეს“ (ქლას.)...

1.127. ფათათესი - (patates - ფათათეს- „პომიდორი“):

„დათვმა ირმი კოდი **ფათათესი** შექამა“ (აშ.); „მაგა ვურთობთ **ფათათესს**, მიწიხაპას, ფრინჯ გადავაყრით“ (ქლას.); „**ფათათეს** დავთლით, მალ დავასხამთ, მივცემთ სობაში, მაკიდო, პრასა ვურთავთ, ხახვ დავაწუავთ“ (ტრაპ.)...

1.128. ფარა - (para - ფარა- „ფული“):

„მე იმ სოკოში ფარას არ მივცემ (ბაზგ.); „აქ ფულს ვერ თხოვ ვერავის“ (ჩაქ.); „ფარა თუ გაქ ყველას უნდახარ“ (იმ.)...

1.129. ფოთოგრაფი - „ფოტოსურათი“:

„გამარჯობა, ნენევ, ამოი აქანე. ფოთოგრაფ ვწევ, სურათი გამევიდოთ“ (უ.); „ფოთოგრაფი მეიტანე და აჩვენე“ (იმ.)...

1.130. ფუხრობა - „სიღარიბე“:

„ძველი ფუხრობა აღარ არი, არა! ლამზიდან ფუხრობა აღარ არი“ (უსტ.); „ახლა თელი ფენა დაზენგილდენ, ძველათ ფუხრობა იყო“ (უ.); „წინწინ ფუხრობა იყო, ჩვენ არ მომწრიან“ (ქლას.)...

1.131. ქენერი - (kener - ქენერ - „კუთხე“):

„ხოჯასთვინ უთხრობიან ქი, წევდეთ დენიზი ქენერში და ზიაფეთი ვქნათო“ (იმ.); „დენიზი ქენერში შეშა ჰანა ვნახო“ (იმ.); „დენიზის ქენერზე საილია“ (უსტ.)...

1.132. ქეფინში - (არაბ. Kefen - ქეფენ - სუდარა):

„ქეფინში გავახვევთ იმას იმტე... კტარს“ (წეთ.)...

შდრ. „რით მეყიდა ქეფინი,

ჯავრს ჯავრი გადაედულა“ (მ. ვარშ.).

„ჩასაცმელათ წეიწია,

უნდა წამოდვას ქეფინი“ (აჭ. ხ. პოეზ.) (ნიქარაძე 1971: 355).

1.133. ქითაბი - (არ. Kitâp - ქითაფ - „წიგნი“, „ყურანი“):

„კად გიგიხდია ქითაბი“ (შავშ.); „მე ქითაბი მუატანიე, აქევრი ენა სხვაა, მაგითანად არ ეცოდინება“ (უსტ.)...

1.134. ქილისა - (Kilise - ქილისე - „ეკლესია“, „ტაძარი“):

„ერთი ქილისა რაბათში იყო, ერთი ტიბეთში იყო, მე შევდიოდი ქილისეში ჰამა, ჯამეთ უხმარიათ, ჯამეთ“ (აშ.); „თხარეს, ძველად ყოფილა ქილისა“ (საზგ.); „ნუ გეშინია, აქევრი გზა კადარი, არ შეგეშინდეს, ბიჭო, ქომო არი ქილისე, იმ სერის ძირში'ნა გეარო“ (დ.); „ეს ალაგი ქილისე ყოფილა, დანგრეველა იმტა, ხასაბა არი“ (იფხ.)... Kilise – Kilise – كليس (ლექსიკონი 2001.: 852).

1.135. ყაბალი - (kabak - ქაბაქ - „გოგრა“):

„იტყვიან ყაბალმა არ'ნა მისხასო“ (ხობ.); „ისე ამბობენ, არ იქსო წრეველს ბევრი ყაბალიო“ (ხობ.)...

1.136. „ყაბურღა“ (kaburga - ქაბურღა - „ნეკნი“, „გვერდი“. იწერება „Kaburga“, თურქულად წარმოითქმის „ქაბურღა“, ქართულად - „ყაბურღა“):

„მოლტიკვეი ერთი ყაბურღა მეტი აქუანო“ (იმ.); „ყაბურღაზე მაწვებოდა“; „წავიქეცი და ყაბურღაზე დამაწვა“ (ჩაქ.)...

1.137. „ყავლაჯი“ (Kavgacı - ქავგაჯი - „მოჩხუბარი“, „ჩხუბისთავი“. იწერება „Kavgacı“ ქართულად გამოითქმის „ყავლაჯი“):

„იმათი ბაღვები ყავლაჯი არიან“...

1.138. „ყაზაღი“ - „ნავთი“:

იწერება „gaziyađi“, თურქულად წარმოითქმის „გაზიდაი“, ქართულად ითქმება „ყაზაღი“:

„ყაზაღი ქომო მეჰელედან მოგვაქ“ (იმ.); „ჰედუდი ჩაჭრამდი ბათუმიდამ მოგვექონდა ყაზაღი, მარილი, პიწკაი“; „ყაზაღი მეიტანა და გაანთო“ (უსტ.)...

1.139. ყავარი - ხის სახურავი:

„ბევრი გათოვლდება ყავარზე ავა თოვლი“ (ბაზგ.); „ყავარზე იყო საული და გადმუარდა“ (უსტ.); „ჩვენში კაჲ დუგუნი იციან? ყავარზე ადიან? ახლა აწიეს“ (უსტ.); „ყავარზე არ ადიან ქალაქში“ (უსტ.); „ყავარზე შექერს გადააყრიან, ბახშიში მიცემენ“ (უსტ.)...

1.140. ყაინი - „ცოლის ძმა“:

„მემედაი ჩემი ყაინია“ (ინ.); „ჩემი ყაინი ჰუდუღზე მუშაობს“ (თხილ.); „ყაინი მყავდა და მოკტა“ (იმ.)...

1.141. ყარშიბერი - „პირდაპირ“, მოპირდაპირე, პირისპირ:

„აგია ჩემი სახლი ყარშიბერი“ (იმ.); „ჩემი ჰოლი ყარშიბერია“ (უსტ.)...

1.142. ყალე – (Kale ქალე- „ციხე“):

„უსტამისის ყალე თამარა დოდოფალმა გააკეთა“ (უსტ.); „ყალეზე ახვალთ ქია, იქ ერთი ემეა“ (უსტ.); „თურქი კაც კლავს და ყალეს არ დაანგრევს?“ (ჩაქ.);

„უსტამისის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა“ (უსტ.); „ქილისე არ არი, ყალე არი“ (უსტ.)...

1.143. ყაჩ – (kaç - ქაჩ - „რამდენი“):

„ხოფადან ყაჩ კილომეტრია ბათუმი?“ (ბაზგ.); „ბათუმიდან ყაჩ საათში მოხვედით“ (ჩაქ.); „ღარჭი წევდა და ყაჩ საათში მუა?“ (უსტ.); „ჩვენ დაილაში ყაჩ საათში მივალთ“ (იმ.); „ყაჩ საათია“ (სტ.)...

1.144. ყირმიზი - (kırmızı - ქირმიზი - „წითელი“):

„არი თეთრი სიმინდი, ყირმიზი სიმინდი, ბათომის სიმინდი“ (ქლას.); „ყირმიზი კაბა რო აცვია, ისა ხატიჯვია“ (იმ.); „ყირმიზი კაბა გიხტება“ (უსტ.)...

შდრ. „ლომის შვილმა ჩევდა ახორში, ჯერ მოკლა ყირმიზი ხბო“ (ა. ზეპ.); „მამაჩემს ნატიბევრაჲ ორმოც ყირმიზში ქონდა ნაყიდი“ (ნ. რუს.) (ნიჟარაძე 1971: 373).

1.145. ყისმეთი - (kismet - ქისმეთ - „ბედი“):

„შენი ყისმეთი არ ყოფილა“ (იმ.); „ჩემი ყისმეთი არ იყო და გეეთხუა“ (უსტ.); შდრ. „ჰად ხუსიაჲ და ჰად ის ქალი, მარა, ხომ იცი, ჰელბეთ მისი ყისმეთი ყოფილა!“ (ნიჟარაძე 1971: 373).

1.146. ყირყ - (Kirk - ქირქ – ორმოცი, თანე (Tane) – ცალი):

„ღარჭი ქი ყოლია, ღარჭი არ გუუმეტნია და ყირყ თანე დევე დუუკლია“; „ყირყ გუნ ყურანს იკითხებენ ხოჯები...

1.147. ყოლაჲ - (Kolay - ქოლაჲ - „ადვილი“, „ადვილად“, „უშრომლად“):

„გეიზდება, იმფო ყოლაჲ დეისწავლის“ (იმ.); „ყოლაჲ ვაცხოზთ ჰადსაც, გვაქ ჯანი ჰადისაც ემე“ (მერ.); „ნიშასტას წავაყრით და ყოლაჲ გავა ცომი გეილება“ (იმ.); „ზემოდან ჩამოხვალთ ნეჯათთან, იქიდან ყოლაჲ“ (ბაზგ.); „თქვენი წერა ჩეთინია, ჩვენი ყოლაჲ“ (დ.); „შიგან დავჟდეთ, ყოლაჲ დაწერავ“ (ზ.); „რა ყოლაჲ წერავს?“ (იმ.); „თურქჩა რომე დევწავლოთ ყოლაჲ, ბალღებსა ლექსებივით ვაწავლითა“ (თხილ.)...

ყოლაი – Kolay – كولاى (ლექსიკონი 2001.:862; Kâmüsî 1989.:1109).

1.148. ყურალი - (kurak - ქურაქ - „ჰაპანაქება სიცხე“):

„ღმერთო, წვიმა მოგვეც. ყურალი არი“ (მაჩ.); „წელს ყურალი იყო არაფერი არ მოვდა“ (უ.); „წრეველ ყურალი წევდა“ (უ.); „ყურალი წევდა და დაწვა ყველაფერი“ (ჩაქ.)...

1.149. ყურბანი - (kurban - ქურბან - „სამსხვერპლო“, „შესაწირავი პირუტყვი“):

„ძველად ყურბანს ეტყოდენ და ღმერთს შეწირავდენ“ (ზაქ.); „ბაირამზე ყურბანი დეიკლა“ (ხევწ.); „ყურბანზე ჩომას იყიდიან“ (უსტ.); „ყურბანს იყიდიან და შეწირავენ“ (უსტ.); „ყურბანი ბაირამზე უნდა შეწირო“ (უსტ.)...

1.150. შარაფი - (şarap - შარაფ - „ღვინო“):

„საჭმელი ჭამეთ საცხა თუ არ ჭამეთ? შარაფი არ ვიცით ჩვენ“ (უბე); „იმდენი, შარაფხანე იყო თელი, ღვინო უკეთებიან“ (უსტ.); „ჰერჰალდა შარაფ აკეთებდენ“ (უსტ.); „ამ სოფლის წიმედან შარაფის ქუფეებია“ (უსტ.);

1.151. შექერი - (Şeker - შექერ - „შაქარი“, „კანფეტი“):

„ათათურქმა მეიგო აქეთკენა და მეგერა რუსმა გადმოაყარა შექერი“ (უ.); „მე შექერ არ ვჭამ, შექერი მჭირს და“ (ზაქ.); „უმარილო ძალ დაჭრიდა, თოზ, შექერ მუაყრიდა ჩემი ანაჲ. შიგან ჩააწურონა ერთი ლიმონი რომ შექერი არ გახდეს“ (იმ.)...

1.151. შეჰირ - (şehir - შეჰირ - „ქალაქი“):

„ესენი ქალაქში არიან. შეჰერში“ (ჩიხ.); „ჩემი ღარჭები შეჰირში ცხოვრობენ, ბაკალა აღმანიაში“ (იმ.); „შეჰირში წევდა და მუა“ (ხევწ.)...

1.152. შიშმანი - (şışman - შიშმან - „მსუქანი“):

„შიშმანი - გასივებული, სხვილი. ახლა გახდნენ შიშმანი, არ ეთხვებიან“ (უსტ.)...

შორვა - „წვნიანი კერძი“: „შორვა თელზე ვაკეთებთ: ჯინჭრის შორვა, ბოლოკის შორვა, ლახნის შორვა, თელ გავაკეთებთ, ბურღულის შორვა“ (მაჩ.); „შორვებში კაკალ არ გუურევთ“ (მაჩ.)...

1.153. ჩარში - (çarşı - ჩარში - „ქალაქის ცენტრის სავაჭრო მონაკვეთი“, „ბაზრობა“):

„აიჰანი ჩარშიში წევდა დღეს, ღარჭი წეიყვანა“ (ბაზგ.); „ესენი ჩარში დეინადნენ“ (იფხ.)...

1.154. ჩეთინი – (Çetin - ჩეთინ - „ძნელი“, „რთული“, „მკაცრი“):

„ნუსხა ჩეთინია, ყველაგინ ვერ დაწერს“ (ბაზგ.); „უწინ აქ ცხოვრება ძალიან ჩეთინი იყო“ (იმ.);

1.155. ჩომა - „პირუტყვი“:

„ჩომაც გავყიდე, სამი თანე მყავს ახლა“ (ნ.); „მოლი ბევრია, მოჭარ, მიათვი ჩომას“; „აი იქიდან რუსები მოდიანო, ჭირი, ჭირიო, შეგვატყობიებდა, ჩომას თივას ჩუყურიდითო, ახორშიო, ტყეში დევიმალოდითო, გვეშინოდა“ (უ.)...

შდრ. „ჩვენში უჩამფაში ჯენდეკ საქონელს ჩომას ვეტყვიო“ (ნიჟარაძე 1971: 404).

1.156. ჩორბა – (Çorba - ჩორბა - „წვნიანი“, „შეჭამანდი“):

„მე არ მშია, ჩორბა ამოვჭამე“ (ბაზგ.)...

1.157. ჩოფი - (çöp - ჩოფ - „ნაგავი“):

„სუ ყველგან ჩოფებია დაყრილი“ (ზ.); „ქალაქში ჩოფის ყუთებია“ (იმ.)...

1.158. ჩიჩეგი – (Çiçek - ჩიჩე - „ყვავილი“):

„ვაშლს ბევრი ჩიჩეგი ესხა, შეცივდა და გაყარა“ (ბაზგ.); „წელსა ბევრი ჩიჩეგი აქვსა“ (იმ.); „იმისი ღერი იჭმება, ყვითელი ჩიჩეგები“ (უსტ.)...

1.159. ჩუვალში - (çuval - ჩუვალ - „ტომარა“):

„მეგრემ რუსსა თურქიესთინ ერთი ჩუვალი ღომი გამუუგზავნია“ (თხილ.); „თურქიეს, ერთი მამლის თავი მუუჭრია, იმ ჩუვალში შუუდია, გუუგზავნია“ (უსტ.); „ღომი იყო და ჩუვალში“ (უსტ.); „თხილს მაქინაზე მისცემ, გადაარჩევს, გაფინავ, გაახმებ, მემრე ჩულეებში აავსებ“ (ტრაპ.)...

1.160. ჩუნქუ//ჩუნქი – (თ. Çünkü - ჩუნქუ „რადგან“, „იმიტომ რომ“, „გინაიდან“):

„თქვენნი თავი ძალგან მიყვარს, ჩუნქი გურჯები ხართ“ (ჩაქ.)...

1.161. ხალა – (თ. Hála - ჰალა – „დედის და“ (დეიდა):

„ჩემი დიდი ნენეი შერიფბეგის ხალაი იყო“ (ბაზგ.); „ისა უნუთას ხალაა, აქ მევდა და ზამთარში წადის“ (ბაზგ.); „სიმღერა? – მე არ ვიცი. ჩემი ხალაი იმღერებდა“ (ბაზგ.); „ხალაი ანაჲს დაა“ (ხევწ.); „ხალა მევიდა და მეიტანა“ (ჩაქ.); „გურჯისტანში დარჩა ხალაი და იქ გეეთხვა“ (უსტ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით **Hâla** – ხალა – **حالا** **მამიდას** ნიშნავს, ხოლო სალიტერატურო თურქულის ლექსიკონში „**Hâla**“ ზოგან „**დეიდას**“ ნიშნავს, ზოგან „**მამიდას**“. აღმოსავლეთ თურქეთში სიტყვა „ხალა“ დღესაც გამოიყენება და ნიშნავს „მამიდას“ (ლექსიკონი 2001.:575; ფუტკარაძე 1993.:გვ.666; Kâmüsî 1989.:315). შავშურში **ხალა** დეიდას აღნიშნავს.

1.162. ხანუმი - (**hanım** - ჰანიმ - ქალბატონი):

„**ხანუმსა** ხათრინა უუმენო“ (იმ.); „**ხანუმ**, ეს ქვაა, ადე, აქ დაჯექ“ ბ(უსტ.); „**ხანუმ** მოი აქ“ (იმ.); „**ხანუმ** მოი აქ“ (უსტ.); „**ხანუმი** წევდა და მუა“ (ხევწ.); „**ხანუმ** სა წეი ჩაი მეიტანე“ (ხობ.)...

შდრ. „ხანუმო, შენი ვარდების ბაღში

მაგ თაიგულებს სატრფოს ვუწნავდი“ (მ. ვარშ.) (ნიჟარაძე 1971: 429).

1.163. ხიზანი - „გაქცეული“:

„გურჯიჯა ასე იტყვიან ფენა **ხიზანიაო**“ (უ.); „ჩემი დიშვილი **ხიზანიაო**“ (უსტ.); „ღარჭი **ხიზანია**“ (ხობ.)...

1.164. ხიზმეთი - (**hizmet** - ჰიზმეთ - „მომსახურება“):

„ესენი დათვალონა, ამათ **მეეხიზმეთონა**, არნა გაგძელდეს“; (იმ.); „ანა-ბაბოს რაფერ **მეეხიზმეთო**, რას ამბობს?“ (იმ.); „ერთ ვატყოფ, **მეეხიზმეთები** მერხემეთ“ (უსტ.); „**მეეხიზმეთები** არ ცემ, ბევრ ჭვირთ არ მოკიდავ“ (უსტ.)...

1.165. ხისიმი – (**Hisım** - ჰისიმ – „ნათესავი“, „ნათესაობა“):

„**ხისიმობა** გუუწყიან გემში“ (მეზ.); „**ხისიმები** გვყავდა, გადმოდიოდენ იქა იშტე“; „გამოგწიოს, წედლოსნა გურჯისტანში, ბათუმში, გამოგწიოს, კადა, შენი **ხისიმი** დიგინახავს“ (ბაზგ.); „გურჯისტანში არიან ჩვენი **ხისიმები**“ (იფხ.); „ჩემ **ხისიმსა** ბათუმ სამ იერიდამ ფეხი მოტეხვია“ (ქარ.)...

ხისიმი – Hisım - **حسم** – „ნათესავი“ (ლექსიკონი 2001.:613; Kâmüsî 1989.:582).

შდრ. „მისხი(?) - შორეული ნათესავი“ (ჩუბ.); „ჩემო ძმებო და **ხისიმებო!**“ (ა. წულ.); „ცოლმა თუ უჩივლა ქმარს... **ხისიმმა ხისიმს** ყველა ამგვარი საქმე განიხილება და გადაწყდება მეჯლისში (თ. სახ.) (ნიჟარაძე 1971: 437).

1.166. ხოროზი - (**horoz** - ჰოროზ - მამალი):

„ეფეიჯა ხოროზი ქალი დარჩა“ (იმ.); „ი ხოროზი დილიდან ყვირის“ (იმ.); „რამდენსა ყვირის ისა ხოროზი“ (უსტ.); „დილითა გამადვიდა ხოროზმა“ (უსტ.)...

1.167. ხოჯა - (სპ. hoca - ჰოჯა - „მასწავლებელი“, „მუსლიმანური სასულიერო პირი“):

„ხოჯა ამბობს მოძოთ, საქმე გააგდევით“ (იფხ.); „ხოჯა მოვა და წეიკითხავს“ (უსტ.); „იმა ი ლოცვები ხოჯამ ასწავლა“ (უსტ.); „ხოჯას აქ მასწავლებელს ეტყვიან“ (უსტ.)...

1.168. ჯუმა - (cuma - ჯუმა - „პარასკევი“):

„ჯამე დავასუფთავეთ, ხვალ ჯუმა არი, მივზოცეთ, მოვზოცეთ“ (უ.); „მადლია, ხვალ ჯუმაა, ილოცვენ, დამლოცვენ“ (უ.); „ხვალ ჯუმაზე უნდა წევდე მადლია“ (ტრაპ.)...

შდრ. ჯუმის ლოცვა პარასკევის ლოცვა:

„ჯუმას ადრე დავაპიროთ,

შაბათს წევდეთ ადრიანაი“ (დ. კობ.) (ნიჟარაძე 1971: 446).

1.169. ჯეიზი - (არ. ceyiz - ჯეიზი - „მზითევი“):

„ეს იყო ჩემი ჯეიზი“ (იმ.); „ჯეიზი მაშინ ჰად იყო, ყველაი ყვიროდა“ (უსტ.); „მილლეთი ამოვლენ, ჯეიზიც აქვან“ (უსტ.); „იმდენი ჯეიზი მეიტანა გეივსო სახლი“ (იმ.); „ჯეიზი ვუყიდე ჩემსა ბაგალასა“ (იმ.); „ერთი ბათანიე ჯეიზი გამამატანეს, ისიც უკან ჩამეიტანეს“ (იმ.); „ჯეიზი დაკოჭვენ, არაბაში ჩააწყნარებენ, გელინსაც გამეიყვანებენ“ (ქლას.)...

შდრ. „ჯეიზით სავსეა თარო და ქანარა“ (ლ. გელ) (ნიჟარაძე 1971: 443).

1.170. ჰაზირი - (არ. hazır - ჰაზირ - 1. „მზა“, „მზამზარეული“; 2. „მზად“):

„ახლა ვიღევთ ჰაზირ ფქვილ, ჰაზირ ფქვილ ევღევთ, იმა აღარც ვფქვავთ, აღარც ვთესავთ“; „ლახანას აღარ ვთესავთ, ჰაზირ ვიღევთ ჩვენც“ (ჩაქ.); „ანჯახ ჭრიან ჰაზირსა“; „ყველაი აქ ჰაზირ ვჭამთ“ (დ.); „ზარმელი ჰაზირია, ჭამეთ“ (დ.); „მააქვან ჰაზირი ძე, სვი და იყავ“ (ტრაპ.); „ჩუენ ჰაზირი მჭამელი ვართ“ (ტრაპ.)...

1.171. ჰალბუქი - (halbuki - ჰალბუქი - „თუმცა“):

„ჰალბუქი, თქვენ დეიწავლოთ თურქჩა“ (უსტ.); „ჰალბუქი ყუელა დღეი ვგვით“ (იმ.)...

1.172. ჰამა - (hama - ჰამა - „მაგრამ“):

„ჰამა დიდი ღმერთია, ჰამა ინსნები წლის დიდი იქნება, სამოცი წლის“ (იმ.); „ვიცი ჰამა ვერ მემიგონია“ (უსტ.); „წევდეთ ჰამა, ადგილი ექნება არაბაში?“ (უსტ.); „ფინთიშესაც ვეტყვით, ჰამა მისი სახელი ბობოლია“ (აშ.); „აქა რჩებიან, ჰამა ბევრი არა“ (აშ.); „ღუები არი, ჰამა არ ვიცი ქი, ისეც იჯებიან, ჰამა ბევრი ზათინ არ ვიცი“ (ხობ.)...

შდრ. „შეგირცხვინე სახელი, ჰამა ეს უბრალოდ, ეს სიბეჩით არ მომხდარა“ (ლ. გელ.); „შენ არ გკლავ, ჰამა წეიყვანე შენი რძალი და წადიო“ (ა. ზეპ.) (ნიჟარამე 1971: 448).

შდრ. „ერთი რამე'ნა გთხოვო, ჰამა არ დიმიშალო, ვარი არ მითხრა“.

1.173. ჰამანქი - (სპ. hemenki - ჰემენქი - „თითქმის“, „დაახლოებით“):

„ჰამანქი ქომოთ თურქი არიან“ (იფხ.); „არხავი ჰამანქი შეხვალ და დიდი ჯამე არი იგზე, იმ ჯამეში ვიყავი“ (ნიოლ.); „დედამთილი, სამი წელიწადია, მოკდა. მამამთილი - ჰამანქი ოცი წელიწადი გახდა, გახდა ჰო“ (მერ.)...

1.174. ჰაიდე - (haydi - ჰაიდი - აბა, მიდი!):

„ჰაიდე, გამეარე, ჰაიდე, ღელიებში შეე-მეთქი“ (უსტ.); „ახლა ჩვენ მივალთ, ჰაიდე, კარგათ“ (უსტ.); „ჰაიდე ასე ჩუყყვეთ ქომოთვე“ (ნიოლ.)...

შდრ. აჭარულში სიტყვა გვხვდება ჰაიდე 1. მოწოდება-შეგულიანება, ჩვეულებრივ იხმარება ვისიმე წასასვლელად წაქეზებისას, - ჰაიდა! „Hy-ka“! წამო:

ჰაიდე, ყველამ გევეხვეტოთ მაგ ქორწილში“ „ჰაი, არაბო, გამიძებ, ამ ხვანთქრის მეიდანზედა!“

2. გაკიცხვა-გაძევება - გასწი, „მოუსვი“, „მარშ“:

„ჰაიდე, მომშორდი აქედან!“ „ჰაიდე, ჰაიდე! გასძახა მან ქარავანს“ (შ. ნიჟარამე 1971: 448).

1.175. ჰაფთა - (hafta - ჰაფთა - „კვირა“):

„იყვნენ ჩვენთან ერთი ჰაფთა“ (კლას.); „ერთი ჰაფთა თათილი აქვან“ (ტრაპ.); „ჰაფთაში მოვლენ და უკან წევლენ ისევ“ (ქართ.); „გასულ წელს ორი ჰაფთა ისტანბულ დაეჭი ბახალასთან“ (ქართ.)...

1.176. ჰევასი - (heves - ჰევეს - „ხალისი“, „სურვილი“):

„მარტო ჰევასი დაწერა, ამ გურჯებს კაი ეცოდინება, ერთი-ორი უთხარ“ (უსტ.); „ჰევასი აქ სახლი უნდა“ (ქარ.); „მისი ჰევასი იყო სახლის ყიდვა“ (იმ.); „ჰევასი ქონდა და არაბა იყიდა“ (იმ.)...

1.177. ჰემ - (hem - ჰემ - თან):

„გამდნარ ყაღმაღში, გევრეგიც ვიცით, ჰემ პურის, ჰემ სიმინდის“ (ქლას.); „დედვი ჰემ სიზმარისავენ მახსოვს“ (ტრაპ.); „ჩემი დედევი ჰემ მახსოვს, ჰემ არა“ (ტრაპ.)...

1.178. ჰეჩ//ჰიჩ- (hiç - ჰიჩ - „საერთოდ“):

„ჰეჩ თურქია ვერ დიმილაპარაკნია“ (უსტ.); „მე ჰიჩ არ დიმიანახია, ისე“ (ქლას.); „საქონელი ჰიჩ არ მყავან“ (ტრაპ.); „ცოტა-ცოტა იციან ძუელეებმა, გენჯებმა ჰიჩ არ იციან“ (ტრაპ.)...

1.179. ჰეკია - (hikaye - ჰიკაიე - „მოთხრობა“, „ზღაპარი“):

„მე რომ გადამხდა, იმფერი ჰეკია გითხრა?“ (იმ.); „ერთი ნენეა არი და იმან იცის ბევრი ჰეკიები“ (უსტ.); „ჰეკიები ბევრი ვიცოდი, ჰამა აღარ მახსოვს“ (იმ.); „იმ ნენემ იცის ჰეკიები“ (იმ.)...

1.180. ჰერჰალდა - (herhalde - ჰერჰალდე - „სავარაუდოდ“):

„ჰერალდა აღრე მუუკდა კაცი“ (იმ.); „ის გენჯია ჰერალდა“ (იმ.); „ჰერალდა მემლექეთიდან არი გამოტანილი“ (იმ.); „ჰერჰალდა გეეგებებიან ის არი, საგებები ჯვარი“ (ზაქ.); „ისე უთხრა ჰერჰალდა, იმათვინ, ჰამა ვერ მოვასწარ, ჩემი ჩომა გედვიდენ იქა“ (აშ.); „ჰერალდა გადმოყვენ მეზობლებიც“ (მეზ.); „ჰერალდა ზაჰმეთი მოგეცი“ (მეზ.)...

1.181. ჰუდუდ - (hudut - ჰუდუთ - „საზღვარი“):

„ჩუენ ერთი სისხლი ვართო, ერთი ჰუდუდი მაქუან“ (თხილ.); „ავდივართ ქი ჰუდუდზე ვმერაყოფთ“ (იმ.); „გადამარუნია ჰუდუდი დამაზარა: საკარაქეთსა ქი ჩახუალ, გაათვალიერე ჩემ მაგივრათო“ (იმ.); „ჰუდუდი რომ გეიხსნა, გადასლა გაყოლაგდა“ (იმ.); „ჰუდუდზე პასაპორტები ახალი უნდა?“ (იმ.); „ასკერები ჰუდუდზე დგებიან“ (უსტ.); „ჩემი ღარჭი ჰუდუდზე ასკერობს“ (უსტ.); „ჩუენ პრატი ჰუდუდებზე ქი გადმუყუყუანთან, ძალიან უყვირია, უტირია“ (უსტ.)...

შდრ. „აქ ამ მიწაში ფეხთა ქვეშ, ჩაკირულია **ჰუდუდი**“ (ლ. გელ.); „შენ კიდო ძველ დაულს უკრავ, აქამდი ვერ შეიტყევ, რომ ჩვენმა მთავრობამ რამდენხანია წაშალა ყანის სინორები და **ჰუდუდები**?!“ (ნიჟარაძე 1971: 451).

1.182. ჰუქუმეთი - (hükümet -ჰუქუმეთ - „მთავრობა“):

„ახალი **ჰუქუმეთი** რომ გარიგდა, გურჯული სიმღერა ადგა“ (იმ.); „ჩუენი **ჰუქუმეთი** ფენა ღორია“ (იმ.); „**ჰუქუმეთმა** ვერაგი აღარ აართვა“ (იმ.); „**ჰუქუმათმა** გამეიყუანა“ (იმ.); „მოკრიფეს და შეეხმარეს **ჰუქუმათსა**“ (იმ.); „აგინი გუუგზანიან **ჰუქუმეთთან**“ (ნიოლ.); „ჩვენ ჩვენი **თავრობა** გვაჭმევდა, გვასმევდა“ (მან.); „მეგემ უთხრა **ჰუქუმათში** ასე-ასეაო. ერთ თვეს კიდევნა ვყოფილიყავით“ (იმ.); „გამოუცვალა **ჰუქუმეთმა** ძუელი სხელი, გურჯული სახელი“ (იმ.)...

დასკვნა

– სპეციალურ ლიტერატურაში სამხრულ დიალექტებს/სამხრულ კილოებს უწოდებენ ტაოურს, კლარჯულს, შავშურსა და აჭარულს (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებითურთ), ხოლო „ჭოროხის ქვეყნების“ მეტყველებას – სამხრულ მეტყველებას (მ. ფაღავა). ლინგვისტურ ქართველოლოგიაში არის განსხვავებული მოსაზრებაც (შ. ფუტკარაძე, ტ. ფურკარაძე...). დასახელებული დიალექტები (აჭარულის გარდა) განიცდის თურქული ენის ძლიერ ზეწოლას. ისტორიული სამხრეთ საქართველო უკვე რამდენიმე საუკუნეა არის „კულტურათა დიალოგის“ ასპარეზი. „დიალოგის“ შედეგად ქართული კულტურა ასიმილაციის გზას ადგას, მის ადგილს თანდათან იჭერს თურქული. პროცესი მტკივნეულია სამხრეთ საქართველოს მკვიდრთათვის, მაგრამ შეუქცევადი. თავისი იდენტობის შესანარჩუნებლად ჭოროხის ქვეყნების მკვიდრნი დაუპირისპირდნენ არაქართულს თავიანთი მეობის/იდენტობის უპირველესი ნიშნით, – ქართული ენით. ფორმულა მარტივია: „იცი ქართული, ხარ ქართველი, არ იცი ქართული, არა ხარ ქართველი“. სწორედ ეს გაგება უდევს საფუძვლად ისტორიულად ერთი რეგიონის, შავშეთის დაყოფას შავშეთად და იმერხევად. შავშეთი მეთურქულეა, იმერხევი – მექართულე (ტერმინები მ. ფაღავასია). შავშელები „ჩოხიანები“ არიან (ასე უწოდებენ იმერხეველები მეთურქულე შავშეთის მკვიდრთ), იმერხეველები – „ფიხები“ (ასე უწოდებენ შავშელები იმერხეველებს. სიტყვის მნიშვნელობა მთლად ნათელი არაა). „ჩოხიანი“ და „ფიხი“ ორივე ზედწოდებაა, ლაღაბი, ძეგლი, მეტსახელი.

– სამხრული მეტყველების კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი ცნობები „ჭოროხის ქვეყნებისა“ და იქაურთა მეტყველების შესახებ გვხვდება XIX საუკუნის მოგზაურთა და მკვლევართა, კერძოდ, გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, ბავრელის... ჩანაწერებში. XX საუკუნის დასაწყისში შავშეთსა და კლარჯეთში იმოგზაურა ნ. მარმა, რომელმაც დაგვიტოვა ძვირფასი ჩანაწერები, რომელიც 80 წლის განმავლობაში იყო ერთადერთი წყარო ე.წ. იმერხეული კილოს (ასე უწოდებს შავშეთა და კლარჯთა მეტყველებას ნ. მარი) შესასწავლად. საბჭოთა პერიოდში,

მთელი 70 წლის მანძილზე „თურქეთის საქართველოში“ ქართველ მეცნიერს ფეხი არ დაუდგამს.

– სამხრული მეტყველებისა და საერთოდ სამხრეთ საქართველოს კვლევის ახალი ეტაპი იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შესაძლებელი გახდა „ჭოროხის ქვეყნებში“ (თურქეთის რესპუბლიკაში ზოგადად) მოგზაურობა, იქაურთა ქართული მეტყველების ნიმუშების ჩაწერა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. „ჭოროხის ქვეყნებისა“ და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებისა და ყოფის შესწავლა თავდაპირველად ინდივიდუალური გავლებით დაიწყო (შ. ფუტკარაძე, ალ. ჩხაიძე, ო. ფუტკარაძე, მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე...), შემდეგ კი მოეწყო კომპლექსური ექსპედიციები (1995, 2000, 2001, 2004, 2005, 2007, 2009... ხელმძღვანელი, პროფესორი მ. ფაღავა). ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის მიზნით ბათუმის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ჯერ „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“ (1994 წელი, ხელმძღვანელი მ. ფაღავა), 2000 წელს კი – „მ. აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ (ხელმძღვანელი, პროფ. ნ. ვერძაძე), რომელსაც 2004 წლიდან ეწოდა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, 2008 წლიდან – „ქართველოლოგიის ინსტიტუტი“ (2004 წლიდან ცენტრს ხელმძღვანელობს პროფ. მ. ფაღავა). ჩვენს დროში ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაუდგა სათავეში...

„ჭოროხის ხეობის“ მკვიდრთა მეტყველებასა და ყოფას საყურადღებო შრომები უძღვნეს: ჯ. ნოლაიდელმა, მ. ხუბუამ, შ. ნიჟარაძემ, მ. ცინცაძემ, ალ. მსხალაძემ, ვ. შამილაძემ, ვლ. მგელაძემ, აზ. ახვლედიანმა, ნ. ჯიჯავაძემ, თ. შიოშვილმა, შ. ფუტკარაძემ, ნ. მგელაძემ, ნ. ცეცხლაძემ, ნ. გურგენიძემ, მ. ფაღავამ და სხვებმა.

– ისტორიულ სამხრეთ საქართველოსა (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო) და მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ რეგიონებში შეგროვდა მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც მნიშვნელოვანი წყაროა ლინგვისტური კვლევისათვის.

- ისტორიულ სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი და მუჰაჯირთა შთამომავლები ორი ენის (ქართული – მშობლიური და თურქული – სახელმწიფო) მატარებელნი არიან. მათი მეტყველება (ლექსიკა უფრო მეტად, ფონეტიკა და გრამატიკა – ნაკლებად) განიცდის თურქულის გავლენას. თურქიზმები სამხრულ მეტყველებაში ხელშესახებია. საყურადღებოა, რომ ქართული ენა უმეტეს შემთხვევაში ახერხებს თავის სტრუქტურას დაუქვემდებაროს თურქული ნასესხობანი.

- თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში თვალში საცემია ქართულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებანი, რითაც ნასესხები სიტყვა ქართულ წარმოთქმას ემორჩილება, კერძოდ:

ა. გ:ღ ბგერათმონაცვლეობა: დირელი<დირეგი (თ. დირექ-ი), ღალიბა<გალიბა, ღეფლეთი<გეფლეთი... ქართულში ზოგჯერ გამოითქმის გ მაგრამ ჭარბობს ღ, ქართულისათვის უფრო ბუნებრივი. იცვლება როგორც თავკიდურა, ისე სიტყვის ბოლო თანხმოვანი. მონაცვლეობა ხდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ისე საკუთრივ ქართულში. აღნიშნული ბგერათცვლილება დასტურდება ძველ ქართულსა და ქართული ენის სხვა დილექტებში.

ბ. ქ:კ ბგერათმონაცვლეობა: მონაცვლეობა ჩანს ქართულ სიტყვებშიც, რომლის მიზეზი თურქული წარმოთქმის გავლენა უნდა იყოს: ლექსი>ლესი (>ლესკი), ქლიავი>კლიავი... ქ:კ მონაცვლეობა ხშირია თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში: თათიკი//თათიქი, თივთიქი//თივთიქი... აღნიშნული თანხმოვნები იცვლებიან ყველა პოზიციაში: სიტყვის თავში, სიტყვაში, სიტყვის ბოლოს: კუსკუსი<ქუსქუსი; თესკერე<თესქერე, დუდუკი<დუდუქი...

გ. ყ:ყ მონაცვლეობა: ყართოფა<კარტოფილი... მონაცვლეობა ხდება თურქულიდან შემოსულ სიტყვებშიც: საყიზი:საკიზი, ჩიფლაყი:ჩიფლაკი, დაყიყი:დაკიკა...

დ. ქ:ხ მონაცვლეობა: ბაშხა : ბაშქა, ქრისტიანი : ხრისტიანი, ოხლავო : ოქლავო...

ე. ქ:ყ მონაცვლეობა: ქალემი:ყალემი, ყადი:ქადი, ყაჰვე:ქაჰვე...

ვ. ჰ:ხ მონაცვლეობა: ხასანი:ჰასანი, ხუსეინი:ჰუსეინი, ახმედი:აჰმედი...
ხევისი:ჰევისი. ქართულში დამკვიდრდა ხევისი (შდრ. ხეფსი, ხემსი).

ჰასანი თურქულია, ხასანი – ქართული. ჰ:ხ მონაცვლეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ქობულეთურ კილოკავში, რომლისთვისაც საერთოდ დამახასიათებელია „ხანმეტობა“, ჰაე ყველა პოზიციაში იცვლება ხანით: ხონდა (<ქონდა<ჰქონდა), ხავს (<ხყავს<ჰყავს)...

სამხრულ კილოებში არის შემთხვევები, როცა ნასესხები სიტყვა ამოსავალი ფორმით იხმარება: ჰემენ (სპ. hemen), ჰედიე (არ. hadiye)...

ჰ სუსტად წარმოითქმის სიტყვის ბოლოს. ასეთ პოზიციაში სამხრულ კილოებში იგი ხან შენარჩუნებულია, ხან – არა: მაშალაჰ:მაშალა... სამხრულ მეტყველებაში ჰ იკარგება v-v პოზიციაშიც: საიბი<საჰიფ, საილი<საჰილი...

ჩანს ჰ:ხ ბგერათმონაცვლეობა მრავალფეროვან სურათს იძლევა საკვლევი რეგიონის მეტყველებაში. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც ენა ცდილობს თავის ფონეტიკურ კანონებს დაუქვემდებაროს უცხოური სიტყვები და უმეტესად ახერხებს კიდევ.

ზ. ღ:ხ მონაცვლეობა: ბარდაღი:ბარდახი (<თ. ბარდაქი), კონახი:კონალი (<თ. ქონაქი), ბუჯაღი:ბუჯახი (<თ. ბუჯაქი)... უპირატესია ხანიანი ფორმები.

თ. კ:ფ მონაცვლეობა: ჩარჩაპი>ჩარჩაფი, ფატრონი>პატრონი... სახმრულ კილოებში გვხვდება ფ>პ პროცესიც: დაფანტვა>დაპანტვა...

ამრიგად, სამხრულ კილოებში ნასესხებ სიტყვებში თანხმოვანთმონაცვლეობა იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, რაც ქართული ენისთვის ისტორიულადაა დამახასიათებელი. ბგერათცვლილებით თურქულიდან თუ თურქულის გზით შემოსული სიტყვა „ეხვევა ქართულ ფონეტიკურ სამოსელში“, სხვაგვარად, ემორჩილება ქართულ ფონეტიკურ კანონზომიერებებს. თუმცა, ჩანს, ყოველთვის ეს ვერ ხერხდება, ზოგჯერ შენარჩუნებულია სიტყვის თურქული ფონეტიკური სახე. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ საუბრობს... ეს უკვე მსესხებელი ენის ზეწოლის შედეგია, რაც საკვლევი რეგიონის მეტყველებისათვის მოულოდნელი არაა.

– ნასესხებ ლექსიკაში ხშირია ხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები. მოვლენას საფუძვლად უდევს ქართული ენის ბგერითი სისტემის ცვლის კანონზომიერებები:

ა. ა:ე: მაჰალე>მეჰელე, თერჯუმანი>თარჯიმანი, ქენარი>ქენერი, თერაფი>თერეფი... ჩანს, ნასესხები ლექსიკა ემორჩილება ქართული კილოებისა და ზანურისათვის დამახასიათებელ ა:ე მონაცვლეობას.

ბ. უ:ი: ბალდუზი>ბალდიზი (სამხრულ მეტყველებაში იხმარება ორივე ფორმა), ადუმი<ადიმი... მონაცვლეობა ხდება როგორც სიტყვის ფუძეში, ისე მაწარმოებელ აფიქსებში: გელინ-ლუქ<გელინ-ლიქ, გეჯე-ლიქ>გეჯელული...

უ:ი მონაცვლეობა დამახასიათებელია ქართულისა (გ. როგავა მას ასიმილაციის შედეგად თვლის) და ზანურისათვის. ჩანს, ქართველური ენებისათვის ბუნებრივი მოვლენა (U:ი მონაცვლეობა) გავრცელდა ნასესხებ ლექსიკაშიც.

გ. ე:ი: შეჰირი>შეჰერი, ჰიჩ>ჰერ...

ნასესხებ ლექსიკაში ბგერათცვლილებებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვები ორენოვნობის პირობებშიც კი ექვემდებარება ქართულისა და ქართველური ენების ფონეტიკურ კანონზომიერებებს. რაც იმის დასტურია, რომ მიუხედავად თურქულის ზეწოლისა სამხრული მეტყველების ფონეტიკური სტრუქტურა ინარჩუნებს თავისთავადობას.

– სამხრულ კილოებში ნასესხებ ლექსიკაში ხშირია თანხმოვანთა დაყრუებისა და გამჟღერების შემთხვევები.

ა. ბ<ფ: აფთალი>აბდალი, ფაბუჩი>ბაბუჩი, ფაჰალი>ბაჰალი... აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ სიტყვა გვხვდება ამოსავალი ფორმითაც. ასეთ შემთხვევაში აშკარაა ამოსავალი ენის გავლენა. ხშირად მოუბარი ორი ენის (ქართული და თურქული) მატარებელია. აქ ჩანს, რომელი ენის წარმოთქმაა დომინანტური მისთვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფ'ს გამჟღერება ხდება როგორც ფუძის შიგნით, ისე – თავსა და ბოლოში. პოზიციურად გამჟღერება ხდება v-v ან v-#, #-v პოზიციებში.

საყურადღებოა, რომ სამხრულ კილოებში, სხვებშიც, საკუთრივ ქართულ სიტყვებში აუსლაუტში ხშირად **ბ** ყრუვდება და გვადლევს **ფ**-ს. ყრუვდება უმეტესად -ებ სუფიქსისეული თანხმოვანი: ალაგეფში, აკეთეფს...

ბ. კ>გ,ღ: ნასესხებ სიტყვებში მჟღერდება **კ** და გვადლევს **გ,ღ** თანხმოვნებს, ზოგჯერ ერთსა და იმავე პოზიციაში: ბარდაქ-ი>ბარდაღ-ი, ბორექ-ი>ბორეგ-ი//ბორელ-ი, დიბექ-ი>დიბეგ-ი, ქუთუქ-ი>ქუთუღ-ი//ქუთუგ-ი...

გ. თ>დ: ბერბათი>ბერბადი. სამხრულ მეტყველებაში გვხვდება ბერბათ'იც, ამოსავალი ქართული წარმოთქმისათვის უფრო ბუნებრივი ფორმა. თაბანჯა>დაბანჯა//ტაბანჯა. არის შემთხვევები, როცა **დ>თ**'ს: დორდუნჯუ>დორთუნჯუ (მეოთხე)...

სამხრულ კილოებში ზოგჯერ „**t**“ გვადლევს **ტ**'ს: ასთარი>ასტარი. მოვლენა არც ქართული ენისთვისაა უცხო: ასთე//ასტე.

დ. ჩ>ჯ: თურქული წინანუნისმიერი ყრუ ხმული „**ç**“ გვადლევს მჟღერ **ჯ**'ს: არაფჩა>არაბჯა, ანაჩი>ანაჯი, გენჩი>გენჯი...

– სამხრულ მეტყველებაში დასტურდება: **ა.** ქართული სიტყვები თურქული მაწარმოებლით; **ბ.** თურქული სიტყვები ქართული მაწარმოებლით; **გ.** თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლით. საინტერესოა ასეთი ერთეულების შესწავლა სიხშირის თვალსაზრისით. კვლევა დაადგენს თურქულის გავლენის ხარისხს სამხრულ მეტყველებაზე. კვლევების ჩატარებამდე უნდა აღინუსხოს სამხრულ მეტყველებაში ნასესხები ლექსიკა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ლექსიკის დასახელებულ ჯგუფებს შორის ყველაზე ნაკლებია მესამე – თურქული ლექსიკა თურქული მაწარმოებლით.

უყისმეთო, უფიშმანო, უჰვეესო... დასტურდება უქონლობის სახელები თურქული –**siz** (>**სუზ**) მაწარმოებლით: ნამუსსუზი, რენგსუზი, უღურსუზი...

მე(<მო) ზმნისწინიანი სიტყვები: მეეხიზმეთა, მევკალიბე... ასევე მე-ე აფიქსიანი სახელები: მეფურუნჯე...

-**ში**, -**ზე** თანდებულიანი სახელები: ესკერში, არაბაში, ქენერში, არაბაზე, ესკერზე...

ნასესხებ სიტყვებს დაურთავს –ებ თემის ნიშანი და უწარმოებია ზმნური ფუძეები: ვემოსაფირები, ეხიზმეთება, უდინგლებს....

ნასესხები სახელები ჩვეულებრივ –ებ სუფიქსით აწარმოებენ მრავლობით რიცხვს: მუსაფირები, ინსნები, რესმები... თუმცა ზოგჯერ გვხვდება თურქული **lar//ler** სუფიქსებით ნაწარმოები მრავლობითის ფუძეები: მეიდანლარ, ჩიჩექლარ... იგივე აფიქსითაა გაფორმებული ზოგიერთი ტოპონიმიც: ორთაქოფრულარ, თუქანლარ, გორალარ, ნაკაფლარ...

თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში გვხვდება –ობა სუფიქსიც: ასკრობა, ბაირამობა, ინსნობა, დობტრობა...

ასევე გვხვდება:

-იან სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავები: ინათიანი, ყაბურღიანი...

-li სუფიქსიანი სახელები: ნოქტალი, ბურმალი, ბათუმლი, ნალიშლი...

-lik (>ლუქ//ლუდ): გოზლული, გელინლუქი, ბაბალული... იგივე აფიქსი დასტურდება ტოპონიმებშიც: ქირაზლული (ბლოვანი, ბალვანა), ბუზლული (საყინულე)...

-ურ//–ულ: გურჯული, მემლექეთური... –ურ/-ულ ქართულში აწარმოებს წარმომავლობის სახელებს: ბათუმურაჲ, ზიოსური, აჭარულაჲ... იგივე სუფიქსი აწარმოებს კუთვნილების სახელებს: დაბური, აგარული (დილა, ნენეჲ).

-თან თანდებული ნასესხებ სახელებთან: მეზელულთან, ქომესთან...

-დან, –დან ნასესხებ სახელებთან: გურჯისტანიდან, თერეფიდან...

კვლევებით დასტურდება, რომ სამხრულ კილოებში მრავლადაა ნასესხები სახელური თუ ზმნური ფუძე ქართული მაწარმოებლით გაფორმებული. ფაქტი დასტურია იმისა, რომ სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა ქართულ მეტყველებაში ნასესხები ლექსიკა აქტიურია და, რაც მთავარია, ქართული სიტყვაწარმოების/ფორმაწარმოების პრინციპებს დაქვემდებარებული.

სამხრულ მეტყველებაში გვხვდება თურქული ლექსიკა თურქული მაწარმოებლით. ფაქტი მოულოდნელი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ქართულ-თურქულ ენობრივ კონტაქტებს:

-ჯი (-ci): დუაჯი, დუქანჯი, ზურნაჯი...

-ინჯი (-ingi) რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითის მაწარმოებელი აფიქსი: იქინჯი...

-ca, -ce, -ca, -ce (-ჯე, -ჯა, -ჩე, -ჩა) აწარმოებს ენის სახელწოდებას: გურჯიჯე// გურჯიჯა, თურქიქე//თურქიქა...

-daş, -deş// -taş, -teş (-ტაშ, -დაშ): ძოლდაში, არხატაში...

სამხრულ კილოებს სულ რამდენიმე სიტყვასაწარმოებელი აფიქსი შეუთვისებია თურქულისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელებიც ექვემდებარება ქართული ენის ფორმაწარმოების პრინციპებს.

– სამხრულ კილოებს დროთა განმავლობაში შეუთვისებია თურქული ლექსიკა, რაც შედეგია ქართულ-თურქული ურთიერთობისა. ორენოვნობის პირობებში, ბუნებრივია, ერთი ენიდან მეორეში ლექსიკის შეტანა და საბოლოოდ სესხება. აქვე ვიტყვით, რომ არა მარტო ქართულმა შეითვისა თურქული ლექსიკა, არამედ სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა თურქულ მეტყველებაში შევიდა ქართული ლექსიკა. ეს კანონზომიერი პროცესია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე 1973: აბაშიძე მ., „რჩეული ნაწერები“ გამომცემლობა ბათუმი.
2. აბულაძე 1973: აბულაძე ი., „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ გამომცემლობა თბილისი
3. აბულაძე 1963: აბულაძე ცირა, „თურქული ლექსიკური მასალა სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში“, დისერტაცია
4. ახვლედიანი 1949: ახვლედიანი გიორგი, „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, გამომცემლობა „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი.
5. ბაქრაძე 1987: ბაქრაძე დიმიტრი, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, ბათუმი.
6. ბაქრაძე 1980: ბაქრაძე დიმიტრი, ბათუმის მაზრა, გაზ. „დროება“, #78. ტფ.
7. ბაქრაძე 1994: ბაქრაძე დიმიტრი, „საქართველოს მიღმა“, ბათუმი.
8. ბედომვილი 1980: ბედომვილი გ., „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“, თბილისი.
9. გამყრელიძე 1990: გამყრელიძე თამაზ, „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, გამომცემლობა, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი.
10. გიგინეიშვილი.... 1961: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., „ქართული დიალექტოლოგია“ გამომცემლობა თბილისი.
11. გურგენიძე 1973: გურგენიძე ნუნუ, „აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.
12. დონდუა 1967: დონდუა კ., „К вопросу об особой форме множественного числа в сванских терминах родства“, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. VII, ტფილისი.
13. ზურაბიშვილი 1961: ზურაბიშვილი თ., „ტოპონიმის შესწავლისათვის“ ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი.

14. თანდილავა 2003: თანდილავა ლილე, „თურქული ლექსიკური ერთეულები ლაზურში“ დისერტაცია, თბილისი.
15. თაყაიშვილი 1991: თაყაიშვილი ექვთიმე, „სამუსლიმანო საქართველო, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა“, ტ. I, თბილისი.
16. კარტოზია 1972: კარტოზია გ., „ლაზური ტექსტები“, თბილისი.
17. კიკვაძე 2012 (1): კიკვაძე მ., „ქართული ლექსიკა კლარჯთა თურქულში“, XXXII დიალექტოლოგიური რესპუბლიკური კონფერენცია, მოხსენებათა გეგმა და თეზისები, თბილისი.
18. კიკვაძე 2012: კიკვაძე მ., „ქართული ლექსიკა არტანუჯულ თურქულში“, II საერთაშორისო კონფერენცია „ტაო–კლარჯეთი“, ბათ.
19. მაკალათია 1975: მაკალათია ფ., „ მრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა ტოპონიმიკური ფუნქციისათვის“, გამომცემლობა „მაცნე“, თბილისი.
20. Марр 1911: Марр Н.Я. „Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзийского с дневником поездки в Шавшетию и Кларджию“, ТРАГФ, т.VII, СПб.
21. ნიჟარაძე 1957: ნიჟარაძე შოთა, „ზემოაჭარულის თავისებურებანი“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
22. ნიჟარაძე 1975: ნიჟარაძე შოთა, „აჭარული დიალექტი“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
23. ნიჟარაძე 1961: ნიჟარაძე შოთა, „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი
24. ნოლაიდელი 1936: ნოლაიდელი ჯემალ, „აჭარა დიალექტოლოგიურად“, ბათუმი.
25. Никонов 1965: В. Никонов, „Введение в топонимику“, М.
26. Писаров 1901: Писаров В., „Насколько слов о трабизонском диалекте“. ЗВО, VIII, II-III, СПб.
27. ჟღენტის 1938: ჟღენტის სერგი, „ჭანური ტექსტები“, ტფილისი.

28. ჟღენტი 1983: ჟღენტი სერგი, „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“, გამომცემლობა „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი.
29. როგავა 1962: როგავა გ., „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
30. სურმავა 1988: სურმავა ნ., „წარმომავლობის უსუფიქსო წარმოება მაჭახლის ხეობაში, დიალექტოლოგიური კრებული“, თბილისი.
31. Севортян 1955: Севортян Э. В., „Фонетика Турецкого Литературного Языка“, Москва.
32. Севортян 1978: Севортян Э. В., „Этимологический Словарь Тюркских языков“, Москва.
33. ფალავა 2003: ფალავა მამია, „სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა“, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), ბათუმი.
34. ფალავა 2003: ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. ბათუმი.
35. მ. ფალავა 2011: ფალავა მამია, „შავშური ჩანაწერები“, გამომცემლობა „ჰოროსი XXI“, თბილისი.
36. მ. ფალავა 2007: ფალავა მამია, „ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟ. მნათობი, I, თბილისი.
37. მ. ფალავა 2008: ფალავა მამია, „შავშური ჩანაწერები“, ჟ. ლიტერატურული აჭარა, I, ბათუმი.
38. მ. ფალავა 2010: ფალავა მამია, „კვლავ ხანძთის ლოკალიზაციის საკითხისათვის“, კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, II, ბათუმი.
39. ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შუშანა, „ჩვენებურების ქართული“, „აჭარის ჟურნალ-გაზეთების“, (გამომცემლობა) ბათუმი.

40. ქამადაძე 1992: ქამადაძე მიხეილ, „ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, VII გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
41. ყაზბეგი 1995: ყაზბეგი გიორგი, „სამი თვე თურქეთისსაქართველოში“, ბათუმი.
42. ყიფშიძე 1939: ყიფშიძე ი., „ჭანური ტექსტები“, ტფილისი.
43. შანიძე 1973: შანიძე აკაკი, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, I, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი.
44. ჩიქოვანი 1939: ჩიქოვანი მ., „ტოპონიმკური ლექსიკონი“, თსუ შრომები, ტ. IX.
45. ჩიქობავა 1936: ჩიქობავა არნოლდ, „ჭანური ტექსტები“, თბილისი.
46. ჩიქობავა 1936: ჩიქობავა არნოლდ, „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, თბილისი.
47. ჩიქობავა 1942: ჩიქობავა არნოლდ, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბილისი.
48. ჩიქობავა 1956: ჩიქობავა არნოლდ, „მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში“, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I. თბილისი.
49. ჩიქობავა 2010: ჩიქობავა არნოლდ, „შრომები“, ტ. II, თბილისი.
50. ჩოხარაძე 2007: ჩოხარაძე ვარდო, „თურქიზმები მურღულელთა მეტყველებაში“, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები X, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
51. ჩოხარაძე 2007: ჩოხარაძე ვარდო, „თურქული ლექსიკა იმერხეულში“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V., გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.
52. ჩოხარაძე 2009: ჩოხარაძე ვარდო, „თურქიზმები შავშელთა ქართულ მეტყველებაში“ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი

ცენტრი, ტ. VI., გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

53. ჩოხარაძე 2001: ჩოხარაძე ვარდო, „შავშური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი“, კულტურათმორისო კომუნიკაციები #15., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
54. ცინცაძე...1998: ცინცაძე მ., ფაღავა მ., „სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს)“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.
55. ცინცაძე 1954: ცინცაძე მერი, „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი“, ბათ. სახ. პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, ტ. I, ბათუმი.
56. ცინცაძე 2001: ცინცაძე მერი, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება, XXI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები.
57. ცეცხლაძე 2000: ცეცხლაძე ნუგზარ, „შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.
58. ძიძიშვილი 1960: ძიძიშვილი მერი, „ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში“, გამომცემლობა, მეცნიერება, თბილისი.
59. ჭიჭინაძე 1912: ჭიჭინაძე ზაქარია, „ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირთა ემიგრაცია“, ტფ.
60. ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზაქარია, „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფ.
61. ხუბუა 1932: ხუბუა მ., „ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა“, ბათუმი.
62. ჯავახიშვილი 1982: ჯავახიშვილი ივანე, „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ. III, თბილისი.
63. ჯანაშია 1959: ჯანაშია სიმონ, „ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში: შრომები, III, თბ.
64. ჯანაშია 1959⁽¹⁾: ჯანაშია სიმონ, „თუბალ–თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები“ ტ. III, თბილისი.
65. ჯანაშია 1952: შრომები, ტ. II, თბ

66. ჯაჯანაძე 1976: ჯაჯანაძე პ., „წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები“, თბილისი.
67. ჯიქია 1958: ჯიქია სერგი, „XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი“, ტ. I, თბილისი.
68. ჯიქია 1960: ჯიქია სერგი, „XVIII ს-ის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ“, ტ. I, თბილისი.
69. ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბესარიონ, „ქართული დიალექტოლოგია“, II, თბილისი.
70. ბ. ფ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ფონდები.
71. თურქული 2005: თურქული ენის ლექსიკონი, ანკარა.
72. ლექსიკონი 2005: Türkçe- Sözlük, Ankara
73. ქეგელ..... 2008: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია ტომი I, თბილისი
74. ლექსიკონი 1993: რუსულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.
75. ლექსიკონი 1989: Kâmüsî Türki Şemseddin sâmi.
76. ლექსიკონი 2001: თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბოლი.
77. ლექსიკონი 2007: „Osmanlıca-Türkçe Ansiklopedik“, Ankara.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ად. - ადაფაზარი. სოფ. აჰმედიე

არ. - არაბული ენა

ბ. - ბაკო

ბაზგ. - ბაზგირეთი

ბუჯ. - ბუჯური

გულ. - გულბახჩა

დ. - დაბა

დიობ. - დიობანი

ედ. - ედებეი

ელ. - ელიასხევი

ზ. - ზიოსი

ზაქ. - ზაქიეთი

თხილ. - თხილაზორი

ივ. - ივეთი

იმ. - იმერხევი

ინ. - ინეგოლი

იფხ. - იფხრეველი

მან. - მანატბა

მეზ. - მეზითი

ნიოლ. - ნიოლეთი

ორთ. - ორთაბათუმი

შავშ. - შავშეთი

ჩაქ. - ჩაქველთა

ჩევრ. - ჩევრელი

უ. - უბე

უსტ. - უსტამისი

წეთ. - წეთილეთი

ქართ. - ქართლა

ქეგლ. - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ქდ. - ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ.

ქლას. - ქლასქური

ქობ. - ქობაგი (ქუაზაგი)

ქუაზ. - ქუაზითავი

ტრაპ. - ტრაპენი

ხევწ. - ხევწრული//ხევწვრილი

ხოხ. - ხოხლევნი

შდრ. - შეადარე